პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (უოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან — 80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეძირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

პარასკევი, 9 დეკემბერი 1927 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 279 (2024)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— ამხ. ევრეინოვის გამოსვლა ნორვეგიის პროფკავშირთა ყრილობაზე.
— კულიჯმა განაცხადა, რომ ის თავის კანდიდატურას არ წამოაყენებს საპრეზიდენტო არჩევნებში.
— გერმანიის მრეწველთა მოლაპარაკება რკინის წარმოების მუშებთან უშედეგოთ დამთავრდა.
— გაიხსნა რუმინეთის სტუდენტთა ყრილობა.
— პეკინში გრძელდება მუშების სიკვდილით დასჯა.
— საფრანგეთის დელეგაციის დეკლარაცია საბჭოთა სომხეთის შესახებ.

საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე ყრილობა

რეზოლუცია ცეკას მუშაობის შესახებ

კაპიტალიზმის კრიზისის გაღრმავება და მუშათა რევოლიუციონური მოძრაობა

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მე-15 ყრილობა სრულიად იწონებს ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხაზს. ყრილობა აღნიშნავს, რომ ცეკას სწორმა პოლიტიკამ საანგარიშო პერიოდის უძნელეს პირობებში უზრუნველჰყო საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ძლიერების განმტკიცება, ჩვენი ქვეყნის, როგორც საერთაშორისო მშვიდობიანობის ფაქტორის, როლის ამაღლება და საბჭოთა კავშირის, როგორც მსოფლიო რევოლიუციონური მოძრაობის კერის, ავტორიტეტის ზრდა. ცეკას პოლიტიკის მეოხებით ჩვენი ქვეყნის შიგნით მოპოვებულ იქნა სერიოზული გამარჯვებანი სოციალისტური მშენებლობის დარგში, ქალაქად და სოფლად შეუჩერებლად იზრდებოდა საწარმოო ძალები, ამავე დროს მთელ ეკონომიკაში სოციალისტური ელემენტები უფრო და უფრო სჭარბობდა არა სოციალისტურ ელემენტებს, იზრდებოდა მუშათა და გლეხთა მასების მატერიალური და კულტურული დონე, განმტკიცდა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი ლენინური ეროვნული პოლიტიკის სწორი გატარების ნიადაგზე, ძლიერდებოდა მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან, იზრდებოდა პროლეტარიატისა და მისი პარტიის ხელმძღვანელი გავლენა, საერთოდ კი პროლეტარიატის დიქტატურის პოზიციები სისტემატიურად მკვიდრდებოდა. ამჟამად პროლეტარული სახელმწიფო, მუშათა კლასი და პარტია თავის მუშაობას იწყებს მრავალი მხრით შეცვლილ საერთაშორისო და შინაურ პირობებში. საერთაშორისო მდგომარეობაში საანგარიშო პერიოდმა გამოამჟღავნა ახალი მომენტები და დამახასიათებელი მხარეები, რომელთაც თავი იჩინეს როგორც თვით იმპერიალიზმის ბანაკში, ისე კაპიტალისტური ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში.

კაპიტალიზმის ნაწილობრივმა სტაბილიზაციამ, რომელიც ჯერ კიდევ მეთოთხმეტე ყრილობამ აღნიშნა, ამჟამად უკვე საკმაოდ მკაფიოდ გამოააშკარავა თავისი რაობა და განავითარა თავის არსებაში დაფარული წინააღმდეგობანი. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა რაოდენადმე წინ წაიწიეს, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო წარმოების ზრდამ წინ გაუსწრო ომის წინადროინდელ ფარგლებს, მიუხედავად იმისა, რომ აღდგენილ იქნა მსოფლიო აღებ-მიცემობა და განმტკიცდა ფულის ვალიუტა, მიუხედავად იმისა. რომ მოხდა საერთაშორისო ურთიერთობათა ერთგვარი ნორმალიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ ადგილი აქვს ნაწილობრივ ტეხნიკურ პროგრესს და კაპიტალისტურ რაციონალიზაციას, მიუხედავად ყველა ამისა და რამდენადმე თვით ამ ფაქტების გამოც — მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის შეურიგებელი წინააღმდეგობანი უფრო გამწვავიდენ.

გამწვავდა კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების უთანაბრობა და მის ნიადაგზე გამწვავდა ბრძოლა სამეურნეო-პოლიტიკური გავლენის სფეროებისათვის და მსოფლიოს ხელახალი განაწილებისათვის. გამწვავდა ინტერნაციონალური ბრძოლა ნედლი მასალისა და გასაღებელი ბაზრებისათვის და კაპიტალის გამოყენების სფეროებისათვის, გამწვავდა ბრძოლა იმის გამო, რომ იმპერიალისტური მეურნეობის წარმოებითი შესაძლებლობანი არ შეეფერება კაპიტალიზმისაგან გაღატაკებული მასების შემსყიდველობითი უნარს და მოთხოვნილებას, იმის გამო, რომ კაპიტალისტური წარმოების აპარატი ვერ მუშაობს სრული დატვირთვით, რაიც ქრონიკულად მეორდება, იმის გამო, რომ კაპიტალისტური მეურნეობის მსოფლიო სისტემას ჩამოშორდა ისეთი დიდი ბაზარი, როგორიც არის საბჭოთა კავშირი.

გამწვავდა წინააღმდეგობანი ევროპა-ამერიკის ქვეყნებს და მეტროპოლიებს შორის, ერთის მხრით და დამოკიდებულ ქვეყნებსა და კოლონიებს შორის მეორე მხრით. ამასთანავე, დამოკიდებული ქვეყნების ბრძოლამ იმპერიალისტური უღლის წინააღმდეგ მიიღო შეიარაღებულ აჯანყებათა, ეროვნული ომებისა და კოლონიალური რევოლიუციების ფორმები (ჩინეთი - ინდონეზია). გამწვავდა კლასთა ბრძოლა იმპერიალისტურ ქვეყნებში, სადაც, პასუხად იმისა, რომ კაპიტალმა მუშათა კლასზე და მის სასიცოცხლო ინტერესებზე გაილაშქრა, პასუხად 8 საათის სამუშაო დღის ლიკვიდაციისა და ექსპლოატატორული რაციონალიზაციისა, პასუხად მმართველი ბურჟუაზიული ჯგუფების რეაქციონურ - მილიტარისტული პოლიტიკისა — მუშათა კლასი იწყებს შეტევაზე გადასვლას. გამწვავდა წინააღმდეგობანი ბურჟუაზიულ ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირს შორის, რომელიც თავისი ძლევამოსილი გამარჯვებით ძირს უთხრის მსოფლიო კაპიტალისტური ბატონობის საფუძვლებს. სოციალისტური ელემენტების ზრდა საბჭოთა კავშირში, ბურჟუაზიის იმედების გაცრუება პროლეტარიატის დიქტატურის გადაგვარების შესახებ. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო - რევოლიუციონური გავლენის გაძლიერება, — წარმოადგენენ ამ გამწვავების უმთავრეს ფაქტორებს.

ამგვარად, კაპიტალისტური განვითარება საერთოდ იჩენს მშვიდობიანი „შესვენების" ისტორიული ვადების შემოკლების ტენდენციას, ახლოვებს დიდ იმპერიალისტურ ომების ახალ ხანას და აჩქარებს მსოფლიო კონფლიქტების რევოლიუციით დაბოლოებას. საბჭოთა კავშირისათვის ეს ნიშნავს, პირველ ყოვლისა, ურთიერთობის გამწვავებას ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან, რომელთა პოლიტიკა უფრო და უფრო მტრული ხდება საბჭოთა კავშირის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებს შორის და ბურჟუაზიის ცალკე ჯგუფებს შორის შინაური წინააღმდეგობანი არსებობს, რაც ჯერ-ჯერობით მთლიან კაპიტალისტურ ფრონტის შექმნას აძნელებს; ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა მტრული პოლიტიკა იმპერიალისტური თავდასხმის პირდაპირ მუქარას ჰქმნის.

საერთაშორისო განვითარების განვლილ ორი წლის პერიოდმა ერთხელ კიდევ თვალსაჩინოდ გვიჩვენა, თუ როგორ ამაო გამოდგა ბურჟუაზიული პაციფისტური პოლიტიკოსების ცდა, რომ კაპიტალისტურ საფუძველზე „გაეერთიანებიათ" და „შეერიგებიათ" სახელმწიფოები; ნათლად გამოაშკარავდა, რომ დაუსრულებელი გამაერთიანებელი კონფერენციები და ერთა ლიგის კომისიები. ბანკირების ეგრედწოდებული მანიფესტი (დეკლარაცია ვერსალის ზავის, შემდგომი საბაჟო ეაკხანალიის წინააღმდეგ), საერთაშორისო ეკონომიური კონფერენცია, „პან-ევროპის" პაციფისტური პროექტი ჟენევაში გამართული სამთა კონფერენცია „განიარაღებისათვის", — ყოველივე ეს მუშათა კლასის მოტყუების ახალი საშუალებაა. „გაერთიანების" ცდანი მხოლოდ ფარავდა იმპერიალისტების გაფართოებულ მეტოქეობას კულისებს იქით, ბრძოლას კოლონიალური ნადავლის გასაყოფად, შეიარაღების განუწყვეტელ ზრდას, აშკარა და საიდუმლო სამხედრო ბლოკების შეკვრას, რომელნიც უშუალოდ ამზადებენ ახალ იმპერიალისტურ ომებს. სწარმოებდა ფაშისტური და მილიტარისტული ტენდენციების ზრდა. საერთაშორისო ბურჟუაზიის რეაქციონურმა ელემენტებმა ინგლისის კონსერვატორული მთავრობის ხელმძღვანელობით, დაიწყეს ნიადაგის მომზადება საბჭოთა კავშირზე შეიარაღებული თავდასხმისათვის, ამასთანავე ამ მზადებას ისინი ახვევენ პროვოკაციების ქსელში (თავდასხმები საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობებზე საზღვარ-გარეთ, საბჭოთა დიპლომატიის მუშაკთა მოკვლა).

საკავშირო კომპარტიის (ბ) მეხუთმეტე ყრილობა აღნიშნავს, რომ ფაშისტური და აგრესიულ - მილიტარისტული ტენდენციების ზრდასა და გამწვავებასთან ერთად, კაპიტალისტური სახელმწიფოების პოლიტიკაში იქმნება წინასწარი პირობები იმისათვის, რომ რევოლიუციონურად გადაწყდეს თანამედროვე საერთაშორისო და საშინაო წინააღმდეგობანი. ინგლისის საყოველთაო და მემაღაროეთა გაფიცვა 1926 წელში, აჯანყება ინდონეზიაში, ჩინეთის დიდი რევოლიუცია, მუშების გამოსვლა „სტაბილიზაციაქმნილ" ავსტრიაში (1927 წლის ივლისი), საბჭოთა კავშირში პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებასთან ერთად,— ნათლად ააშკარავებს კაპიტალისტური რეჟიმის წინააღმდეგობას და გახრწნას.

რევოლიუციონური მოძრაობის ხანმოკლე შენელება ევროპაში (გერმანიის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ 1923 წელში) ამჟამად კვლავ იცვლება რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერებით, პროლეტარიატის აქტივობის ზრდით, მუშათა მოძრაობის დიფერენციაციით და გამემარცხენებით, კომპარტიის რიგებისა და მისი სექციების შემჭიდროებით, მასიური რევოლიუციონური მოძრაობის ზრდით (დემონსტრაციები საკოსა და ვანცეტის მოკვლის გამო, მთელი რიგი კომპარტიების გამარჯვებანი არჩევნებში, უცხოეთის მუშათა დელეგაციები ოქტომბრის დღესასწაულზე საბჭოთა კავშირში და სხვ.).

მე-15 ყრილობა, იღებს რა მხედველობაში ზემო ჩამოთვლილ პირობებს, რომელნიც ახასიათებენ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას, ავალებს ცეკას კვლავ განაგრძოს მუშაობა.

მშვიდობიანობის შეურყეველი პოლიტიკის შემდგომი გატარების საფუძველზე, პოლიტიკის, რომელიც არის იმპერიალისტური ომის საფრთხესთან ბრძოლის პოლიტიკა, და ამავე დროს არის ძირითადი პირობა სოციალიზმის შემდგომი ზრდისათვის საბჭოთა კავშირში.

განაგრძოს მუშაობა იმ საფუძველზე, რომ განმტკიცდეს საბჭოთა ქვეყნის მუშათა ძმური კავშირი დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოთა მუშებთან და ჩაგრული ქვეყნების მშრომელ მასებთან.

იმ საფუძველზე, რომ სისტემატიურად განვითარდეს ეკონომიური კავშირი კაპიტალისტურ ქვეყნებთან და ამასთანავე უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა კავშირის სამეურნეო თვითმოქმედების ზრდა.

იმ საფუძველზე, რომ განუწყვეტლივ მტკიცდებოდეს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობა, მუშურ-გლეხური წითელი არმიის, საჰაერო და საზღვაო ფლოტის ძლიერება და ბრძოლის უნარიანობა.

იმ საფუძველზე, რომ დაგროვდეს უცილებელი სამეურნეო რეზერვები (პურის, საქონლის, ვალიუტის და თავდაცვის სპეციალური რეზერვები).

ჩვენი მიღწევები და პერსპექტივები საშინაო ფრონტზე

მე-15 ყრილობა სავსებით სწორად სთვლის ცენტრალური კომიტეტის ხაზს და მუშაობას შინაური პოლიტიკის და სამეურნეო მშენებლობის დარგში. ცეკას ლენინური პოლიტიკის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნა სახელმწიფო მრეწველობის გაფართოება ომამდე არსებულ დონეზე მეტად, ამასთანავე იზრდებოდა მრეწველობაში მომუშავეთა რიცხვი. იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება და სამუშაო ხელფასი მსხვილი სახელმწიფო მრეწველობის გაფართოებას თან სდევდა საწარმოო საშუალებათა წარმოების განუწყვეტელი ზრდა. ომამდე არსებული ნორმების გადაჭარბება მრეწველობის მიერ, სოციალისტური მრეწველობის ძირითადი კაპიტალის განახლება, ძირითადი ტეხნიკური და საწარმოო მოწყობილობათა განახლების დაწყება, მნიშვნელოვანი მიღწევები ელექტროფიკაციაში, სამრეწველო წარმოების ახალი დარგების შექმნა და განვითარება (მანქანათა შენება, დაზგების დამზადება, ავტოშენება, ტურბინების დამზადება, ავიამრეწველობა და ქიმიური ინდუსტრია), ახალი ქარხნების, დიდი მოწყობილობათა და დადგმულობათა აშენება, და ძველი ქარხნების მოწყობილობის საფუძვლიანად გარდაქმნა,—ასეთია პარტიისა და მუშათა კლასის არსებითი მიღწევები რომელნიც დასახა მე-14 პარტყრილობამ.

სახელმწიფო სოციალისტურ მრეწველობასთან ერთად იზრდებოდა მნიშვნელობა პროლეტარულ სახელმწიფოს ყველა დანარჩენ მბრძანებელ ეკონომიურ მრეწველობის სისტემის: ტრანსპორტის, სახელმწიფო ბიუჯეტის, საბანკო-საკრედიტო ქსელის და სავაჭრო აპარატის. სახელმწიფო და კოოპერატიულ სექტორმა ბაზარზე გადამწყვეტი პოზიციები დაიჭირა კერძო სავაჭრო კაპიტალის სისტემატიურად გაძევების გზით. საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საფუძველზე გაფართოვდა აგრეთვე, მიუხედავად კაპიტალისტური გარემოცვის ნახევრად ბოიკოტურ მანევრებისა, ჩვენი საგარეო სავაჭრო ურთიერთობა. მიღწეულია სავაჭრო ბალანსის აქტიური სალდო. პარტიის სამეურნეო პოლიტიკა განვლილ პერიოდში ხელს უწყობს, სოციალისტურ ქალაქის ხელმძღვანელ როლის გაძლიერების საფუძველზე, სასოფლო მეურნეობის შემდგომ განვითარებას, სათეს სივრცეების გადიდებას, საქონლიანობის გადიდებას, უფრო მაღალ ტეხნიკის და აგრიკულტურის ელემენტების განვითარებას, როგორიცაა მაგალითად: მრავალ მემინდვრეობა (многополие), ტეხნიკური კულტურები და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაცია. მნიშვნელოვნად განმტკიცდა ეკონომიური კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის. სასოფლო მეურნეობის ზრდასთან ერთად გაიზარდა ქალაქის სამრეწველო საქონლის მიწოდება სოფლისათვის და გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მნიშვნელობა.

მიუხედავად ამისა, საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე ყრილობა საჭიროდ სთვლის აღნიშნოს, რომ ზემოდ აღნიშნული მიღწევები არ არის საკმარისი და რომ სასოფლო მეურნეობის დონე ჯერ კიდევ მეტად დაბალი რჩება. ამიტომ ყრილობა ავალებს ცეკას მიიღოს პრაქტიკული ზომები სასოფლო მეურნეობის განვითარების გასაძლიერებლად. ერთ-ერთ ძირითად ღონისძიებათ ყრილობა სთვლის მიწათმოწყობის სამუშაოთა რაც შეიძლება საჩქაროდ გატარებას. საჭიროა პირველი რიგის ამოცანად დასახულ იქნეს გლეხობის კოოპერატიულად შეკავშირების საფუძველზე, დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობათა თანდათანობით გადასვლა მსხვილ წარმოებაზე (მიწის კოლექტიური დამუშავება მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის და მაშინიზაციის საფუძველზე), განსაზოგადოებულ სასოფლო-სამეურნეო შრომისთვის ყოველმხრივ დახმარების გაწევით და ხელის შეწყობით. სასოფლო მეურნეობის განვითარების ასეთი გაძლიერება აუცილებელია გლეხობის ძირითად მასის კეთილდღეობის გადიდების ინტერესებისათვის, მსხვილი მრეწველობის ბაზრის (გასაღების და ნედლეულობის ბაზრის) გაფართოების ინტერესებისათვის, ეს აუცილებელია აგრეთვე იმისათვის, რომ გატარდეს სასოფლო მეურნეობის ტეხნიკური რეკონსტრუქცია და სოფლის კოოპერაციაში შეკავშირება სოციალისტურ ნიადაგზე, რითაც დაძლეულ უნდა იქნეს კაპიტალისტური ელემენტები სოფლად. ეკონომიური განვითარების განვლილი ხაზი ცხადია, ნაბიჯია წინ სოციალიზმისაკენ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაძლეულია ის სიძნელენი, საფრთხეები და წინააღმდეგობანი, რომელიც დაკავშირებული არიან ჩვენი ზრდის თავისებურობასთან, ქვეყნის ეკონომიურ ჩამორჩენილობასთან და პროლეტარიატისადმი მტრულად განწყობილ სოციალურ-კლასობრივ ძალთა შემოტევასთან, რომლებთანაც სისტემატიური ბრძოლის გზით არის მხოლოდ შესაძლებელი ამ სიძნელეთა დაძლევა და შემდგომი წინსვლა სოციალიზმისაკენ. ამ უმნიშვნელოვანეს სიძნელეთა რიცხვს ეკუთვნის: ექსპორტის და იმპორტის პრობლემა, რომელიც უაღრესად გართულდა საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავების გამო, საქონლის ნაკლებობის პრობლემა — ერთის მხრივ და ქალაქებისა და სასოფლო მეურნეობის მომარაგების გაუმჯობესების პრობლემა— მეორეს მხრივ. დაბოლოს, რეზერვების (საქონლის და სავალიუტო) და კროვების პრობლემა. ყრილობა მთელი პარტიის ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ ამ პრობლემების წარმატებით გადაჭრა მოითხოვს პარტიის მთელი ძალების განსაკუთრებულ დაჭიმვას, მისი ნებისყოფის მთლიანობას და პარტიის დირექტივების გადაუხრელად შესრულებას.

მეხუთმეტე ყრილობა სთვლის, რომ კერძო კაპიტალისტური მეურნეობის ელემენტების მიმართ, რომელთა რიცხვი გაიზარდა აბსოლიუტურად, თუმცა ბევრად უფრო ნაკლებად, კიდრე მეურნეობის სოციალისტური სექტორი, საჭიროა და შეიძლება წარმოებულ იქნეს კიდევ უფრო ენერგიული სამეურნეო შევიწროების პოლიტიკა. წინასწარი პრობლემები კაპიტალისტური ელემენტებზე შემდგომი სამეურნეო შეტევისათვის შექმნილია ეკონომიურ განვითარების უკვე მიღწეულ წარმატებებით საქონლის ბრუნვის ზრდისა და სამხედრო კომუნიზმის ნაშთების ლიკვიდაციის ნიადაგზე (მეხუთმეტე პარტკონფერენციის გადაწყვეტილება), რამაც პროლეტარულ სახელმწიფოს განკარგულებაში დააგროვა სათანადო მატერიალურ-სამეურნეო რესურსები, რომლებიც აუცილებლად საჭიროა როგორც კაპიტალისტურ ელემენტების წარმატებით დაძლევისათვის სოფლად (კულაკის წინააღმდეგ შეტევა საშუალო გლეხთან ერთად, მეტი დახმარება ღარიბ გლეხობას, ღარიბ და საშუალო გლეხობის კოოპერაციის განმტკიცება და მათი საწარმოო კოოპერაციაში გაერთიანება), ისე კერძო კაპიტალის შემდგომი განდევნისათვის ქალაქში.

ცენტრალურ კომიტეტს მე-15 ყრილობა ავალებს შეუსუსტებელი ტემპით განაგრძოს სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა, რომელმაც უკვე მოგვცა თავისი პირველი დადებითი შედეგები. პარტიამ ყოველმხრივ უნდა განამტკიცოს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალური ძლიერება და, არსებულ ფინანსიურ-ეკონომიურ საშუალებათა გამოყენებით, უნდა განაგრძოს წარმოების საშუალებათა დამზადების გაფართოება, კერძოდ უნდა გააფართოოს მეტალურგია და მანქანების მშენებლობა, განავითაროს ჩვენი ქვეყნის შიგნით სამრეწველო ნედლეულის (ბამბის, მატყლი, ტყავი, და სხვა) წარმოება, განაგრძოს თვითღირებულების შემცირების პოლიტიკა და მტკიცედ გაატაროს სამრეწველო პროდუქციის ფასების შემცირების პოლიტიკა. გენერალურ გეზს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისას თან უნდა სდევდეს მტკიცე კურსი წარმოებისა და მმართველობის რაციონალიზაციაზე. წარმოების რაციონალიზაცია სახელმწიფო და კოოპერატიულ აპარატის გაუმჯობესებისა და გამარტივებასთან ერთად წარმოადგენს მომავალ პერიოდის რთულ ამოცანას. პროლეტარიატის ცხოვრების მატერიალურ - კულტურულ დონის აწევისათვის და აგრეთვე საწარმოო პროცესის რაციონალიზაციის ინტერესებისათვის პარტიამ წამოაყენა შვიდი საათის სამუშაო დღეზე თანდათანობითი გადასვლის დებულება მუშათა კლასის საცხოვრებელი დონის შემდგომ აწევასთან ერთად, რაც წარმოადგენს ჩვენი რაციონალიზაციის მეთოდების პრინციპიალურ განსხვავებას კაპიტალიზმის მეთოდებისაგან, სადაც რაციონალიზაციას, პირიქით, თან სდევს მასების საცხოვრებელ დონის დაწევა და სამუშაო დღის გაგრძელება. საკავშირო კომპარტიის (ბ) მეხუთმეტე ყრილობა მოუწოდებს ყველა პარტიულ-სამეურნეო, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებს მთელი ენერგიით შეუდგენ ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანის — სოციალისტური რაციონალიზაციის ამოცანის — გადაჭრას; ყრილობას მიაჩნია, რომ მხოლოდ სოციალისტურ რაციონალიზაციის საფუძველზე არის შესაძლებელი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განხორციელება (რომელიც შეიცავს სოფლის მეურნეობის რაციონალიზაციასაც), უმუშევრობის დაძლევა, პროლეტარულ სახელმწიფოს ბიუროკრატიულ დამახინჯებათა აღმოფხვრა, მუშათა და გლეხთა მასების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ზრდა, ამ მასების შემდგომი კულტურული ზრდა და სოციალისტური მშენებლობის მთავარ სიძნელეთა დაძლევა.

მიუხედავად სოციალისტური მეურნეობის ხელმძღვანელი როლისა, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდება, საბჭოთა კავშირის ეკონომიკის საწარმოო ძალების ზრდას თან სდევს კლასობრივ წინააღმდეგობათა ნაწილობრივი ზრდა. ქალაქისა და სოფლის კერძო კაპიტალისტური ელემენტები, რომელთაც კავშირი აქვთ გაბმული საბჭოთა და სამეურნეო აპარატის ზოგიერთ ბიუროკრატიულ ელემენტებთან, ცდილობენ მუშათა კლასის შემოტევისთვის წინააღმდეგობის გაწევის გაძლიერებას, ცდილობენ პროლეტარული დიქტატურისათვის მტრული გავლენის მოხდენას მოსამსახურეების და ინტელიგენციის განსაზღვრულ ფენებზე და შინამრეწველ-ხელოსნებისა, გლეხებისა და მუშების ჩამორჩენილ ფენებზე. ამ გავლენას ადგილი აქვს აგრეთვე კულტურულ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ დარგში (სმენავეხელთა ქადაგება, კულაკურ-გლეხური კავშირის ლოზუნგი, შოვინიზმი, ანტისემიტიზმი, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებათა ქადაგება და მასთან დაკავშირებული ორი პარტიის შექმნის წვრილ-ბურჟუაზიული ოპოზიციონური ლოზუნგი და სხვ.). კაპიტალისტური ელემენტების გაძლიერებული აქტივობას ამ მტრულ გავლენას მუშათა კლასმა საკავშირო კომპარტიის მეთაურობით დაუპირისპირა პროლეტარული დიქტატურის რეჟიმის განმტკიცება და პროლეტარული მასების აქტივობის, თვითმოქმედებისა და კულტურონობის კიდევ უფრო გაძლიერება (საბჭოების გამოცოცხლება, პროფკავშირების დემოკრატიისა და პროლეტარულ-საზოგადოებრივობის განვითარება, სოფელზე პროლეტარიატის იდეური ზეგავლენის გაძლიერება, კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა მასებში და სხვ.) და აგრეთვე პროლეტარიატის იდეური გავლენის გაძლიერება საბჭოთა ინტელიგენციის ფართო ფენებზე. აღნიშნავს რა ბრძოლის ამ ფრონტზე მთელ რიგ უდავო მიღწევებს, ყრილობა აუცილებლად მიაჩნია მომავალში პროლეტარული მასების მობილიზაცია და ბრძოლის განსაკუთრებული გაძლიერება იდეოლოგიურ და კულტურულ ფრონტზე.

შინაპარტიული მდგომარეობა

საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობა ადასტურებს ჩვენი პარტიის რაოდენობით და თვისობრივ ზრდას მე-14 ყრილობის შემდეგ, სავსებით იწონებს ცეკას პოლიტიკას პარტიის სოციალური მოწესრიგების საქმეში. აღნიშნავს „ოქტომბრის გაწვევის" წარმატებას, საბჭოთა ხელისუფლების ათი წლის თავთან დაკავშირებით და აცხადებს, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) როგორც დიქტატურის ძირითადი ბერკეტის, ხელმძღვანელი როლის შენარჩუნება, უზრუნველყოფა და გაძლიერება შეიძლება ლენინური შემჭიდროვებისა და პარტიის რიგებში პროლეტარული დისციპლინის საფუძველზე პარტიის წევრების იდეურ-თეორეტიულ და კულტურული დონის განუწყვეტელი აწევით, შინაპარტიული დემოკრატიის თანამიმდევრობითი გატარებით და პარტიის სოციალური შემადგენლობის სისტემატიური გაუმჯობესებით, წარმოებიდან მუშებისა და მუშა-ქალების პარტიაში მუდმივი მოზიდვის გზით. პარტიის წევრთა მთელი მასის აქტივობის გაძლიერების მიზნით და განსაკუთრებით პარტიის წინაშე მდგარ ამოცანების სირთულის გამო, ყრილობას აუცილებლად მიაჩნია შინაპარტიული დემოკრატიისა და როგორც საბჭოთა აპარატში ისე თვით პარტიაში არსებულ ნაკლოვანებათა საქმიანი კრიტიკის განვითარება, კარიერიზმთან ბრძოლის გაძლიერება და სხვ. ამასთანავე ერთად ყრილობა პარტიის ყურადღებას მიაპყრობს კომკავშირში, საერთოდ მუშათა ახალგაზრდობაში და ქალთა შორის მუშაობის გაძლიერების აუცილებლობაზე.

მე-15 ყრილობა აღნიშნავს, რომ მიუხედავად გაფრთხილებისა პარტიის მე-13 ყრილობის მხრით, რომელმაც აღნიშნა ამხ. ტროცკის ჯგუფის „წვრილ-ბურჟუაზიული გადახრა", მიუხედავად მე15 საკავშირო პარტკონფერენციის გაფრთხილებისა, ამხ. ტროცკის ხელმძღვანელობის ქვეშ გაერთიანებულ ოპოზიციას „სოციალ-დემოკრატიული გადახრის" შესახებ, —ოპოზიცია, შექმნა რა მან თავისი საკუთარი პარტია თვიდან-თვემდე განაგრძობდა თავისი რევიზიონისტული შეცდომების გაღრმავებას, საკავშირო კომპარტიისა და ლენინის მოძღვრების წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებას, ამ ბრძოლის ს.კ.პ. ფარგლებს გარეთ გადატანით და ქვეყნის არაპროლეტარული ელემენტებისადმი მიმართვით პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმის წინააღმდეგ.

საერთაშორისო კომუნიზმის რენეგატებთან (მასლოვი, სუვარინი და კომპანია) აშკარა ბლოკში მყოფ ოპოზიციის იდეოლოგია ამჟამად ჩამოყალიბდა როგორც მენშევიზმი თავისებური ტროცკისტული ფორმულით. საბჭოთა სახელმწიფო წარმოებების სოციალისტური ხასიათის უარყოფამ, ჩვენს ქვეყანაში ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის შესაძლებლობის უარყოფამ, მუშათა კლასის და გლეხობის ძირითადი მასების კავშირის პოლიტიკის უარყოფამ, ბოლშევიზმის საორგანიზაციო პრინციპების უარყოფამ (საკავშირო კომპარტიისა და ინტერნაციონალის გათიშვის პოლიტიკა),ტროცკისტულ-მენშევიკური ოპოზიცია ლოღიკურად მიიყვანა იქამდე, რომ ის ცილს სწამებს საბჭოთა კავშირს ტერმიდორიანულ გადაგვარებაში, უარყოფს პროლეტარულ დიქტატურას საბჭოთა კავშირში და კონტრ-რევოლიუციონურ ბრძოლას აწარმოებს ამ დიქტატურის წინააღმდეგ. საბოლოო ჯამში ოპოზიციამ იდეური კავშირი გასწყვიტა ლენინიზმთან, გადაგვარდა მენშევიკურ ჯგუფად, დაადგა კაპიტულიაციის გზას საერთაშორისო და შინაური ბურჟუაზიის ძალების წინაშე და გადაიქცა მესამე ძალის ობიექტიურ იარაღად პროლეტარული დიქტატურის რეჟიმის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ მიიღო ოპოზიციამ როგორც პარტიის წევრთა მთელი მასისაგან, ისე მთელი მუშათა კლასისაგან ასეთი განმანადგურებელი წინააღმდეგობა. ტროცკისტების დეზორგანიზატორული მუშაობის წინააღმდეგ მიმართულ ცეკასა და ც. ს. კ. ყველა ღონისძიებებს ყრილობა სთვლის აბსოლიუტურად სწორად და მინიმალურად აუცილებელ ღონისძიებებად და ავალებს ცეკას მომავალშიაც უზრუნველყოს პარტიის ლენინური მთლიანობა, რათაც არ უნდა დაუჯდეს ეს.

ღებს რა მხედველობაში, რომ უთანხმოება პარტიასა და ოპოზიციას შორის ტაქტიკური ხასიათის უთანხმოებიდან გადაიქცა პროგრამულ უთანხმოებად და რომ ტროცკისტული ოპოზიცია ობიექტიურად იქცა ანტისაბჭოთა ბრძოლის ფაქტორად,— მე-15 ყრილობა ტროცკისტული პარტიის მიმდევრობას და მისი შეხედულებების პროპაგანდას სცნობს ბოლშევიკური პარტიის რიგებში ყოფნასთან შეუთავსებლად. საკავშირო კომპარტიის (ბ) სახელით, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის სახელით მე-15 ყრილობა გამოსთქვამს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების მტკიცე პროლეტარულ რწმენას, მიუხედავად ყველა სიძნელეებისა. პროლეტარიატის დიქტატურის ათი წლის არსებობის მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული გამოცდილება ბრწყინვალედ ადასტურებს იმ ლენინური გზის სისწორეს, რომლითაც საკავშირო კომპარტია მიდის. მე-15 ყრილობა წინადადებას აძლევს ცეკას შეუდრეკლად გასწიოს წინ ამ გზით, კიდევ უფრო შეამჭიდროვოს სოციალისტური მშენებლობის დროშის ქვეშ ჩვენი ქვეყნის რაც შეიძლება მეტი მშრომელი მასები, განამტკიცოს სოლიდარობის ძმური კავშირი მთელი ქვეყნის პროლეტარიატთან და საბჭოთა კავშირი წლიდან-წლამდე მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის სულ უფრო და უფრო ძლიერ ფორპოსტად აქციოს.

კამათის გაგრძელება ცეკას ანგარიშის გარშემო

6 დეკემბრის დილის სხდომა

ამხ. მირზოიანის სიტყვა

დელეგაციების მისალმების შემდეგ პირველად გამოვიდა ამხ. მირზოიანი. „ამხანაგებო,—დაიწყო მან,—ამხ. კამენევმა გუშინ სთქვა, რომ ისინი მზად არიან დაემორჩილონ ჩვენი პარტიის მე15 ყრილობის ყველა გადაწყვეტილებას. მე მზად ვიქნებოდი დამეჯერებინა ამ განცხადებისათვის, რომ ვიცოდე, თუ რომელ ოპოზიციონერებს დაუჯერო. ამხ. კამენევმა მე-15 ყრილობაზე განაცხადა, რომ ისინი მზად არიან ყრილობის ყველა გადაწყვეტილებას დაემორჩილონ. ზოგიერთი სხვა ოპოზიციონერები, ისინიც არა ნაკლებ ცნობილნი, ისეთი, მაგალითად, როგორც სარქისია ბაქოში, აცხადებდენ სწორედ შემდეგს: „ნამდვილი ბრძოლა პარტიის მე-15 ყრილობის შემდეგ დაიწყებაო". ვისთვის დაუჯეროთ: ამხ. სარქისს, რომელიც ოპოზიციის ერთი მთავარი ორგანიზატორთაგანია და რომელიც ამბობს, ნამდვილი ბრძოლა პარტიის მე-15 ყრილობის შემდეგ დაიწყებაო, თუ ამხ. კამენევს, რომელიც ამბობს, რომ ისინი მზად არიან იარაღი დაჰყარონ, მზად არიან პარტიის ყველა გადაწყვეტილებას დაემორჩილონ?

ამხნაგებო, მე ვფიქრობ, რომ ამხ. სარქისს უნდა დაუჯეროთ. ამხ. სარქისს იმიტომ უნდა დაუჯეროთ, რომ ამხ. კამენევს სურს არალეგალური პარტიის კადრები შეინარჩუნოს. ამხ. კამენევს ისე სურს მოახერხოს, რომ ისინი, ვინც ჯერ პარტიიდან გამორიცხულნი არ არიან, პარტიაში დარჩენ, რათა ხელსაყრელი მომენტი გამოყენებულ იქნას ახალი ბრძოლისათვის და ახალი გამოსვლებისათვის ჩვენი პარტიის წინააღმდეგ (ხმა: „ვერ დარჩებიან"). ამხანაგებო, რას ლაპარაკობდა აქ გუშინ თვით ამხ. კამენევი? ის ამბობდა, რომ მზად არიან იარაღი დაჰყარონ, მზად არიან ჩაგვაბარონ ფრაქციული მოწყობილობა და სხვა. მაგრამ, ამავე დროს, ამხ. კამენევის სიტყვით ისე გამოდის, რომ ოპოზიცია ყველა საკითხებში თითქო მართალია. მან რამდენიმე საკითხი ჩამოსთვალა. თურმე ოპოზიცია მართალი ყოფილა ჩინეთის საკითხში, ოპოზიცია მართალი ყოფილა ინგლის-რუსეთის კომიტეტის საკითხში, ოპოზიცია მართალი ყოფილა მრეწველობის ნელი ტემპით განვითარების საკითხში, ოპოზიცია მართალი ყოფილა კულაკის საკითხში და სხვა. ამიტომ საკითხავია: რაშიღა არა ყოფილა ოპოზიცია მართალი, თუ ყველა ამ ძირითად საკითხებში მართალია? ოპოზიციის პლატფორმა—პროგრამა ხომ სწორედ ამ მთავარ საკითხებისაგან შესდგება. თუ ყველა ამ საკითხებში ოპოზიცია მართალია, როგორღა შეუძლია ოპოზიციას ბრძოლის შეწყვეტა ცეკას წინააღმდეგ? თუ კი ოპოზიცია მართალია ყველა ამ საკითხებში,—ცხადია, მათ ახლა სურთ (რაკი პარტიის დიდსულოვნებას ხედავენ), დროებით უკან დახევა, სურთ შეინახონ ძალები ახალ მომავალ ბრძოლისათვის, ახალ გამოსვლებისათვის პარტიის წინააღმდეგ. ჩემის აზრით, ასე და მხოლოდ ასე შეგვიძლია გავიგოთ ამხ. კამენევის გუშინდელი გამოსვლა. ამასთანავე, ოპოზიციონერებს არ სურთ აშკარად და მკაფიოდ განაცხადონ, რომ მათ შეცდომათ მიაჩნიათ უკანასკნელი წლის მთელი თავისი მუშაობა, არ სურთ შეცდომათ აღიარონ ყველა ცილისწამება, რომელსაც დღითი-დღე ავრცელებდენ ჩვენი პარტიის წინააღმდეგ უკანასკნელი წლების განმავლობაში.

ოპოზიცია ახლა მთელს კავშირში განადგურებულია. ის ცდილობს უკან დაიხიოს და თავისი ძალები შეინარჩუნოს, რომ მომავალში ხელახალი ბრძოლა დაიწყოს. მე ვფიქრობ, რომ პარტიამ ამაზე უნდა უპასუხოს: „არავითარი პირობები". ან სრულიად დაგვნებდით და იარაღი დაჰყარეთ, ან პარტიის რიგების გარეშე აღმოჰყოფთ თავს. მე მგონია, ამხანაგებო, რომ საშინელი დასასრული უფრო სჯობია, როგორც ვილაცამ სთქვა, ვიდრე დაუსრულებელი საშინელებანი. (ტაში).

ამხ. ტომსკის სიტყვა

ამხ. ლეონოვის შემდეგ გამოვიდა ამხ. ტომსკი, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით შეეგებენ.

მას შემდეგ, რაც ყრილობამდე ოპოზიციის შესახებ ითქვა და მას შემდეგ, რაც აქ ითქვა ოპოზიციის შესახებ, მას შემდეგ, რაც ორი წლის განმავლობაში დოკუმენტალურად გამოაშკარავდა და გამომჟღავნდა—ამბობს ამხ. ტომსკი—ძალაუნებურად: იბადება საკითხი ღირს კიდევ თუ არა ოპოზიციის შესახებ ლაპარაკი? მიუხედავათ ამისა, ამხ. კამენევის გამოსვლის შემდეგ, სამანევრო დოკუმენტის შემოტანის შემდეგ, ამ საკითხის გადაჭრა მაინც გვიხდება, ვინაიდან ჩვენ ვსწყვეტთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომელზედაც დამოკიდებულია: იქნება თუ არა ამის შემდეგ ჩვენს პარტიაში მშვიდობიანობა, თუ ეს მშვიდობიანობა არ იქნება. ვსთქვათ ცოტა რამ ამხ. რაკოვსკის სიტყვის შესახებ, მან თანამედროვე მომენტი დაახასიათა, როგორც მუშათა მოძრაობის შენელების მომენტი, როგორც პასივობის მომენტი მუშათა მოძრაობაში, როგორც გულგრილობის მომენტი მუშათა მოძრაობაში და, კერძოთ, ინგლისის მუშათა მოძრაობაში საბჭოთა კავშირის მიმართ. როგორც მაგალითი, მან დაასახელა ინგლისელ მუშების დამოკიდებულება ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შეწყვეტისადმი. მდგომარეობის რა დამახინჯებაა! ესა სთქვა და ის კი აღარა სთქვა, რომ დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტამდე ერთი წელიწადიც კი არ იყო გასული, რაც ინგლისის პროლეტარიატი სასტიკად დამარცხდა. აქედან დასკვნის გამოყვანა მუშათა მოძრაობაში პასივობისა და გულგრილობის გამეფების შესახებ ვენის აჯანყების შემდეგ, საკოსა და ვანცეტის მოკვლით დასჯის წინააღმდეგ ჩატარებული კამპანიის შემდეგ, იმას ნიშნავს, რომ ამის მთქმელს არაფერი ესმის და მუშათა მოძრაობას ცილს სწამებს. ამხ. რაკოვსკიმ საბუთად გამოიყენა ინგლისელ კონტრ-მზვერავის ჩვენება და წერილები. მაგრამ თუ მე-15 ყრილობაზე საჭირო ხდება მემარცხენეობის გამოჩენა მხოლოდ ბურჟუაზიული გაზეთებიდან ამოღებული ციტატებით, იტო ბაუერის წერილზე დაყრდნობით და ინგლისელ კონტრ-მზვერავის ჩვენებით, მაშინ ეს მემარცხენეობა ძალიან ცუდი ყოფილა. აქ ყველანი არიან მოწმეებად დასახელებულნი: ხუცესი, კულაკი, ჟანდარმი, მხოლოდ მეძავიღა აკლია ამ კამპანიას.

ორიოდე სიტყვა ამხ. მინინის გამოსვლის გამო. ამხ. მინინს არსებითად სურს უკან დაგვწიოს. ამხ. მინინი იმ საათს ჰგავს, რომელიც დადგა ორი წლის წინათ და ახლაც მე-14 ყრილობის დროს გვიჩვენებს. ახლა მე-15 ყრილობაა და არა მე-14, ამხანაგო მინინო, თქვენ ძილში გამოგეპარათ ორი წელიწადი. ამ ორი წლის განმავლობაში კი ბევრი რამ მოხდა, ჩვენ გავიზარდეთ ამ ხნის განმავლობაში. ორ წელიწადში ცოტათი მაინც უნდა დაჭკვიანდეს ადამიანი. მე-14 ყრილობაზე ზინოვიევი, მინინი და სხვები გამოდიოდენ, როგორც ასპროცენტიანი ანტიტროცკისტები. მე-15 ყრილობაზე კი ზინოვიევი, კამენევი და ევდოკიმოვი ისე გამოდიან, რომ მათ ლენინგრადის ორგანიზაციიდან თითქმის არავინ ჰყავთ და გამოდიან, როგორც ასპროცენტიანი ტროცკისტები. აი რაშია განსხვავება. ორი წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. რას ეწვალებით, ამხ. მინინო! თქვენ გსურთ ოპოზიციას ჩამოშორდეთ—ეს კარგი საქმეა, მხოლოდ საჭირო არ არის მე-14 ყრილობისაკენ დაიხიოთ და მე-14 ყრილობიდან სირბილით ცდილობდეთ დაგვეწიოთ. ეს ძნელი საქმეა, დაიხიეთ პირდაპირ, ისე, რომ ბუფერის უსიხარულო უხალისო როლი არ ითამაშოთ.

ორიოდე სიტყვა ევდოკიმოვის შესახებ. შეგვეძლო გვერდი აგვექცია მისთვის, მაგრამ დაჟინებით იმეორებენ ერთსა და იმასვე რომელიღაც თანაგრძნობაზე, რაც, ვითომ, მუშათა კლასმა გამოხატა ოპოზიციის მიმართ ოქტომბრის დღესასწაულების დღეს. ახეულმა ათასებმა დაინახეს, თუ რა თანაგრძნობა იყო ეს თანაგრძნობა. აი, ესეც სწორედ თავისებური სისტემა ტაშისა! ოპოზიციონერებს ეკითხებიან საით მირბიხართ? ჩვენა,—უპასუხებენ,—იმიტომ მივრბივართ, რომ თანაგრძნობენო, მაშ [illegible] კალოშები რაღად დავყარეთ? იმიტომ, რომ ხელთ ვარდები არა ჰქონდათო (სიცილი). აი, თავისებური თანაგრძნობა. არ გისურვებთ, ამხ. ევდოკიმოვო, ასეთ თანაგრძნობას. თუ თქვენ ერთხელ კიდევ ასე გითანაგრძნობენ. როგორც თანაგრძნეს მუშებმა ლენინგრადში, მეშინია, ვაი თუ ასეთი თანაგრძნობის შემდეგ მკურნალობა დაგჭირდეთ.

ამხ. კამენევის სიტყვა სავსებით და მთლიანად შეეფერებოდა წარმოდგენილ დოკუმენტს, ხოლო დოკუმენტი—ამხ. კამენევის სიტყვას. დოკუმენტი შესდგება ორი ნაწილისაგან: ერთი ნაწილი—„ჩვენ გვინდა მშვიდობიანობა", და მეორე—„ჩვენ გვინდა შევინარჩუნოთ ბრძოლის შესაძლებლობა". ამხ. კამენევმა არსებითად მწვავე სიტყვა მეტად მშვიდობიანი ტონით წარმოსთქვა. ამხ. კამენევი ასეთი საქმეების ოსტატი არის. ოპოზიციაში არსებობს შრომის განაწილება: როცა საჭიროა მებრძოლი ფიგურა, გამოჰყავთ ტროცკი, როცა საჭიროა მშვიდობიანობა, ზავი—უშვებენ კამენევს, ხოლო როცა საჭიროა ცრემლების ფრქვევა—უშვებენ ზინოვიევს. რაში მდგომარეობს დოკუმენტისა და ამხ. კამენევის სიტყვის არსებითი მხარე? დოკუმენტი და სიტყვაც აშენებულია იმაზე, რომ თითქოს ისინი მართალნი არიან, ისინი უდანაშაულოდ სცნობენ თავს ამ ბრძოლაში, და მომავალშიაც იბრძოლებენ თავისი შეხედულებების დასაცავად. ვნახოთ, რას გვაძლევს ოპოზიცია და რა სურს მას მიიღოს. როცა მე უკვირდები ოპოზიციის მანევრებს, მე მაგონდება ზოგიერთი ეპიზოდები ჩვენი ომიდან თურქესტანში ბასმაჩებთან. ომი ამგვარად სწარმოებდა: ზამთრამდე მათ ვებრძოდით. ზამთარში ბალახი აღარ არის, ჯიგიტებს ტანისამოსი შემოაცვდათ, ცხენები დაიმშა, ტყვიები გამოელიათ. ისინი მოდიან და გვეუბნებიან: „ჩვენ თქვენ მხარეზე გადმოვდივართ, მხოლოდ იმ პირობით, თუ იარაღს დაგვიტოვებთ"-ო. ზამთარს ისინი ჩვენთან ატარებდენ, ჩვენთან ძღებოდენ, და შემდეგ გაზაფხულზე ისევ მიდიოდენ ჩვენგან და კვლავ იწყებდენ ომს ჩვენს წინააღმდეგ. ოპოზიციას ბასმაჩების ასეთივე ტაქტიკა სურს გამოიყენოს პარტიის მიმართ. მაგრამ ამას ისინი ვერ მოახერხებენ. ამხანაგო კამენევო, თქვენი ჯიგიტები მორალურად და იდეოლოგიურად შებერტყილნი არიან. ტყვიები ფრაქციული ბრძოლისათვის თქვენ არ გაქვთ, თქვენ გინდათ შეისვენოთ ჩვენს ხარჯზე, რომ შემდეგ კვლავ განაგრძოთ ახალი იერიშები. ეს ფანდი არ გაგივათ. რა სთქვა ამხ. კამენევმა არსებითად? მე არ მინდა ყრილობა დავქანცო ციტატების კითხვით. წარსული ყველას ახსოვს უციტატოდაც. თქვენ გახსოვთ პარტიის მე-13 ყრილობა. აი, ფიგურა ტროცკისა, ის ლაპარაკობდა ჯარისკაცზე, რომელიც ხელებ-გაჭიმული სდგას პარტიის წინაშე. გახსოვთ ოპოზიციის განცხადება მე-14 ყრილობაზე პარტიისადმი დამოკიდებულების შესახებ, გახსოვთ 1926 წლ. 16 ოქტომბრის განცხადება, რომელშიაც ოპოზიცია ლაპარაკობდა ფრაქციის დაშლაზე და სხ. დაბოლოს, აგვისტოს პლენუმზე მათ კვლავ განიმეორეს თავისი განცხადებანი. ამის შემდეგ ამხ. კამენევი მოდის მე-15 პარტყრილობაზე და სიტყვა-სიტყვით იმეორებს იმას, რაც მას არა ერთხელ უთქვამს.

რა სურს ოპოზიციას მისცეს პარტიას და რა სურს მიიღოს მისგან! მას სურს პარტიისაგან მიიღოს ამნისტია, სურს მიიღოს შესვენება, პარტიაში სურს შეიტანოს თავისი უვარგისი ტვირთი რუტ ფიშერის, მასლოვის, ფიშელევის, ოსოვსკის და სხვ. სახით. რას პირდება იგი პარტიას? ოპოზიცია პარტიას პირდება ფრაქციის დაშლას, რასაც ჩვენ უმათოდაც შევსძლებთ (ხმები: „მართალია"). იმის მაგივრად, რომ მოსულიყვენ ყრილობის წინაშე და პარტიისათვის ეთქვათ: ჩვენ ორი წლის განმავლობაში ვცდებოდით, გზა-კვალი აგვერია, ვინანიებთ დანაშაულს, ამის მაგივრათ მათ სურთ არაპირდაპირად მიიღონ არა მარტო ყველა მათი დანაშაულის პატიება, მათ სურთ აგრეთვე მიიღონ ჩვენი პარტიის ხაზის არაპირდაპირი დაგმობა მე მესმის, რომ ყრილობა უძღებ გზა-აბნეულ შვილზე იგავის მიხედვით, დადგებ ბიბლიური მამის პოზიციაზე, ხოლო ოპოზიცია გზა-აბნეული შვილის პოზიციაზე, მაშინ შეიძლება პატიება, შეიძლება ბატკანის დაკვლაც მის გასამასპინძლებლად, მაგრამ არც ერთ ლეგენდაში არ არის ნათქვამი, რომ ეს გზა-აბნეული შვილი მივიდა მამასთან და თან მიიტა- [illegible] სურთ მშვიდობიანობა, ზავი ოპოზიციასთან. დიახ, მუშებს უნდათ მშვიდობიანობა, მაგრამ როგორი მშვიდობიანობა? უპარტიო მუშებს უნდათ, რომ თქვენ თავი დაანებოთ ბზუილს, მათ უნდათ, რომ თუ თქვენ არ გაჩუმდებით, პარტიამ გაგაჩუმოთ. ნუ ფიქრობთ, რომ მუშა ყოველთვის შემარიგებელია. იგი შემარიგებელია მანამ, სანამ ხელჩართული ჩხუბი არ დაწყებულა, სანამ მაღლა, ზევით ჩხუბობენ, მაგრამ როცა კი ჩხუბი დაბლაც იწყება, მაშინ მუშა შეურიგებელია.

ამხ. კამენევი გვიმტკიცებდა, თუ რატომ არ შეუძლიათ მათ ყრილობის წინადადების მიღება. მისი უმთავრესი არგუმენტი იყო: ვითომც ბოლშევიკები არასოდეს არ მოითხოვდენ რწმენის, შეხედულებათა სისტემაზე უარის თქმას. თუ თქვენ გაქვთ შეხედულებათა სისტემა, გახსოვდეთ, რომ ჩვენც გვაქვს შეხედულებათა სისტემა. ჩვენი შეხედულებების სისტემა ჩამოყალიბებულია მე-14 ყრილობაზე და მე-15 პარტკონფერენცია. შეხედულებათა ეს სისტემა მდგომარეობს იმაში, რომ იგი თქვენს შეხედულებების მთელ სისტემას ააშკარავებს, როგორც სოც.-დემ. გადახრის სისტემას (ხმები: „მართალია"), თქვენი შეხედულებების ეს სისტემა არ გაძლევთ საშუალებას, რომ ჩვენი ლენინური პარტიის შიგნით განვითარდეს სოციალ დემოკრატიული გადახრა. აი, რა უნდა გაიგოს კამენევმა. აი რა უნდა გაიგონ სხვა ოპოზიციონერებმაც. მაშასადამე ერთამანეთს დაეჯახა შეხედულებათა ორი სისტემა. თქვენი შეხედულებების სისტემას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ჩვენს პარტიაში, ისე როგორც იქ არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა მიასნიკოვის შეხედულებათა სისტემას და „რაბოჩაია პრავდა"-ს შეხედულებათა სისტემას. თავის დროზე ჩვენ ამხ. კამენევის მონაწილეობით დავაპატიმრეთ „რაბოჩაია პრავდა"-ს ჯგუფი და არავის არ მივეცით თვითნებობის საშუალება, ვინაიდან მათი შეხედულებების სისტემა არსებითად იყო მენშევიკური სისტემა, მიმართული პარტიის წინააღმდეგ, პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ. ამჟამად ლაპარაკია იმაზე, რომ ჩვენ არ დავთმობთ ჩვენი შეხედულებების სისტემას. თქვენი შეხედულებების სისტემამ თქვენ მიგიყვანათ კითხვამდე: ან დარჩებით პარტიაში, მიიღებთ სავსებით და მთლიანად პარტიის შეხედულებათა სისტემას, რომელიც ცხოვრებაში ტარდება, ან თქვენი შეხედულებების სისტემით დარჩებით პარტიის გარეთ. თქვენ შეგიძლიათ დარჩეთ პარტიაში, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ პარტიის საზღვართან დასტოვებთ თქვენ შეხედულებათა მთელ სისტემას, მთელ თქვენ ნათრევს, სხვათა ტვირთის სუვარინების, რუტ ფიშერების და მასლოვების სახით.

რატომ არ შეუძლია ყრილობას მიიღოს სხვა რომელიმე პირობა? იმიტომ, რომ თუ სერიოზულად იქნებოდა მიღებული ოპოზიციის მიერ შემოტანილი დოკუმენტი, ეს შეუძლებლად ჰხდიდა პროლეტარიატის დიქტატურის არსებობას. ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება გამოიყვანო შენი მომხრენი ქუჩაში, შეეცადო უპარტიოების გამოყვანას საერთო-მუშურ დემონსტრაციის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ამის შემდეგ კი სთქვა: ეს არ გამივიდა, აღარ არის საჭირო, მე თქვენ მოგაცემთ დოკუმენტსო. რა ფასი აქვს თქვენს დოკუმენტს! ჩვენ პარტია უნდა უზრუნველვყოთ, იგი დაზღვეულ უნდა იქნას ახალ დანაშაულისაგან, პარტიული ღალატისაგან. თქვენი ნოემბრის დემონსტრაცია სხვანაირად არ შეიძლება იქნას დახასიათებული, თუ არა როგორც პარტიული ღალატი თქვენ კი ფიქრობთ, რომ ამ დანაშაულს აიცილებთ თავიდან იაფფასიანი დოკუმენტით!

მე ეჭვი არ შემიძლის, რომ ოპოზიციის შიგნით, რომელიც ერთ ჭერ ქვეშ აერთიანებს წმინდა და არა წმინდა ტროცკისტებს, ყოფილ ასპროცენტიან ანტიტროცკისტებს, მუშათა ოპოზიციის ნამსხვრევებს და დემოკრატიული ცენტრალიზმის ნაშთებს,—მის შიგნით უეჭველად არსებობენ ფრაქციები და ქვე-ფრაქციები, ჯგუფები და ქვე-ჯგუფები, მემარცხენე და მემარჯვენე ჯგუფები, მემარჯვენე ცენტრი და მემარცხენე ცენტრი. მაგრამ ეს ხომ ტროცკისტული და არა ლენინური პარტიის იდეალია. აი, ამიტომ არ შეგვიძლია ჩვენ დავკმაყოფილდეთ ოპოზიციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით. აი, რატომ იქნებოდა შეცდომა, რატომ იქნებოდა პარტიის დასამარება, რომ ეს დოკუმენტი მიგვეღო საფუძვლად, რომ შევთანხმებოდით ოპოზიციას იმ დოკუმენტის ნიადაგზე, რომელსაც ისინი გვიდგენენ. პარტია ამაზე არ დასთანხმდება. ამხანაგო კამენევო, თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენი შეხედულებების სისტემამ დაგტოვათ პარტიის გარეთ. ყველა იმათ, ვინც პარტიის შიგნით ჯერ კიდევ სდგას საზღვართან და ღია კარებთან, პარტია ეუბნება: ან ღია კარებიდან გადააგდეთ თქვენი შეხედულებების მთელი სისტემა და მაშინ დარჩებით პარტიაში, ან მთელი თქვენი შეხედულებების სისტემით გადით კარებიდან.

სხვათა შორის, ევდოკიმოვი და კამენევი სპეკულიაციას ეწეოდენ. ისინი ამბობდენ: ჩვენ ათეული წლობით ვიბრძოდითო. თქვენ წარსულში გაქვთ დამსახურება, ეს მართალია. თქვენ მუშაობდით პარტიისათვის. მაგრამ ნება მიბოძეთ მოგაგონოთ ერთი გმირის სიტყვები გორკის პიესაში: „წარსულის ეტლით შორს ვერ წახვალთ". ამის გარდა კიდევ უნდა ითქვას: თქვენი მოქმედებით ეს წარსული ისეთი გაცვეთილი და გახუნებული გახდა, რომ ამ მხრივ ბევრი არაფერი შეგრჩათ სატრაბახო. თუ სასწორის ერთ მხარეზე დავდებთ თქვენს დამსახურებას პარტიის წინაშე და მეორე მხარეზე იმას, რაც თქვენ ჩაიდინეთ და გააფუჭეთ ამ ორი წლის განმავლობაში, მაშინ სასწორის მეორე ნაწილი გადასძლევს.

როცა კამენევი და ზინოვიევი ბოლშევიკები იყვენ, ისინი მჭერმეტყველურად ქადაგობდენ, რომ ტროცკიზმი შეუთანხმებელია ლენინიზმთან. ეს სავსებით მართალია. ყოველგვარი ცდა, რომ ერთმანეთში აურიო ეს ორი თეორია და შექმნა რაღაც მესამე თეორია, წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი. ჩვენ ლენინური პარტია ვართ, ტროცკიზმს და ლენინიზმს არ შეუძლიათ ერთად ცხოვრება. ამიტომ ამოირჩიეთ. მოდით პარტიასთან და სინდისიერად უთხარით, რომ გზა-კვალი აგებნათ, შესცდით, დაიბენით, რომ სამჯერ მოატყუეთ პარტია, რომ ხელს იღებთ ამ შეხედულებათა მთელ სისტემაზე, უკუაგდებთ მას არასასიამოვნო თანამგზავრებთან ერთად იმ იმედით, რომ პარტია გაპატიებთ. აი თქვენი ერთად-ერთი შესაძლო ხაზი და მხოლოდ ამ პირობებში შეუძლია პარტიას სთქვას: ვნახოთ, დაიცით, ნუ იქნიებთ ბელადის როლის პრეტენზიას, იმუშავეთ, მაგრამ არა ისე, როგორც ეხლა მუშაობთ. ჩვენ გვინდა მუშაობა და არა კრიტიკა (მხურვალე ტაში).

(კამათის გაგრძ. იხ. მეორე გვერ.)

საქართველოს ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

6 დეკემბრის საღამოს სხდომა

მისალმებები ყრილობას

მოსკოვი, 8 დეკემბერი. 6 დეკემბრის საღამოს სხდომაზე კვლავ მოსმენილი იქნა ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივების და გლეხების დელეგაციების მრავალრიცხოვანი მისალმებები. პირველად ყრილობას ესალმებიან ბრიანსკის პროფინტერნის სახელობის ქარხნის მუშათა დელეგატები **კოზლოვი** და **ხრუსტალიოვი**, ბრიანსკელებს შემდეგ მისასალმებელ სიტყვას ამბობენ შემდეგ ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლები: ლიუდინის ქარხნის, კრამატორიის ქარხნის, ბრიანსკის მექანიკური ქარხნის, კიევის ოლქის შაქრის ქარხნების, აბელმანის სახელობის ფაბრიკის, ივანოვ-ვოზნესენსკის ფაბრიკის, ლისევსკის მექანიკური ქარხნის, სარატოვის მანქანების საამშენებლო ქარხნის და იმავე ქალაქის ცემენტის და ლენინის სახელობის ქარხნების, ჩერნიგოვის საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლის „მოსკოვის გუბერნიის სამანუფაქტურო ქარხნების, როსტოვის რკინის გზის სახელოსნოების, წითელ აქსაის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნების, დონის როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის, ირკუტსკის ოლქის სამრეწველო წარმოებათა, ილიჩის სახელობის მარიუპოლის ქარხნის მუშების და სარატოვის გუბერნიის გლეხობის წარმომადგენლები. მისასალმებლად გამოსული ყველა ორატორები ამტკიცებდენ, რომ საბჭოთა კავშირის სამეურნეო ფრონტზე ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე აქვს უდიდესი მიღწევები. ინტენსიურად მიმდინარეობს წარმოების რაციონალიზაციის პროცესი, ჩქარი ტემპით ხდება ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. მუშები არწმუნებენ მე-15 ყრილობას, რომ ოპოზიციას არავითარი გასავალი არა აქვს მუშათა მასსებში, რომელთა სიმპატია მთლიანად ლენინის პარტიის და მის ცეკას მხარეზეა. ყველა უპარტიო მუშები ერთხმად მოითხოვენ მე-15 ყრილობისაგან გადამჭრელ ღონისძიებების მიღებას ოპოზიციის ამოსაფხვრელად, ვინაიდან მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას სათანადო პირობები პარტიის შემდგომი ნაყოფიერი მუშაობისათვის სოციალისტურ მშენებლობის დარგში.

გლეხმა **ბოროდინმა** და გლეხის ქალმა **ბრუწინმა** თავის მისასალმებელ სიტყვებში ხაზი გაუსვეს პარტიის სწორ ხაზს სოფლად და განაცხადეს, რომ პარტიის მიერ სოფლად გატარებულ მთელ რიგ ღონისძიებებს უკანასკნელ წლებში შედეგად მოჰყვა ღარიბი და საშუალო გლეხობის მეურნეობის განმტკიცება.

თითქმის ყველა დელეგაციებმა ყრილობას მიუძღვნეს საჩუქრები. ამხანაგმა **ბულჩინმა** ირკუტსკის ოლქის მუშათა სახელით ამხ. რიკოვს გადასცა „ოიგები“ (ციმბირული წაღები) და განაცხადა, რომ ციმბირის მუშები პატიჟებენ ამხ. რიკოვს, რომ ერთხელ მაინც ეწვიოს იგი ციმბირის მუშებს ამ წაღებში. ამხ. **შიდლაკოვმა**, რომელიც ყრილობას მიესალმა ვისაკოვსკის მანუფაქტურის ქარხნის მუშების სახელით, განაცხადა, რომ 1923 წლის ვისაკოვსკის მანუფაქტურის მუშებმა ამხ. ტროცკი აირჩიეს საპატიო ფეიქრად, ეხლა მუშებმა დაადგინეს დაითხოვონ ტროცკი „მერვე თანრიგის“ მიხედვით.

ამხ. პეტროვსკის საპასუხო სიტყვა

მისასალმებლად გამოსულ მუშათა და გლეხთა დელეგაციების საპასუხოდ ამხ. პეტროვსკიმ განაცხადა შემდეგი:

„გადაეცით თქვენ გამომგზავნელ მუშებსა და მუშა-ქალებს, გლეხებსა და გლეხ-ქალებს, რომ კომუნისტური პარტია მტკიცედ დაიცავს საბჭოთა კავშირში პროლეტარულ წესრიგს და არავის—არც საერთაშორისო ბურჟუაზიას, არც ოპოზიციას ნებას არ მისცემს დაარღვიოს იგი.

შემდეგ ყრილობა გადადის ცეკას საორგანიზაციო ანგარიშის გარშემო გამართულ კამათის გაგრძელებაზე.

ამხ. ბაკაევის სიტყვა

ამხ. ბაკაევის სიტყვა.

ამხ. სტალინის მოხსენების მიხედვით მე უნდა შევეხო ორ საკითხს, რომელთაგან ერთი შეეხება კულაკზე შეტევას. მე ყურადღებით გადავიკითხე გაზეთებში დაბეჭდილი ამხ. სტალინის მოხსენება და ვნახე, რომ ამ მოხსენებაში გაკვრითაც არ არის მოხსენებული, რომ საჭიროა კულაკზე შეტევის გაძლიერება. გაძლიერდა თუ არა ამ უკანასკნელ წლებში კულაკი, საჭიროა თუ არა მისი შემოტევის მოგერიება, აი ძირითადი საკითხები, რომლებიც ამჟამად დგანან პარტიის წინაშე. ამ საკითხებზე ამხ. სტალინის მოხსენებაში პასუხს ვერ ვპოულობთ. ჯერ კიდევ მე-14 ყრილობაზე ჩვენ წინადადებას ვიძლეოდით დაგვეწყო შეტევა კულაკზე, ეხლა,—ორი წლის გასვლის შემდეგ, უნებურად გვებადება ეჭვი, ხომ არ დაგვაგვიანდება ჩვენ კულაკზე შეტევა? მეორე საკითხი, რომელიც ჩვენს ყურადღებას იპყრობს არის საკითხი ჩვენი პარტიის სოციალური მდგომარეობის შესახებ. ჯერ კიდევ პარტიის მე-13 ყრილობამ მოგვცა შემდეგი დირექტივა. ერთი წლის განმავლობაში დაზგის მუშების რიცხვი ყოფილიყო არა ნაკლები 50 პროცენტისა. მე-14 ყრილობაზე, მიუხედავად ჩვენი პროტესტებისა, ეს დირექტივა დადასტურებული არ ყოფილა, რის შედეგსაც ამჟამად წარმოადგენს პარტიის შემადგენლობის გაუარესება. ბაკაევის სიტყვას არა ერთხელ სწყვეტდენ პროტესტებით.

ამხ. მედვედევის სიტყვა

ბაკაევის შემდეგ გამოდის ამხ. მედვედევი (უკრაინა).

ამხ. სტალინმა,—ამბობს მედვედევი,—თავის მოხსენებაში აღძრა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა, რომლებიც დაწვრილებით განხილვას საჭიროებენ, მაგრამ სამწუხაროდ ამ ყრილობის და აგრეთვე წინანდელ ყრილობების მუშაობის პირობები ისეთია, რომ მშვიდობიანი მუშაობის საშუალება გვესპობა, ჩვენ გვიხდება მთელი დრო და მთელი ჩვენი ენერგია მოვახმაროთ ოპოზიციასთან ბრძოლას, ცოტა ხნის წინად ჩვენ წინ გვქონდა ოპოზიციის პლატფორმა, სადაც იგი აცხადებდა, რომ ყველა მნიშვნელოვან საკითხებში იგი შორდება პარტიას. ოპოზიციის აზრით, ჩვენ ცუდათ ვსწყვეტთ მუშათა საკითხს და გლეხობის საკითხს. ალბად იმიტომ, რომ ჩვენი შეცდომა გამოუსწორებია, ოპოზიციამ არა მარტო გამოუშვა თავისი პლატფორმა, არამედ ქუჩაშიდაც გამოვიდა. მან ნამდვილი ბუნტი მოაწყო პარტიის წინააღმდეგ, ყველაფერი იმის შემდეგ, რაც ოპოზიციამ ჩაიდინა უკანასკნელ ხანებში, რა საკვირველია, ძნელია დაუჯერონ მათ განცხადების გულწრფელობას შინა-პარტიული ბრძოლის შეწყვეტის და ყრილობის დადგენილებისადმი დამორჩილების შესახებ. ოპოზიციას ჩვენ გადაჭრით უნდა დავუყენოთ საკითხი: ან ჩვენთან, ან ჩვენს წინააღმდეგ.

ბაკაევის საპასუხოდ მედვედევი ამბობს, რომ ბაკაევმა ვერ გაიგო მე-14 ყრილობის დადგენილებათა აზრი პარტიის შემადგენლობის მოწესრიგების შესახებ და ვერც პარტიული შუაფენების გაძლიერების საჭიროება სოფლად.

ამხ. მედვედევის შემდეგ გამოვიდა ამხ. მიქოიანი.

ამხ. მიქოიანის სიტყვა

თავისი სიტყვის დასაწყისში მიქოიანი შეეხო ამხ. ბაკაევის გამოსვლას.

„ამხ. ბაკაევმა,—სთქვა ამხ. მიქოიანმა, სცადა პარტიის საქმიანი კრიტიკა და თავისი სიტყვის ერთი პორცია ოპოზიციის შესახებ გადასდო მეორე საკითხისთვის, მაგრამ, ამხანაგებო, ოპოზიციას უცნაური საქმე ემართება. პარტია აწყობს დისკუსიას, იწვევს მათ პარტიულ სხდომებზე. ისინი კი მიდიან არალეგალურ კრებებზე. პარტია იწვევს მათ ყრილობაზე სათათბირო ხმით, ისინი ამ მოწვევას არ უსმენენ და სხდომებს აწყობენ შინ—თავისთან. შემდეგ გაზეთებიდან ტყობილობენ, თუ რა ხდება ყრილობაზე. ბაკაევი ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ ამხ. სტალინის მოხსენებიდან, ვერ შევსძელი გამეგო იზრდება თუ არა კულაკი, ვებრძვით თუ არა მას და ვაპირებთ თუ არა მის წინააღმდეგ ბრძოლას. მე მგონია, ასეთი ქცევით ვერაფერს ვერ გაიგებ. მის საყურადღებოდ მე ვაცხადებ, რომ შეტევას კულაკის წინააღმდეგ ჩვენ მუდამ ვაწარმოებთ და რამდენადაც მეტი ძალა გვექნება, ვფიქრობთ ჩქარად და ენერგიულად შევუტევთ კულაკს.

ამხ. ბაკაევმა სცადა ჩვენი პარტიის სოციალური შემადგენლობის დაჩრდილვა. მე მგონია, რომ ეს ცდაც მარცხით დამთავრდება. საუკეთესო პასუხი საკითხზე, თუ როგორია ჩვენი პარტიის სოციალური შემადგენლობა, არის 70 ათასი მუშის შესვლა ჩვენი პარტიის რიგებში. ამის საპასუხოდ გამოდგება აგრეთვე მე-15 პარტყრილობის სოციალური შემადგენლობა. მე-14 პარტყრილობაზე გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე დელეგატთა შემადგენლობაში 60 პროცენტს მუშები შეადგენდენ. დღევანდელ პარტყრილობაზე გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე დელეგატთა შემადგენლობაში 78 პროცენტი მუშაა.

ბევრი ითქვა ამ ყრილობაზე გადაგვარების საშიშროების შესახებ. ეს საშიშროება ჩვენს ქვეყანაში არსებობს. მე უნდა განვაცხადო, რომ ამ საშიშროების პირველი დიდი მსხვერპლი შეიქნა თვით ტროცკისტული ოპოზიცია.

ავიღოთ თუნდაც ტროცკი. მას შემდეგ, როცა მას მოსცხეს 1923 და 1924 წელში, მან 1925 წელში სახელმწ. საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრების გამო დასწერა არც თუ ცუდი წიგნაკი „სოციალიზმისაკენ თუ კაპიტალიზმისაკენ“. ეს ციფრები ჯამს უკეთებდენ 1924—25 წლის შედეგებს და პერსპექტივებს სახავდენ მომავალი წლისათვის. აი, რა დასწერა მან: „ამ მშრალი სტატისტიკური ციფრების მწკრივებში გაისმის სოციალიზმის ზრდის მშვენიერი ისტორიული მუსიკა“-ო. მაგრამ რატომ მოხდა, რომ როცა ეს ციფრები 3—4 - ჯერ მეტად გაიზარდა, ოპოზიციისათვის აღარ არის „სოციალიზმის მუსიკა“. იმიტომ, რომ ოპოზიციონერები აღარ არიან ბოლშევიკი-სოციალისტები, იმიტომ, რომ ტროცკის სმენა დაუჩლუნგდა. ზინოვიევი და კამენევი იმეორებენ 1917 წლის შეცდომებს. მათი პროტესტი აჯანყების წინააღმდეგ, მათი შეცდომა, როგორც ამბობდა ტროცკი, არ იყო გამოწვეული იმით რომ პირველად შეშინდენ, შეუშინდნენ თავისი ტყავის. საქმე ამაში არ არის, საქმე არ არის ადამიანის პირად თვისებაში, არამედ იმაში, რომ მაშინ მათ არ სწამდათ რუსეთის რევოლუციის ძალა. ამ რწმენის უქონლობამ თავისი ახალი გამოხატულება ჰპოვა ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე ჩვენ ვხედავთ რომ გადაგვარების საფრთხეს პირველ რიგში განიცდიან თვით ოპოზიციონერები. გადახრა მთელ მიმდინარეობად, ახალი პარტიის მთელ იდეოლოგიად გადაიქცა, მათი ბრალდება ტერმიდორიანული გადაგვარების შესახებ არის მენშევიკების გაცვეთილი ბრალდებების გადაღეჭვა.

რას გვეუბნება ოპოზიციის განცხადება და ამხ. კამენევის გამოსვლა? ეს განცხადება და გამოსვლა გვეუბნება, რომ პარტიის ცხოვრება ერთი წლით უკან უნდა შევაბრუნოთ, უნდა შევაბრუნოთ წარსული წლის ოქტომბრისაკენ. ჩვენ კი ოპოზიციას უნდა უთხრათ: ისტორიის ბორბლის უკან შებრუნება შეუძლებელია. ეხლა აღარ არის 1926 წელი. ეხლა თქვენ გახდით არა უბრალო ფრაქცია, თქვენ ეხლა წარმოადგენთ არა უბრალო გადახრას, არამედ ცალკე პარტიას, საკუთარი, ჩვენთვის უცხო იდეოლოგიათ, პროგრამით; საკუთარი კადრებით. ამხ. კამენევი შეეცადა ამის უარყოფას და ამტკიცებდა, რომ მათ აქვთ არა საკუთარი პარტია, არამედ ფრაქცია. მაგრამ, ამხანაგებო, რით განსხვავდება პარტია ფრაქციისაგან, როგორია პარტიის ელემენტები, რა არის პარტია? ამბობენ, რომ საჭიროა ოფიციალური „პროგრამაო“. მაგრამ მოგაგონებთ, რომ ბოლშევიკებს ათი წლის განმავლობაში არ ჰქონიათ ცალკე, საკუთარი პროგრამა.

მაგრამ ბოლშევიკები მაინც ცალკე პარტიას წარმოადგენდენ. ოპოზიციონერებს აქვთ თავისი პლატფორმა თავისი პროგრამა, თავისი ცეკა, თავისი საოლქო კომიტეტები, თავის პარტიაში იღებს იმათ ვინც არ იმყოფება ჩვენს საერთო პარტიაში, გამორიცხულებს სთვლიან თავის წევრებად, აქვთ საკუთარი სალარო, თავისი სტამბა, მართავენ თავის დემონსტრაციებს, აქვთ განსაკუთრებული ლოზუნგები უპარტიო მასებისათვის. ეს ხომ ნამდვილი პარტიაა. მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი ამ პერიოდის განმავლობაში იყო ის, რომ ოპოზიცია ფრაქციიდან პარტიად გადაიქცა. უმთავრესი ფაქტი ამ წელში არის ის, რომ ოპოზიცია ქუჩაში გამოვიდა და პარტიის წინააღმდეგ მიმართა „მესამე ძალას“. ოპოზიციამ ამ მომენტიდან გამორიცხა თავისი-თავი პარტიიდან და თავისი ნებით საბოლოოთ აიკრა გუდა. ამიტომ ოპოზიციის დღევანდელი წინადადება არის უბრალო მანევრი. მათ ვერ მოახერხეს ახალი პარტიის შექმნა, მუშათა კლასმა მოსცხო მათ. ამიტომ მათ სურთ შესვენება, კადრების შენარჩუნება, რომ სხვა, უფრო ხელსაყრელ მომენტში შეეცადონ მწვავე ბრძოლის გაჩაღებას. ჩვენ არ მოვტყუვდებით. ზავი ოპოზიციასთან შესაძლებელია მხოლოდ ოპოზიციის სრული კაპიტულაციით. კამენევი შერიგებას გვიქადაგებდა. მაგრამ რას ამბობდა კამენევი ერთი თვის წინედ აქ, ამ დარბაზში? სწორედ ამ კამენევს, რომელმაც ცეკას უწოდა რევოლუციის მესაფლავე, დღეს სურს ჩვენთან შერიგება. აქ გამოვიდა რაკოვსკიც, რომელიც შეეცადა დაემტკიცებია, რომ თითქოს მსოფლიო ბურჟუაზია ემხრობა ცენტრალური კომიტეტის ხაზს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მსოფლიო ბურჟუაზია და მისი ყველაზე უფრო საშიში აგენტები—მენშევიკები ესალმებიან ოპოზიციას.

რა სურს ოპოზიციას და როგორ უნდა მოვექცეთ მას? კამენევი და მთელი ოპოზიცია აცხადებს, რომ დაემორჩილება პარტიის ყველა გადაწყვეტილებებს და დაშლის ფრაქციას, მაგრამ თავის შეხედულებებს დაიცავს წესდების ფარგლებში. რას ნიშნავს ეს? სწორედ ეს ნიშნავს არ დამორჩილებას პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებისადმი, სწორედ ეს ნიშნავს ჩვენი და ოპოზიციის შეხედულებათა სწორუფლებიანობის აღიარებას, ეს ნიშნავს ნეომენშევიკურ შეხედულებების ლეგალიზაციას ჩვენს პარტიაში. ჩვენი პარტიული ყრილობა უარყოფს ამ შეხედულებებს და განდევნის ყველა იმათ, ვინც მოისურვებს ამ შეხედულებათა დაცვას, თვით წესდების ფარგლებშიაც, ვინაიდან ასეთი შეხედულებების ყოველგვარი დაცვა არის პარტიის გადაწყვეტილებათა დარღვევა და არდამორჩილება ყრილობისადმი.

ყრილობამ უნდა დაგმოს ოპოზიციონურ შეხედულებათა სისტემა და ეს შეხედულებანი უკანონოდ უნდა სცნოს ჩვენს პარტიაში. საჭიროა ოპოზიციის არა მარტო ორგანიზაციული კაპიტულიაცია, არამედ იდეურიც. უამისოდ პარტია ვერ უზრუნველჰყოფს პროლეტარული დიქტატურის მთლიანობას, ვერ უზრუნველჰყოფს ჩვენს ზრდას მომავალში, ბოლშევიკური პარტიის რევოლიუციონური მთლიანობას. ამხ. კამენევი ემყარება პარტიიდან გამორიცხულთა დიდ დახმარებას. ეს მართალია. კამენევიც და ზინოვიევსაც მადლობა უნდა უთხრათ წარსული მუშაობისათვის პარტიაში, წარსული ბრძოლისათვის ტროცკიზმთან. ისინი ცუდად არ მუშაობდენ, მაგრამ მათი უბედურება იმაშია, რომ მათ ვსცხებთ მათივე იარაღით. მათი უბედურება იმაშია, რომ ისინი უარს ამბობენ თავის კარგ წარსულზე. ჩვენ მზად ვართ მივიღოთ მათი მემკვიდრეობა. ჩვენ გული გვტკიოდა და ყოველგვარი საშუალებით ვცდილობდით დაგვეტოვებია ისინი პარტიის ხელმძღვანელობის ადგილზე, მაგრამ ისინი ყოველი საშუალებით შეეცადენ, რომ გაეწყვიტა ყოველგვარი ძველი კავშირი პარტიასთან. ლენინი ამბობს: „მოღალატე შეიძლება გახდეს მხოლოდ ჩვენი კაციო“-ო. ჩვენ ვიცით, რომ ამხ. კამენევი და ზინოვიევი ჩვენები — ბოლშევიკური რევოლიუციონერები იყვენ, მათ გვიღალატეს, ისინი ტროცკისთან ერთად წავიდენ ნახევარ-მენშევიკურ გზაზე ბოლშევიზმის წინააღმდეგ. ჩვენი პარტიისათვის მძიმე მომენტში, როცა სდგას საკითხი ასეთ გამოჩენილი პიროვნებათა შესახებ ჩვენს პარტიაში და მათის მხრით გაუგონარი მოქმედებაზე, ჩვენ ლენინური მეთოდით უნდა გადავსწყვიტოთ საკითხი. ან ოპოზიციონერებმა დაუყოვნებლივ უნდა შესწყვიტონ პარტიისა და პროლეტარული დიქტატურის დეზორგანიზაცია, ან უნდა განაგრძონ ასეთი მოქმედება და მაშინ პარტია თავის რევოლიუციონურ მთლიანობას აღადგენს ტროცკისტული დეზორგანიზატორების და კაპიტულიანტების გამორიცხვით. ჩვენ შევინარჩუნებთ პარტიის მთლიანობას, ვინაიდან ამ მთლიანობაზე არის დამოკიდებული სოციალიზმის შემდგომი წარმატებანი ჩვენს ქვეყანაში და საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის წარმატებანი. პასუხისმგებლობა დიდია, საქმე ძნელია, მაგრამ პარტიამ მე-15 ყრილობაზე მაინც უნდა სთქვას: „ტროცკისტულ ოპოზიციას ბოლო უნდა მოეღოს“! (ტაში).

ამხ. იაროსლავსკის სიტყვა

ამხ. მიქოიანის სიტყვის შემდეგ გამოვიდა ამხ. იაროსლავსკი.

ყველაზე უფრო დაუსაბუთებელ და უპასუხისმგებლო გამოსვლას აქ ადგილი ჰქონდა—განაცხადა ამხ. იაროსლავსკიმ—იმათ მხრივ, ვინც თავის-თავს უწოდებს პროლეტარულ ლენინურ მემარცხენე ფრთას პარტიაში, ვინც ასე უწოდებს თავის-თავს ჯერ კიდევ აქამდის, როცა მათი საქმიანობის კონტრ-რევოლიუციონური ბუნება სავსებით გამომჟღავნებულია. დღეს აქ გამოვიდა ამხ. ბაკაევი. ორი საკითხი აირჩია მან თავისი გამოსვლისათვის. პირველი საკითხი პარტიის სოციალური შემადგენლობის მოწესრიგების შესახებ. მაგრამ დეე ამხ. ბაკაევმა მოიგონოს, იყო თუ არა ჩვენი პარტიის ცხოვრებაში ისეთი მომენტი, რომ პარტიაში ყოფილიყო 62,5 პროც. მუშები. ასეთი მომენტი არ ყოფილა. პარტიამ 1924 წლიდან 1927 წლის პირველ იანვრამდე მიიღო 488.000 მუშა წარმოებიდან. მეთოთხმეტე ყრილობიდან მეხუთმეტე ყრილობამდე ჩვენ მივიღეთ 71.000 ოქტომბრის გაწვევის გარდა, ხოლო ოქტომბრის გაწვევას ჩათვლით ჩვენ პარტიაში მივიღეთ 150.000 მუშა. თუ ავიღებთ მოსამსახურეთა შემადგენლობას, ამ პერიოდში მოსამსახურეების მიღება შემცირდა 16,5 პროცენტიდან 8,5 პროცენტამდე; ე. ი. ერთი-ორად. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მოხსენებაში ჩვენ მოვიყვანთ ციფრებს ოპოზიციის სოციალურ შემადგენლობის შესახებ. თქვენ დაინახავთ როგორია ამ ოპოზიციის „პროლეტარული სახე“. ჩვენი პარტიის სოციალური შემადგენლობის მოწესრიგება დიდი და რთული საკითხია. ჩვენ ვერ დავხურავთ სრულებით კარებს გლეხებისათვის, ჩვენ ახლო მომავალში უნდა დავსვათ საკითხი [illegible] კომკავშირელთა შესახებ. ჩვენში შეიქმნა ასეთი მდგომარეობა: ძველი არალეგალური მომუშავე—კომუნისტები თავიანთ ბავშვებს ზრდიან კომუნისტურ პრინციპების მიხედვით, მაგრამ როცა მოვა მათი პარტიაში მიღების დრო, გრაფაში სოციალურ მდგომარეობის შესახებ აღინიშნება „მოსამსახურე“, საჭირო იქნება მთელ რიგ ასეთ საკითხების გადაჭრა. ჩვენ არ ვაცხადებთ, რომ პარტიაში მივიღებთ მარტო დაზგის მუშებს, მაგრამ ამ საკითხების გადაჭრა დაკავშირებულია პროლეტარული კადრის შემდგომ განმტკიცებასთან. მე მინდა შევჩერდე ერთ საკითხზე, რომელიც დაკავშირებულია ოპოზიციის განცხადებასთან.

თავის განცხადებაში ოპოზიციონერები ამბობენ: „ჩვენ არასოდეს არ ვსდებდით ბრალს პარტიას ტერმიდორიანობაში. ჩვენ გთვლით თქვენ პროლეტარულ პარტიათ“, მაგრამ ჩვენ არც ერთ მათგანიდან არ მოგვისმენია აქ—მიაქვთ თუ არა მათ უკან ისეთი ბრალდებები, როგორიცაა, მაგალითად, ბრალდება, რომ ჩვენი პარტია წარმოადგენს რაღაც გომინდანის მსგავსს. ამას ამბობდა ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმზე 29 ივლისს და 9 აგვისტოს ზინოვიევი. ამის შესახებ ლაპარაკობდენ ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის სხდომაზე პრეობრაჟენსკი და [illegible]. ამ ცილისწამებას ოპოზიციონერები გულმოდგინედ ავრცელებენ. ამის შემდეგ წარმოიდგინეთ ამ ხალხის დარჩენა ჩვენს პარტიაში. არაფერი კარგი აქედან არ გამოვა. განა მათ უკან წაიღეს ის ბრალდებები, რომელიც მათ წაუყენეს პარტიას, აი, მაგალითად, ტროცკიმ 1927 წლის ოქტომბერში ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე პარტიას წაუყენა ასეთი ბრალდება: „აპარატიული ფრაქცია, რომელიც არსებობს პარტიაზე ძალდატანებით, პარტიული აზრის ჩახშობით, პროლეტარული ავანგარდის დეზორგანიზაციით, არა მარტო საბჭოთა კავშირში - მთელს მსოფლიოშიაც, ოპორტიუნიზმით გაჟღენთილი ფრაქცია, რომელსაც უკანასკნელ წლების განმავლობაში კუდში მისდევდენ და მისდევენ ჩან-კაი-ში, ფინ-იუი-სიანი, ვან ტინ ვეი, პერსელები; ხიკსები, ბენტილეტები, შმერალები; კუუსინენები; პეპერები; გეიცები, ნეიმანები, რადეკები, მარტინოვები, კონდრატიევები და უსტრიალოვები. ამ ფრაქციას არ შეუძლია შეურიგდეს ჩვენს ყოფნას ცენტრალურ კომიტეტში ყრილობამდე ერთი თვით წინაც კი“. არამც თუ ერთი თვის წინ ყრილობამდე, არამედ ერთი წუთითაც არ შეიძლება ისეთი ხალხის მოთმენა პარტიაში, რომლებიც ერთ ზანაკში ათავსებენ ფინ-იუი-სიანს, ჩან-კაი-შის და კომინტერნის აღმასკომის წევრებს.

აი სად არიან ნამდვილი, უსინდისო ამალგამშიკები. თქვენ გაიგონეთ, როგორ გაჰყვიროდა ამ გაერთიანებულ პლენუმზე ტროცკი: „არსებულ აპარატის საშუალებით, არსებულ რეჟიმის საშუალებით ავიწროებენ პროლეტარულ ავანგარდს, ზურგ გამაგრებული ბიუროკრატები, მათ რიცხვში ბიუროკრატი მუშები, ადმინისტრატორები, სამეურნეო მუშაკები და ახალი მესაკუთრეები, ქალაქის და სოფლის პრივილეგიის მქონე ინტელიგენტები, ყველა ის ელემენტები, რომლებიც მუშტებს უჩვენებენ პროლეტარიატს და ეუბნებიან: „ეს თქვენ მეთვრამეტე წელი არ გეგონოთ“. რა არის ეს? ეს განა არ არის ბრალის დადება ტერმიდორიანობაში.

ან ტროცკის ასეთი ბრალდება: „პარტიულ რეჟიმში თავის გამოხატულებას პოულობს პარტიულ ხელმძღვანელობის მთელი პოლიტიკა. ამ პოლიტიკამ უკანასკნელ წლებში თავისი კლასიური ღერძი გადახარა მარცხნიდან მარჯვნივ, პროლეტარიატიდან წვრილ-ბურჟუაზიისაკენ, მუშათა კლასიდან სპეცისაკენ, უბრალო პარტიელიდან აპარატჩიკისაკენ მოჯამაგირის და ღარიბ გლეხისაგან კულაკისაკენ, შანხაის მუშისაგან ჩან-კაი-შისაკენ, ჩინელ გლეხისაგან ბურჟუაზიულ ოფიცრობისაკენ, ინგლისის პროლეტარიატიდან პერსელისა, ხიკსისა და გენსაბჭოს წევრებისაკენ და ასე დაუსრულებლად“. განა ეს არ არის ბრალდების წაყენება ცეკასა და მთელ ბოლშევიკურ პარტიისათვის თითქოს ის ადგეს ტერმიდორიანობას და ანტი-პროლეტარულ გზას. მათ ჩვენ წამოგვიყენეს ბრალდება, თითქოს ჩვენ გვინდოდა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმება. სთქვეს თუ არა მათ მთელი დისკუსიის განმავლობაში თუნდაც ერთი სიტყვა თავის გასამართლებლად ამ ცილისწამების გამო? დაამტკიცეს თუ არა მათ რაიმე საბუთით თავისი ბრალდებები პარტიის მიმართ თითქოს ჩვენ ვქადაგებთ კომუნისტების გასვლას ჩინეთიდან, თითქოს ჩვენი პარტია ეპირება მემარჯვენე მანევრის მოხდენას იმისათვის, რომ შეუთანხმდეს იმპერიალისტებს.

აბსოლიუტურად არაფრით.

აი რატომ ვფიქრობ მე ამხანაგებო, რომ მართალი არიან ის ამხანაგები, რომლებიც ამბობენ, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მივცეთ ოპოზიციონერებს იმის საშუალება რომ შემოვიდენ პარტიაში ამ იარაღით, დარჩენ პარტიაში ამ ცილისწამებით მოზხამული, თავიდან ბოლომდე მენშევიკური იარაღით. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამხ. კამენევი გამოდის აქ საკმაოდ სერიოზული ჩხუბის შემდეგ, რომელიც მათ ჰქონდათ ურთიერთშორის. ამ ჩხუბის შესახებ მე მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა ერთ-ერთ იქ მოჩხუბარ ამხანაგის სიტყვების მიხედვით. აი წერილი, რომელიც დაწერილია ყრილობის წინდღით ერთ-ერთ ოპოზიციონერის მიერ. ამ ოპოზიციონერის გვარია ივანოვი. ვაჭრობის სახალხო კომისარიატიდან ეს ოპოზიციონერი სწერს მეორე ამხანაგს: „განწყობილება მძიმეა სტალინის მიერ პარტიაში შექმნილ რეპრესიების გამო. უკანასკნელმა დღეებმა გაიარა ყოველგვარ ცვლილებების მოლოდინში. სტალინის მომხრეებმა წამოაყენეს ლოზუნგი: „დაიჩოქეთ“. ჩვენებმა დაიწყეს მსჯელობა მდგომარეობის შესახებ. ზედა ფენებში გაჩნდა მცირეოდენი უთანხმოება. ერთი ნაწილი ძლიერ მომხრეა კაპიტულიაციის, მეორე ნაწილი კი ლ. დ-ს მეთაურობით და განსაკუთრებით ქვედა საფეხურის მუშაკები, ემხრობიან ბრძოლის გაგრძელებას გამარჯვებამდე. კომპრომისის შედეგად, ყრილობას, რომელიც დღეს გაიხსნა, გადაეცა მთლიანი განცხადება; რომლის აზრი ასეთია: „არაფერში არ ვცნობთ ჩვენს შეცდომას, შემდეგშიაც ვრჩებით ჩვენი შეხედულებების ნიადაგზე; იმ პირობით, თუ მოგვეცა ჩვენი შეხედულებების დაცვის საშუალება წესდების ფარგლებში, თუ შეწყვეტილი იქნება რეპრესიები და თუ უკანვე იქნებიან მიღებული პარტიიდან გამორიცხულები, ვშლით ფრაქციას და ვწყვეტთ ყოველივე ორგანიზაციულ მუშაობას. ამავე პირობებში სავალდებულოდ ვსცნობთ ყრილობის დადგენილებებს და ვიმუშავებთ მათ გასატარებლად ცხოვრებაში. ბოლოს დავსძენთ და ხაზს ვუსვამთ, რომ თუ განცხადება მიღებულ იქნა, ჩვენ მას სასტიკად შევასრულებთ და ვარწმუნებთ ყრილობას; რომ ეს არ არის მანევრი, ან დიპლომატია, არამედ პარტიაში მშვიდობიანობის ნამდვილი სურვილი როგორ წავა ეხლა აღდგენის საკითხი—ამას გადასწყვეტს ყრილობა. არის იმედი, რომ სტალინის მომხრეთა გონიერება გაიმარჯვებს და ისინი დათანხმდებიან მორიგებაზე. მაგრამ ვშიშობთ, რომ შესაძლოა საქმის სხვანაირად დაბოლოვებაც, მაშინ ბრძოლა გაგრძელდება“.

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მოხსენებასთან ერთად ჩვენ კიდევ წარმოგიდგენთ ცოტაოდენ დოკუმენტებს იმაზე, თუ რას ფიქრობს ოპოზიცია ხვალინდელი დღის შესახებ. თქვენ აქ მოისმინეთ, თუ როგორ განაცხადეს მათ, რომ ისინი ემორჩილებიან პარტიას, მზად არიან ყველაფერზე, კულისებში კი სწყდება შემდგომი ბრძოლის საკითხი ვღებულობ პასუხისმგებლობას განვაცხადო, რომ ამ ბრძოლაში ტროცკისტები იმარჯვებენ ოპოზიციის იმ მოხრეებზე, რომლებსაც უნდოდათ საქმის დაბოლოება მორიგებით, მე ვაცხადებ, რომ ტროცკისტები სულ უფრო და უფრო აყენებენ მათ ანტიპარტიულ გზაზე, აწყვეტინებენ კავშირს პარტიასთან. საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე ოპოზიციის მუშაობის ზოგიერთ შედეგებზე—გულგატეხილობის ფსიქოლოგიაზე, გულგატეხილობის განწყობილებებზე ოპოზიციის მომხრეთა შორის, ოპოზიციამ მაინც გაჰყვა რამოდენიმე ათასი კაცი. შესაძლებელია ოპოზიციას კომკავშირის ახალგაზრდობაშიაც ჰყავდეს რამოდენიმე ათასი კაცი; რომლებიც მას თანაუგრძნობენ.

რამდენადაც მენშევიკური იდეები პოლიტიკურად რყვნიან მუშათა კლასის ამ პატარა ნაწილს, რამდენადაც ამგვარი ფაქტები, როგორც გმირებად დასახვა პიროვნებათა, და რომელნიც დაავადებულნი არიან დოსტოევშჩინით, ესენინშჩინით, და რომელნიც მორალურად არყვნიან ახალგაზრდობის ამ ნაწილს, მუშათა კლასის ამ ნაწილს, ოპოზიციის ბრძოლამ ხელი შეუწყო ყოველგვარი ავადმყოფური მოვლენების განვითარებას. ამხ. სტალინმა სრულიად სამართლიანად გაუსვა ხაზი, რომ აუცილებელია სერიოზული ყურადღება მიექცეს ბრძოლას ანტისემიტიზმთან. ოპოზიცია ამ საკითხს აზვიადებს, სცდილობს საქმის ვითარება დასახოს ისე, რომ ვითომცა ანტისემიტიზმი არის ოპოზიციასთან ბრძოლის მეთოდი. ჩვენ წარმოვადგენთ მთელ რიგ დოკუმენტებს, რომლებიც სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებენ; ეს დოკუმენტები ამტკიცებენ, რომ ოპოზიციის მთელი პროგრამა აშენებულია ანტისემიტიზმზე. ოპოზიცია სცდილობს პარტიას წაუყენოს ბრალდება ანტისემიტიზმში, მაგრამ ეს არ არის უსინდისო ცილის წამების ისეთივე მოწამლული იარაღი, როგორც ყოველივე ის, რასაც იგი ამტკიცებდა როგორც ვაჭრობის მონოპოლიის; პარტიის, გომინდანის შესახებ, და მთელ რიგ სხვა პოლიტიკურ საკითხებზე, მე არ მჯერა ამხანაგებო,—სთქვა დასასრულ ამხ. იაროსლავსკიმ—რომ ტროცკისტების ბრძოლა ჩვენს პარტიასთან შესწყდეს მე-15 ყრილობის შემდეგ ჩვენ თვალები არ უნდა დავხუჭოთ იმის წინაშე, რომ ტროცკისტები უღრესად გაამწვავებენ ბრძოლას ჩვენს პარტიასთან. როგორც არ შეუწყდება საერთოდ სოციალ-დემოკრატიის ბრძოლა ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, ისევე არ შეუწყდება ტროცკისტულ-მენშევიკური ჯგუფის ბრძოლა ჩვენს პარტიასთან. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ეს ჯგუფი შევამციროთ მის მომხრეთა სრულიად უმნიშვნელო რიცხვამდე, ისევე; როგორც შევამცირეთ მენშევიკების მომხრეთა რიცხვი ჩვენს ქვეყანაში და ვინაიდან ეს აბსოლიუტურად აუცილებელია შემდგომი სოციალისტური მშენებლობისათვის და ჩვენ პარტიის ჯანსაღი მუშაობისათვის და რევოლიუციის საკეთილდღეოდ, ჩვენ ამ ბრძოლაში არ უნდა შევჩერდეთ არავითარ საშუალებათა წინაშე. თუ პატარა ჯგუფმა, რომლის მომხრეთა რიცხვი ერთ პროცენტსაც კი არ შეადგენს, გამოიყენა ყოველგვარი საშუალებანი; მით უფრო ჩვენ პარტიას აქვს უფლება დაუნდობელი ბრძოლა აწარმოოს ამ გამთიშავი მენშევიკური ჯგუფის წინააღმდეგ ჩვენს ლენინურ პარტიაში (ტაში).

ყრილობის დღიური

7 დეკემბრის დილის სხდომა

მოსკოვი, 7 დეკემბერი. 7 დეკემბერს დილის სხდომაზე ცეკას საანგარიშო მოხსენების გამო რეზოლიუციის მიღების შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. **ორჯონიკიძის** მოხსენება ცენტრ. საკონტრ. კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის მუშაობის შესახებ. ამით დამთავრდა დილის სხდომა.

საღამოს სხდომა

საღამოს სხდომა გახსნა ამხ. **ჩუბარმა**, იწყება კამათი ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობას იღებენ: **ზატონსკი** (უკრაინა), **კოტოვი** (მოსკოვი) **ილინი** (მოსკოვი), **აფანასიევი** (ჩრდილო-კავკასია), **ფაბრიციუსი** (წითელი არმიიდან). ამით დამთავრდა საღამოს სხდომა.

8 დეკემბრის დილის სხდომა

ყრილობის 8 დეკემბრის დილის სხდომას ხსნის ამხ. **მიხა ცხაკაია**, რომელიც ყრილობას აუწყებს ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან მისასალმებლად გამოგზავნილ დელეგაციების მოსვლას.

შემდეგ ყრილობა ისმენს ჩელიაბინსკის მაღაროების, შავი ზღვის ოლქის მუშების,—ბრიანსკის პირველ მაისის სახელობის ქარხნის, ივანოვ-ვოზნესენსკის ფაბრიკის — „წითელი პროფინტერნის“, ტულის ქარხნების, ნადეჟდინის ქარხნების—მუშების და ციმბირის რკ. გზელების წარმომადგენლების მისალმებას.

მისალმების მოსმენის შემდეგ ყრილობა გადადის ამხ. **ორჯონიკიძის** მოხსენების გარშემო გამართულ კამათის გაგრძელებაზე. დილის სხდომაზე კამათში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ამხანაგებმა: **ფიგატნერმა** (მოსკოვი), **იანსონმა** (მოსკოვი), **გოგაევმა** (ლენინგრადი) **იაროსლავსკიმ** (მოსკოვი), და **მოროზმა** (მოსკოვი).

ამით გათავდა დილის სხდომა.

ბოლშევიკურმა ყრილობამ გადაწყვიტა

რეზოლიუცია ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის, ამხ. სტალინის და ამხ. კოსიორის მოხსენებათა შესახებ მიღებულია ბოლშევიკური ყრილობის მიერ ერთხმად. ერთხმად,—არც ერთი ხმა წინააღმდეგ და არც ერთი თავშეკავებული. ყრილობის ცენტრალური რეზოლიუციის ერთხმად მიღება წარმოადგენდა ძლევა-მოსილი პროლეტარული დიქტატურის მე-10 წლის თავზე ბოლშევიკური ოჯახის რკინისებური პროლეტარული შემჭიდროების, ლენინის მილიონიან კოლექტივის აზრის, ნებისყოფის, მოქმედების შეურყეველი ერთობის კიდევ ერთ დემონსტრაციას.

რა უთხრა მე-15 ყრილობამ საბჭოთა კავშირის ბოლშევიკებს, მთელ მუშათა კლასს და კომუნისტურ ინტერნაციონალს? როგორია მის მიერ უკანასკნელ წლებში ბევრად გამოცვლილი თანამედროვე საერთაშორისო და შინაური პირობების შეფასება? როგორია მთავარი დადგენილებები, რომელნიც აღბეჭდილნი არიან პარტიის უმაღლეს ორგანოს პირველ უმნიშვნელოვანეს რეზოლიუციაში და რომელნიც გარდაუვალ კანონს წარმოადგენენ ყველა ლენინელისათვის?

ძალუა დაჭიმვით, მახვილი და ფხიზელი თვალით აკვირდება ბოლშევიკური ყრილობა მის წინ გაშლილ საერთაშორისო პერსპექტივებს და მომავალი ბრძოლების მოხაზულ კონტურებს. ფხიზლად, მარქსისტულად ზომავს იგი კაპიტალიზმის შანსებს და საერთაშორისო რევოლიუციის კონტრშანსებს. დიახ კაპიტალიზმი დროებით მაღლა სწევს საწარმოო ძალებს, სცილდება ომის წინანდელ ფარგლებს და სცდილობს გამაგრდეს შერყეულ ნიადაგზე, მაგრამ შეუჩერებლივ მწვავდება წინააღმდეგობანი მის შიგნით, უფრო და უფრო მერყევი ხდება და თანდათან ლპება მისი განვითარების საფუძველი. იზრდება ახალი მსოფლიო ომის საშიშროება, მაგრამ ამავე დროს იქმნება წინასწარი ობიექტიური პირობები მსოფლიო კონფლიქტების რევოლიუციონური გადაწყვეტისათვის, [illegible] განიარაღებაში ჩნდება ახალი [illegible] და აშკარავდებიან კაპიტალისტური წრეების ფაქტორები. ევროპა სდგას რევოლიუციონური აზვირთების ისტორიულ მიჯნაზე, სწარმოებს მასსების გამემარცხენება და პროლეტარულ რიგების რევოლიუციონური აქტივობა მეტად იზრდება კომინტერნისა და მისი სექციების გარშემო, როგორც ერთგული და გაწვრთნილი ჯარისკაცნი საერთაშორისო რევოლიუციისა, საბჭოთა კავშირის ბოლშევიკები თვალყურს ადევნებენ უდიდეს ბრძოლას, რომელიც საერთაშორისო მასშტაბით სწყვეტს საკითხს: ვინ ვის აჯობებს?

მუშათა კლასის და პარტიის რჩეულნი,—სავსებით დარწმუნებულნი თავიანთ მიზნების სისწორეში, დინჯათ, საქმიანად უკეთებენ ჯამს სოციალისტურ მშენებლობას, მეურნეობის ზრდას და მშრომელთა მასსების მატერიალურ-კულტურულ ამაღლებას. [illegible] ნათელი ბოლშევიკური ყრილობის [illegible]. ამ დროს, როცა მენშევიკურ ხაფანგში გაბმული ტროცკისტები შიშით [illegible], ჩვენ ვიზრდებოდით და ვმტკიცდებოდით. პროლეტარულ დიქტატურას ძალა ემატება და ემატებოდა ამ ორი წლის განმავლობაში. სწორედ ეს ჩვენი [illegible] წარმატებანი და მიღწევები, ეს გაღრმავებული პროლეტარული ძალის [illegible] საშუალებას გვაძლევენ [illegible] ჩვენი ბრძოლის და საამშენებლო მუშაობის შემდგომ ეტაპზე. ინდუსტრიალიზაციის გზაზე წინ წაწევით, [illegible] ენერგიის დაჭიმვით, წარმოების და მეურნეობის სოციალისტური რაციონალიზაციის მთავარ ამოცანის გადაჭრით, ჩვენ შეგვიძლია და უნდა ვაწარმოოთ გაბედული შეტევის პოლიტიკა კერძო კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, რომელნიც თავის აბსოლიუტურ მასსით გაზრდილია, თუმცა [illegible] უფრო ნაკლებად, ვიდრე [illegible] სოციალისტური სექტორი. [illegible] ბოლშევიკური ყრილობის მიერ საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერების პერსპექტივაზე აღებულ კურსს ემატება მის მიერვე აღებული კურსი ნეპმანზე და კულაკზე შეტევის გასაძლიერებლად სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურულ იდეოლოგიურ ფრონტებზე.

მე-15 ყრილობა აშკარად; სრულიად შეულამაზებლად მიუთითებს ბოლშევიკებს და მთელ მუშათა კლასს მოსალოდნელ სიძნელეებზე. იგი—პარტიის ხელმძღვანელი ორგანო არა თუ „ჩქმალავს“ ამ სიძნელეებს, როგორც ეს ელანდებათ ოპოზიციის [illegible], არამედ ყრილობა საერთო პოლიტიკურ რეზოლიუციაში დაწვრილებით ჩამოსთვლის მას, მიაქცევს მათზე მშრომელ მასსების ყურადღებას, გამოაქვს ისინი მთელი საერთაშორისო ბოლშევიკობის დასანახავად და [illegible] სათანადო დირექტივას მთელ ხაზზე.

ბოლშევიკურ პარტიას არა აქვს ისეთი ტრადიციები, რომ იგი ჩქმალავდეს, ან ეშინოდეს ამ სიძნელეების და საფრთხეების. მას სიძნელეები დაუძლევია და გაძლიერებული ტემპით მომავალშიაც შესძლებს მათ დაძლევას.

პარტიის ნებისყოფა ოპოზიციის მიმართ სავსებით აშკარად არის გამოხატული. ყრილობამ გადასწყვიტა, რომ ოპოზიცია პოლიტიკურად „მორჩა“ — გათავდა, რომ, დასასრულ, მას ბოლო მოეღო. ყრილობამ ავტორიტეტულად განაცხადა, რომ პარტიასა და ოპოზიციის უთანხმოებანი ტაქტიკური ხასიათის უთანხმოებიდან უკვე პროგრამულ უთანხმოებად იქცენ. აი სად არის ტროცკისტული სექტის მილიონიან [illegible] გარიყვის და ჩამოშორების ფესვი. აი საიდან იწყება ის დიდი მანძილი, რომელიც „მათ“ ჩვენგან აშორებს.

ოპოზიცია თავისი პოლიტიკური გახრწნის პროცესში დღეისათვის უკვე „შემდეგ კლასში“ გადავიდა. თუ წინად შეიძლებოდა ლაპარაკი ოპოზიციის წვრილბურჟუაზიულ და მენშევიკურ „გადახრაზე“, ეხლა შეიძლება და უნდა ვილაპარაკოთ ოპოზიციის შეხედულებათა და მოქმედებათა აშკარა მენშევიკურ ხასიათზე. არა მენშევიკური გადახრა, არამედ ნამდვილი მენშევიზმი, თუნდაც თავისებური ტროცკისტული ფორმულიროვკით—ასე დაახასიათა საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობამ თანამედროვე ტროცკიზმის პოლიტიკური სახე. თუ წინად განსაზღვრულ პირობებში და განსაზღვრულ საფეხურზე, როცა აღებული იყო კურსი მათ გამოსასწორებლად, შეიძლებოდა წვრილბურჟუაზიულ გადახრის მოთმენა,—მენშევიზმის პროპაგანდის მოთმენა ბოლშევიკურ ორგანიზაციებში არ შეიძლება. ტროცკისტული ოპოზიციის მიმდევრობა და საკავშირო კომპარტიის რიგებში ყოფნა ლოღიკურად და პოლიტიკურად ვერ ეგუებიან ერთმანეთს. აი რატომ ამბობს ყრილობის დადგენილება შემდეგს:

„იღებს რა მხედველობაში, რომ უთანხმოება პარტიასა და ოპოზიციის შორის ტაქტიკური ხასიათის უთანხმოებიდან გადაიქცა პროგრამულ უთანხმოებათ და, რომ ტროცკისტული ოპოზიცია ობიექტიურად ანტი-საბჭოთა ბრძოლის ფაქტორად, მე-15 ყრილობა ტროცკისტული პარტიის მიმდევრობას და მისი შეხედულებების პროპაგანდას აცხადებს ბოლშევიკური პარტიის რიგებში ყოფნასთან შეუთავსებლად“.

ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გარშემო გამართულ კამათში ყრილობამ „ოპოზიციონურ საკითხს“ დიდი ყურადღება მიაქცია არა იმიტომ, რომ იგი ამ საკითხს სხვაზე მეტ მნიშვნელობას აძლევდეს, არც იმიტომ, რომ მას განსაკუთრებით აინტერესებდეს ოპოზიციის დღევანდელი ხაზი,—პროლეტარიატისაგან გარიყულ ტროცკისტული ჯგუფის ტრაგი-კომიკური მდგომარეობა სამართლიანად იწვევს მხოლოდ სიცილსა და ზიზღს!—ყრილობამ დიდი ყურადღება მიაქცია ამ საკითხს მხოლოდ იმიტომ, რომ ამით თავდება შინა-პარტიულ ბრძოლის მთელი ისტორიული საფეხური. რომ ბოლოს დადგა დრო მტკიცედ გამოვაცხადოთ: კმარა! ოპოზიციონურ ფრაქციას ბოლო მოეღოს. ოპოზიციამ ხელი არ უნდა შეგვიშალოს და ვერც შეგვიშლის ხელს. ჩვენი პარტიის ყველა ბერკეტები ჩვენ უნდა დავუკავშიროთ დადებით საქმიან შემოქმედებით მუშაობას.

ყრილობას სრული საფუძველი ჰქონდა „საკავშირო კომპარტიის (ბ) და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის სახელით გამოეხატა მტკიცე პროლეტარული რწმენა სოციალიზმის გამარჯვებაში ჩვენს ქვეყანაში, და დაავალა ცეკას და მთელ პარტიას მუშაობის წარმოება ამ მიმართულებით.

ლენინური გზით სოციალიზმისაკენ—წინ!

ასეთია ბოლშევიკური ყრილობის შეუდრეკელი ნება.

„პრავდა“ 8 დეკემბერი.

ყრილობის დარბაზიდან

ამხ. სერგო ორჯონიკიძეს მოხსენება

კამათი მოხსენების გარშემო

ხუთშაბათი, 8 დეკემბერი

თავის მოხსენებაში ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის შესახებ ამხ. ორჯონიკიძე იძლევა ჩვენი სახელმწიფო აპარატის შეფასებას: „როდესაც ჩვენ გვეუბნებიან, რომ ის ჯერ კიდევ ცუდია, ეს, რა თქმა უნდა, მართალია. მაგრამ იმისათვის, რომ უფრო სწორად მივუდგეთ საკითხს, უნდა მივიხედოთ უკან; როდესაც ჩვენ ავიღეთ ძალა-უფლება, ჩვენ არ ვიყავით მომზადებული იმისათვის, რომ გვემართა სახელმწიფო. ძველი მოხელეების, ტეხნიკურ ძალების და სხვ. გამოუყენებლად. ჩვენ გამოვიყენეთ ისინი ჩვენს აპარატში.

როდესაც ჩვენს აპარატს ვაგინებთ, ვივიწყებთ, თუ როგორ აყენებდა საკითხს სახელმწიფო აპარატის შესახებ ამხ. ლენინი“.

ამხ. ორჯონიკიძეს მოჰყავს მთელი რიგი ციტატები ლენინის შრომებიდან სახელმწიფო აპარატის შესახებ პროლეტარიატის დიქტატურის დროს. „ბიუროკრატიზმის ერთბაშად დაძლევა არ შეიძლება. ბიუროკრატიულ დამახინჯებას ჩვენში აქვს ეკონომიური ფესვები. მაგრამ თუ ბიუროკრატიზმი დამახასიათებელია ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ბუნებისათვის, ის უნდა მოისპოს საბჭოთა სისტემის პირობებში.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლა რჩება უმნიშვნელოვანეს ამოცანად. რა გზით მიდის ჩვენი სახელმწიფო აპარატი და როგორია მისი მიმართულება?

ოპოზიცია ამ საკითხზე იძლევა შემდეგ პასუხს: „ბიუროკრატიზმი იზრდება, ხდება სახელმწიფო აპარატის გადაგვარებაო და სხვა“.

ეს ასე არ არის.

სახელმწიფო აპარატის მანქანას აქვს ნაკლი (ეს ნაკლი ბევრია), მასში ადგილი აქვს ბიუროკრატიულ დამახინჯებებს, ის ზედმეტად დიდია, რაც ხელს უშლის სოციალისტურ აღმშენებლობას, მაგრამ ეს ჩვენი აპარატია და ჩვენ ის უნდა გავაუმჯობესოთ“.

ამხ. სერგომ ფარდა ახადა ოპოზიციის ცილისწამებას ჩვენს წითელ არმიაზე.

„ჩვენი არმია,—ამბობს ამხ. სერგო,—უჩვენებს მთელ მსოფლიოს, თუ როგორ შეუძლია მას პროლეტარულ რევოლიუციისა და სოციალიზმის დაცვა.

ჩვენი მეურნეობის დასახული ხუთწლიანი გეგმა მოწმობს იმას, რომ აპარატის საჭე ჩვენ გვიპყრია და საკითხი, თუ ვინ ვის დასძლევს, ისე, როგორც ყველა სხვა საკითხები, გადაიჭრება ჩვენ სასარგებლოდ.

ჩვენი აპარატი ჯერ კიდევ ძალიან დიდია და მთელ კავშირში ეს აპარატი შეიცავს 3.700.000 მეტ კაცს. მაგრამ აქედან ორი მილიონი კაცი მოდის ადმინისტრატიულ სამმართველო შემადგენლობაზე. ეს აპარატი ყოველწლიურად გვიჯდება 2 მილიარდი მანეთი.

სანამ შეუდგებოდა სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებას, მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაიწყო მისი შესწავლა.

ძირითადი ნაკლულოვანებანია: პირველი—გადაჭარბებული ცენტრალიზაცია, მეორე—პარალელიზმის არსებობა. მესამე—გაურკვევლობა პასუხისმგებლობის საკითხში (არ იციან, ვინ რისთვის აგებს პასუხს). მეოთხე—საქმის გაჭიანურება ქაღალდების მიმოწერით. მეხუთე—პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი არ სრულდება და მახინჯდება.

ამხ. სერგოს მოყავს ბიუროკრატიული გადამახინჯების მთელი რიგი მეტად საინტერესო მაგალითები, რომლებსაც ფაქტებით ასურათებს. მაგალითად, სომხეთის სოც. საბჭ. რესპ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო თვითონ სწყვეტს სულ უბრალო საკითხს რაღაც უმნიშვნელო წვრილმანების შესახებ.

გლეხები ზარალის ანაზღაურების მიღებად დადიან ყველა ინსტანციებში და ამ ხნის განმავლობაში ხარჯავენ იმ თანხის უდიდეს ნაწილს, რომელიც უნდა მიიღონ. არსებობდა ორი სრულიად პარალელური ორგანიზაცია: სახელმწიფო საფეიქრო სინდიკატი და საფეიქრო სინდიკატი, ამასთანავე პირველი სრულიად არაფერს არ აკეთებდა, როცა სვამდენ საკითხს სახელმწიფო საფეიქრო სინდიკატის ლიკვიდაციის შესახებ, ამის წინააღმდეგ ილაშქრებდენ და ამბობდენ: საფეიქრო სინდიკატი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, ხოლო სახელმწიფო საფეიქრო სინდიკატი—სახელმწიფო ორგანიზაცია არისო.

რაც შეეხება ანგარიშგებას, ამ დარგში ადგილი ჰქონდა და აქვს რაღაც გაუგონარ არაჩვეულებრივ მოქმედებას“.

შემდეგ ამხ. სერგო ეხება ჩვენი სასამართლო აპარატის ნაკლულოვანებებს: საქმე დიდხანს ჭიანურდება, ხანდახან მოწმეებს ტყუილ-უბრალოდ იბარებენ სასამართლოში და სხ. ერთი წლის განმავლობაში სასამართლოში მიცემული იყო და მოწმეებად იქნა გამოწვეული დაახლოებით 4 მილიონი კაცი, ე. ი. მთელი მოსახლეობის 19 პროცენტი.

საბაჟო ქაღალდმა რომელიმე საგნის მისაღებად მოსკოვიდან 43 ოპერაცია უნდა გაიაროს. წინადადებაზე, რომ შევამციროთ საქმის გაჭიანურება, ასეთი პასუხი გაგვცეს: თქვენ ამით არღვევთ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიასო. ერთი ინვალიდი 7 წელიწადი ელოდა პროტეზის მიღებას.

შემდეგ ამხ. სერგომ აღნიშნა მიღწევები: მარტო სახელმწიფო აპარატმა შეამოკლა ცენტრში და პერიფერიებში 23.000 კაცი.

საგრძნობლად არის შემოკლებული ანგარიშგება, თითქმის 15 პროცენტით. როდესაც მუშათა და გლეხთა ინსპექცია საერთო ენას გამონახავს ხოლმე დაწესებულების ხელმძღვანელებთან, მაშინ საქმე წინ მიდის. ამაში უჯრედები მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებენ. ჩვენ მოვახერხეთ კოოპერატიული აპარატის შემოკლებაც ბრუნვის გადიდების პირობებში. შევამოკლეთ ბანკების ქსელიც და ამით შარშან გადავარჩინეთ 9 მილ. მანეთი.

კაპიტალური მშენებლობის საკითხი ინდუსტრიალიზაციის საკითხია. ამ დარგში ჩვენ საკმაო ნაკლი გვაქვს, მაგრამ ამ ნაკლს ვასწორებთ კიდეც. მხედველობაშია მიღებული საზღვარგარეთის გამოცდილებაც. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დიდი მუშაობა შეასრულა. საქმეს ძირში მოჰკიდა ხელი, რამაც ბევრის მხრით სარგებლობა მოგვიტანა.

მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრსა ჰბაძავენ: მათაც ასეთივე უზარმაზარი აპარატი აქვთ.

ამხ. ბახტაძემ ყველას, და მათ შორის მეც გადმომცა წერილი, სადაც ის სჩივის, რომ მის დაწესებულებას—საქართველოს წყალთა სამმართველოს ხშირ კონტროლს უწევენო. მე უპასუხე: საქმე ისე წაიყვანეთ, რომ შეიძლებოდეს კონტროლი არ გაგიწიონ. ამ დაწესებულებაში საკმაო უმსგავსოება ხდება. იმის მაგიერ, რომ იჩივლოთ, უკეთესია ქურდები მოიშოროთ და სხვა ადგილას მოათავსოთ.

საინტერესოა შემდეგი ფაქტი: ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ მოსკოვის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურს იმდენი ცნობები მოსთხოვა, რომ სადგურის ხელმძღვანელებმა ან უნდა შტატი გაადიდონ, ან და ინჟინრები, რომლებიც ოპერატიულ მუშაობას ასრულებენ, უნდა გადაიყვანონ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსათვის ცნობების დამუშავების საქმეზე.

სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ წინადადება მისცა კოლომენსკის ქარხანას, რომ 18 წლის მუშაობის ანგარიში ჩააბაროს.

ნაკლი ბევრია, მაგრამ ზოგიერთი რამ გაკეთებულიც არის და საჭიროა მიღწეული შედეგები შევინარჩუნოთ. არ შეიძლება მთელი ჩვენი ქვეყანა ამუშავო იმისათვის, რომ ვინმემ წიგნის დაწერა მოისურვოს.

ციფრებით გამოხატული მიღწევები, შეიძლება ითქვას, გადაჭარბებულია. ციფრები იმას ამბობენ, რომ სამას-ოთხას მილიონამდე გადავარჩინეთ. მე ვფიქრობ, ამბობს ამხ. ორჯონიკიძე, რომ ჩვენ ნამდვილად გადავარჩინეთ 100 მილიონი მანეთი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის აპარატი ჯერ ისეთი არ არის, როგორიც უნდა იყოს. მუშათა და გლეხთა ინსპექციას უნდა მივცეთ საუკეთესო მუშაკები. საჭიროა შემდეგაც გავამარტივოთ სახელმწიფო აპარატი და სავაჭრო აპარატის რაციონალიზაცია მოვახდინოთ.

საჭიროა გაბედულად დავსვათ პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების საკითხი. საჭიროა, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები ანხორციელებდენ დირექტივებს.

უნდა შევებრძოლოთ უვიცობას და დაუდევრობას. სახელმწიფო პოლიგრაფიული მრეწველობის ტრესტმა მიიღო ფანქრების გამკეთებელი საუცხოვო მანქანები. მაგრამ ეს მანქანები ისეთნაირად დასდგეს, რომ ფანქრები დამზადების პროცესში ერთი ადგილიდან მეორე ადგილისაკენ სეირნობენ მთელს ქარხანაში.

რაციონალიზაცია—მუშაობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია; ამ საქმეში უნდა ჩავაბათ ყველა საუკეთესო მეცნიერული და ტეხნიკური ძალები. უნდა გამოვიყენოთ უცხოეთის გამოცდილება. ჩვენში ხშირად თავს იმტვრევენ რისამე გამოგონებისათვის, მაშინ, როდესაც ეს გამოგონება უკვე არსებობს.

ბუნებრივია, რომ რაციონალიზაციის პროცესში ჩვენ წინააღმდეგობას ვხვდებით; ეს წინააღმდეგობა უნდა დავძლიოთ.

ჩვენი მუშაობის ცენტრალური პუნქტი — ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაა. მარტო იმას კი არ უნდა დავჯერდეთ, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და სხვების ნაკლი გამოვასწოროთ, არამედ იმასაც ყურადღება უნდა მივაპყროთ, თუ როგორ ექცევიან მოქალაქეს ჩვენს სახელმწიფო, სავაჭრო კოოპერატიულ აპარატებში.

საინტერესოა, რომ ერთხელ ამხ. ბუხარინი შევიდა მაღაზიაში და იქ მას ცუდად მოექცენ. ეს მოქცევა მაშინვე შეიცვალა, როცა მაღაზიაში გაიგეს, რომ ის ბუხარინია.

ლენინმა ამომწურავი დირექტივა მოგვცა ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ, თვით დეტალებშიაც ეს საქმე ადვილი არ არის, თუნდაც იმიტომ, რომ თვით მუშა და გლეხთა ინსპექციის აპარატი ჯერ კიდევ არ არის ბიუროკრატიზმის სენისაგან განკურნებული. ჩვენში ჯერ კიდევ ბატონობს მუშათა და გლეხთა ინსპექციის ჩინოვნიკური კონტროლი. გადაწყვეტილებებს არ ამოწმებენ, არ სწავლობენ. აღნიშნულ იქნა აგრეთვე, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში კმაყოფილდებიან წვრილმანით. ამბობენ: არ შეიძლება წერა ამაზე ან იმაზეო, თუ წერა არ შეიძლება ჩემზე, შენზე ან სხვაზე, მაშინ ვიღაზე შეიძლება? თუ ვინმეს არ სურს მოხვდეს პრესის ფურცლებზე, ნუ შეუწყობს ხელს ბიუროკრატიულ გადამახინჯებებს და თვითონაც ნუ იქნება ბიუროკრატი.

არმია ბიუროკრატიზმთან ბრძოლისათვის არის. ბრძოლა გაშლილი ფრონტით უნდა დაიწყოს. არ უნდა გვეშინოდეს იმისა რომ ვინმე მოიტეხს კისერს. უამისოდ არ შეიძლება მუშაობა. ყრილობამ ყველა საკითხებზე გადამჭრელი დირექტივა უნდა მოგვცეს.

ამხ. სერგოს მოხსენების ირგვლივ გაცხოველებული კამათი გაიმართა.

შეეხო რა ოპოზიციას, ამხ. **იაროსლავსკიმ** ყრილობას მოახსენა მთავრობის წევრის, რ. ს. ფ. ს. რ. შინაგან საქმეთა სახ. კომისარის ამხ. ბელობოროდოვის აღმაშფოთებელი საქციელი. უკრაინაში ყოფნის დროს ბელობოროდოვმა საგუშაგოზე მდგომ წითელ არმიელებს უთხრა: „თქვენ უცხო კლასს ემსახურებით“-ო. წითელ არმიელებმა ვერ გაიგეს და ჰკითხეს: „ვის ვემსახურებით“-ო, მაშინ მან უთხრა: „თქვენ უსტრიალოვს ემსახურებით“-ო

ისმის საკითხი: რატომ არის ბელობოროდოვი იმ მთავრობის წევრი, რომელიც „უსტრიალოვს ემსახურება“. ამის შემდეგ ბელობოროდოვს არამც თუ არ შეუძლია დარჩეს მთავრობაში, მას არ შეუძლია ერთი წუთითაც კი დარჩეს საკავშირო კომპარტიის რიგებში.

ამხ. **ზატონსკიმ** (უკრაინა) აღნიშნა, რომ ამხ. სერგომ თავმდაბლობა გამოიჩინა ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის შეფასებაში. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში უკანასკნელ ხანებში არის დიდი წარმატებანი.

ამხ. **პესტოვმა** (ლენინგრადი) აღნიშნა, რომ ლენინგრადის საბჭოს საზეიმო სხდომის დროს ზინოვიევმა და კომპანიამ თავისი კრება მოაწყეს. როცა იქ მივიდა საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის წევრნი, ზინოვიევმა დაიძახა: „უნდა ვაძევოთ ესენიო“, ხოლო რადეკმა ფიჯაკი გაიხადა და მკლავები დაიკაპიწა.

შემდეგ ამხ. პესტოვს მოჰყავს ამონაწერები პარტიიდან გამორიცხული კომკავშირელის დღიურიდან, სადაც იგი ამბობს, რომ იმ აზრამდე მივიდა, რომ აუცილებლად სთვლის ტერორისტულ აქტებს პარტიის ბელადების მიმართ.

საინტერესო კამათი გაიმართა ჩვენი სასამართლოების გარშემო. გამოვიდნენ ამხ. **იანსონი**, **კრილენკო** და სხვები. ზოგიერთი ამხანაგები ამტკიცებდენ, რომ კანონის ფორმალური, ბიუროკრატიული გაგება სჭარბობს რევოლიუციონურ მიზანშეწონილობასო და მოჰყავდათ მთელი რიგი მაგალითები. ამას გარდა აღნიშნავდენ, რომ მუშების რიცხვი ჩვენი სასამართლოების შემადგენლობაში მცირეა. ამხ. კრილენკომ ამის საპასუხოდ განაცხადა, რომ მუშათა რიცხვი ჩვენს სასამართლოებში თანდათან იზრდება და რომ სასამართლოები სისწორით უნდა ასრულებდენ კანონებს.

ამხ. იაკოვლევმა შემოიტანა წინადადება, რომ ყველა, ვინც არ უნდა იყოს, სახალხო კომისარებიც კი, საჭიროების დროს მიცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში სახალხო სასამართლოს წინაშე.

ამხ. კრილენკომ ამის საპასუხოდ განაცხადა, რომ ცაკის წევრები არ შეიძლება მიცემულ იქნენ პასუხისგებაში ცაკის პრეზიდიუმის ნებართვის გარეშე.

ამხ. იაკოვლევი ილაშქრებდა დისციპლინარულ სასამართლოების არსებობის წინააღმდეგ.

კამათში მოყვანილი იყო ბიუროკრატიულ გადამახინჯებათა საინტერესო ფაქტები. იმოწმებდენ ლენინს, რომელიც წინადადებას იძლეოდა სასტიკად დაესაჯათ საქმის გაჭიანურებისათვის დამნაშავენი.

ამხ. კრილენკომ მოიყვანა მაგალითი, თუ როგორ აბრკოლებენ ამ საქმეს, იმ შემთხვევაში, თუ საქმე „მესრეებს“ არ ეხება.

საინტერესოა „მასლოცენტრის“ საქმე. საზღვარგარეთ ისე გზავნიდენ კარაქს, რომ ის იქ დაობებული ჩადიოდა. უკვეთდენ კარაქის გასაგზავნ ჭურჭელს საზღვარგარეთ, როდესაც მისი შოვნა თავისუფლად შეიძლებოდა საბჭოთა კავშირში. უყაირათობისათვის დამნაშავეებს მიესაჯა 6 თვის ციხე. წინააღმდეგობა იყო უდიდესი. ეს ხალხი თავისუფლად დასეირნობდა იმ ხნის განმავლობაში, სანამ საკითხი გადადიოდა ერთი ინსტანციიდან მეორეში. მოუსწრო ოქტომბრის ამნისტიამ, ამნისტიის შემდეგ კი ერთ-ერთი პასუხისმგებელი ამხანაგი სწერდა: „კარაქის დაობება — ეს არის სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის პრობლემა. ამ საქმეში საზოგადოებრივი აზრი მოელოდა „ობის“ წინააღმდეგ განაჩენის გამოტანას“. (დარბაზში სიცილია).—„ჩვენ კი დამნაშავეთ გამოვუტანეთ განაჩენი“,—ამბობს ამხ. კრილენკო.

ყრილობაზე აღინიშნა აგრეთვე არანაკლებ საინტერესო საქმე კონცესიონერ ბრიუკის, რომელსაც აფიორებისათვის მიესაჯა სამი წლის ციხე.

კამათი გრძელდება. ხვალ საბოლოო სიტყვას წარმოსთქვამს ამხ. ორჯონიკიძე და მოხსენებას გააკეთებს ამხ. ბუხარინი. ოპოზიციონერები ყრილობაზე არ ჩანან. მათ შორის განხეთქილება ძლიერდება.

რუბენი.

(ტელეფონით მოსკოვიდან)

საქ. კ. პ. (ბ) ც. ს. კ. პრეზიდიუმის დადგენილება

ამხ. პ. ორჯონიკიძის საქმის შესახებ

გაეცნო რა მოწმეების ჩვენებას და საგამომძიებლო მასალას ამხ. პ. ორჯონიკიძის საქმის შესახებ, ც. ს. კ. პრეზიდიუმმა გამოარკვია, რომ პ. ორჯონიკიძის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები, რომელიც ჩირქს სცხებს მის პატიოსან მუშაობას რკ.-გზის ტრანსპორტზე, ცილისწამებასა და სიყალბეზე აგებული აღმოჩნდა. მთელი საბრალმდებლო მასალა შექმნილია ხელოვნურად და ემყარება ა. კ. რკ.-გზის სამმართველოს ადმინისტრატიულ და ტეხნიკურ პერსონალის მოსამსახურეთა იმ ერთი ჯგუფის მიერ შეთხზულ ჭორებს, რომელიც ცუდათ იყო განწყობილი ამხ. პ. ორჯონიკიძისადმი.

მთელი საქმეს აქვს კინკლაობის და ბოროტი ინტრიგების ხასიათი, რომლებიც, მიუხედავად პარტიის საკონტროლო ორგანოების გაფრთხილებისა, მაინც გრძელდებოდა და გამოიწვია პ. ორჯონიკიძის მოხსნა მუშაობიდან რკ.-გზის ტრანსპორტზე იმ არანორმალურ დამოკიდებულებისა და მუშაობის პირობების გამო, რომლებიც დამყარდა პ. ორჯონიკიძისა და ადმინისტრატიულ პირთა ჯგუფის შორის.

მიკერძოებული დამოკიდებულება ამხ. პ. ორჯონიკიძისადმი აგრეთვე იმაშიაც გამოიხატა, რომ რკინის-გზის ადმინისტრაციამ, რომელიც თითქოს არასოდეს არ ათავსებდა პრესაში ცნობებს მოსამსახურეების ერთი თანამდებობიდან მეორე თანამდებობაზე გადაყვანის და მით უფრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ,—პ. ორჯონიკიძის სამსახურიდან მოხსნის შემდეგ, მეორე დღესვე, გამოაქვეყნა პრესაში განკარგულება მისი მოხსნის შესახებ თანამდებობიდან.

ა.-კ. რკ.-გზის სამმართველოში პარტიის წევრებსა და უპარტიოებს შორის შექმნილ არაჯანსაღ ატმოსფეროსა და სხვადასხვა ჯგუფების არსებობასთან დაკავშირებით, წინადადება ეძლევა რაიკომსა და უჯრედს მიიღონ ზომები მუშაობის პირობების გასაჯანსაღებლად, თუნდაც ამისთვის საჭირო გახდეს იმ პირების მოხსნა თანამდებობიდან, რომელთაც შექმნეს მუშაობისათვის არანორმალური და არასაქმიანი პირობები.

პარტიის იმ წევრებს, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა კინკლაობაში და ინტრიგებში, ც. ს. კ. პრეზიდიუმმა მიუსაჯა სხვადასხვა პარტიული დისციპლინარული სასჯელი.

საკითხის შემდგომ გარჩევას პ. ორჯონიკიძის შესახებ, ც. ს. კ. პრეზიდიუმი ხსნის ბრალდების უსაფუძვლობით და საკითხის გაჭიანურებით.

ლიტვა-პოლონეთის საკითხი ერთა ლიგაში

ლიტვის საჩივარი ლიგის საბჭომ მიიღო ცნობად

კამათი თემთა პალატაში ქვანახშირის რაიონში შექმნილ მდგომარეობის გარშემო

ჩინეთის გლეხთა მოძრაობა გუანდუნის რაიონში ფართოვდება

პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი

შტრეზემანის განცხადება

ჟენევა, 7 დეკემბერი. 7 დეკემბერს შტრეზემანმა გერმანელ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დიდ სახელმწიფოებმა ურთიერთშორის შეთანხმებით გადაწყვიტეს წარუდგინონ ლიტვას დეკლარაცია პოლონეთთან საომარი მდგომარეობის შეწყვეტის და მასთან საფოსტო და სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის შესახებ. რაც შეეხება დიპლომატიურ და საკონსულო ურთიერთობას, მათი აღდგენის მოთხოვნა არ არის წამოყენებული დეკლარაციაში. ლიტვის განცხადება ვილნოს შესახებ დიდ სახელმწიფოთა გადაწყვეტილების თანახმად, ერთა ლიგის საბჭოს მიერ მიღებულ იქნება ცნობად, მაგრამ ის არ იქნება მიღებული ცნობათ პოლონეთის მიერ. საკითხი საკონტროლო კომისიის შესახებ, რომელიც უნდა გაიგზავნოს პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე პოლონეთ და ლიტვას შორის საომარი მდგომარეობის შეწყვეტის პირველ პერიოდში, წამოყენებულია გერმანიის მიერ, მაგრამ ჯერ არაა საბოლოოთ გადაწყვეტილი (ადს).

ვოლდემარასის გამოსვლა ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე

ჟენევა, 7 დეკემბერი. ერთა ლიგის საბჭოს 7 დეკემბრის დილის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ვოლდემარასი, რომელმაც დაასაბუთა ლიტვის საჩივარი. ვოლდემარასმა მოითხოვა: ერთა ლიგის მიერ კომისიის დანიშვნა პოლონეთისა და ლიტვის ჯარების დაბანაკებაში უკანასკნელ მომხდარ ცვლილებების გამოსარკვევად, პოლონეთის ტერიტორიაზე ლიტვისადმი მტრულ ბანდების ორგანიზაციის შეწყვეტა და აგრეთვე კომისიის შედგენა იმ რეპრესიების გამოსაკვლევად, რომლებსაც განიცდის ვილნოს რაიონის ლიტველი მოსახლეობა. (ადს).

ჩინეთის გლეხთა მოძრაობა

გლეხთა მოძრაობა გუანდუნში

შანხაი, 7 დეკემბერი. გუანდუნის

შანხაი, 7 დეკემბერი. გლეხთა აჯანყებები გუანდუნის პროვინციაში თანდათან ფართოვდება. აჯანყებულებმა ისარგებლეს რა იმით, რომ ჯარები სხვაგან იყო გაგზავნილი, ააფეთქეს რკინიგზის ლიანდაგი ჩაო-ჩოუს და სვატოუს შორის და შესწყვიტეს სვატოუსათვის წყლის მიწოდება. უკვე სამი კვირაა აჯანყებულთა ხელშია ხაიფინი, ლუფინი, სვაბუეს ნავთსადგური და სხვა ქალაქები. (ადს).

მგელი ცხვრის ტყავში

შანხაი, 7 დეკემბერი. ინგლისური ორგანო „ნორტა ჩაინა დეილი ნიუს" მოწინავეში უტიფრად ამტკიცებს, რომ ინგლისის საკონსულოს და მუნიციპალურ ხელისუფლებას არაფერი საერთო არა აქვს ანტი-საბჭოთა კამპანიასთან, რომელსაც შანხაიში აქვს ადგილი.

სიკვდილით დასჯა პეკინში

პეკინი, 7 დეკემბერი. პეკინში სიკვდილით დასაჯეს კიდევ 21 ჩინელი. ხელისუფლება ამტკიცებს, თითქოს ერთი მათგანი გამოტყდა იმაში, რომ იგი კომპარტიის წევრია, ხოლო დანარჩენებმა აღიარეს, რომ იენ სი-შანისაგან იღებდნენ ფულს ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილო ელემენტებს შორის განაწილებისათვის, რათა გამოეწვიათ მღელვარება (ადს).

კამათი თემთა პალატაში

ქვანახშირის მრეწველობაში შექმნილ მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 7 დკემბერი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ თემთა პალატის სხდომაზე მაკდონალდმა შეიტანა რეზოლიუცია, რომელიც ჰკიცხავს ბოლდუინს იმაში, რომ მან არ მოისურვა [illegible] გამოსულიყო მუშათა პარტიის რეზოლიუციის საპასუხოდ, რომელიც ჰკიცხავს მთავრობას მისი უმოქმედობისათვის სანახშირო მრეწველობაში შექმნილ მდგომარეობის გამო და რომელიც ირჩეოდა პალატაში 16 ნოემბერს. მაკდონალდმა განაცხადა, რომ 16 ნოემბრის რეზოლიუცია იყო საბრალმდებლო აქტი მთავრობის წინააღმდეგ და პრემიერი არის ერთათ ერთი პირი რომელმაც პასუხი უნდა აგოს მასზე.

თავის პასუხში ბოლდუინმა განაცხადა, რომ მისი აზრით, პრემიერისთვის შეუძლებელი იქნება მთავრობის საქმეების ხელმძღვანელობა, რადგან მუშაობის რაოდენობა, რომელიც უშუალოდ ევალება პრემიერს, ძლიერ გაიზარდა. ბოლდუინი დაეყრდნო იმას, რომ წარსულში იყო ისეთი შემთხვევა, როცა მთავრობის გაკიცხვის რეზოლიუციის საპასუხოთ გამოდიოდა არა პრემიერი, არამედ კაბინეტის სხვა წევრები.

შემდეგ გამოვიდა ვაჭრობის მინისტრი კენლიფ ლისტერი, რომელიც თავის სიტყვაში უარყოფდა იმას, რომ მაღაროებში სამუშაო დღის გაგრძელების კანონმა გამოიწვია ამ მრეწველობაში დაბანდებულ მუშათა რიცხვის შემცირება.

კენლიფ ლისტერის სიტყვით მოხდა წინააღმდეგი. მუშათა სამუშაო დღის გაგრძელების შემდეგ ნახშირის წარმოება გაიზარდა და მრეწველობაში ჩაბმული მუშების [illegible] რაოდენობა.

დასასრულ კენლიფ ლისტერმა განაცხადა რომ ამჟამად მთავრობა ცდილობს [illegible] ახალი გამოკვლევების, რომელნიც მიზნად დაისახავენ უფრო იაფი სათბობი მასალის აღმოჩენას [illegible] ნახშირია. „

კენლიფ ლისტერის შემდეგ გამოვიდა ლოიდ ჯორჯი, რომელმაც განაცხადა, რომ სანახშირო მრეწველობაში მდგომარეობა მეტად არა სასურველია, იმ დროს, როცა სანახშირო მრეწველობის პროდუქტივობა გაიზარდა იმ ქვეყნებში, რომელნიც კონკურენციას უწევენ ინგლისს, ინგლისში კი ის უფრო დაბლა სდგას, ვინემ იყო 1913 წელს; მაშინ როცა ხელფასი სხვა მეტოქე ქვეყნებში გაიზარდა და სამუშაო დრო შემცირდა, ინგლისში ყველაფერი ეს გაუარესდა.

ბოლდუინის გაკიცხვის რეზოლიუცია კენჭი და უარყოფილ იქნა 347 ხმით 142 წინააღმდეგ (ადს).

ნორვეგიის პროფკავშირთა ყრილობა

ოსლო, 8 დეკემბერი. 237 დელეგატიდან, რომელნიც ესწრებიან ნორვეგიის პროფკავშირთა ყრილობას, კომუნისტი არის 63, ამსტერდამის ინტერნაციონალის მომხრე—70-ზე მეტი, დანარჩენები—ტრანმელის მომხრეებია.

ყრილობაზე მწვავე ბრძოლა სწარმოებს ყრილობის სამდივნოსა და მემარცხენე ფრთის შორის. სამდივნოს მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში აკრიტიკებენ მის ტაქტიკას. ანგარიშის ნაწილი, რომელიც შეეხება საერთაშორისო ურთიერთობას, არ არის დამტკიცებული.

უთანხმოება ყრილობაზე ტრანმელსა და სამდივნოს შორის, არის იმ ბრძოლის გამოხატულება, რომელიც სწარმოებს მუშათა პარტიის მემარჯვენე და მემარცხენე ფრთის შორის და რომელიც გამწვავდა პარლამენტის არჩევნების შემდეგ; ამ არჩევნებში მუშათა პარტიამ მიიღო 60 ადგილი, რის გამოც მისი ფრაქცია ყველაზე მრავალრიცხოვანია პარლამენტში. ამის გამო მემარჯვენეები მოითხოვენ მუშათა პარტიის მთავრობის შექმნას ლიბერალების დახმარებით. ხოლო მემარცხენეები,—ტრანმელის მეთაურობით. წინააღმდეგნი არიან მაკდონალდისებური მთავრობის შექმნის.

საკავშირო პროფსაბჭოს წარმომადგენლის ევრეინოვის სიტყვა, რომელიც ქვეყნად საინტერესო იყო პროფმოძრაობის [illegible] ხიების პირდაპირი დასმით, დიდის ყურადღებით იქნა მოსმენილი.

ფინეთში პროლეტარული რევოლიუციის დამარცხების 10 წლის თავის გამო, ყრილობამ ფინეთის პროფკავშირთა გაერთიანებას მიმართა დეპეშით, რომელშიაც სოლიდარობას უცხადებს ფინეთის პროლეტარიატის რევოლიუციონურ ბრძოლას. ამ მიმართვას სკანდინავიისათვის პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს; „რევოლიუციიდან განთავისუფლების ათი წლის თავი" ფინეთის სოციალ-დემოკრატია ბურჟუაზიასთან ერთად დღესასწაულობს (ადს).

რუმინეთის მთავრობის პროვოკაცია

ებრაელების დარბევა

ვენა, 7 დეკემბერი. ჰუნგრეთის გაზეთების ცნობით, რუმინეთის ნაციონალისტურ სტუდენტობის კავშირის ყრილობის გახსნასთან დაკავშირებით სემიგრადიის ოლქის სანაპირო ქალაქ ორადეაში გაიმართა ებრაელების და ჰუნგრელების საწინააღმდეგო დემონსტრაციები, რომლებიც სისხლისღვრით დამთავრდა. რუმინეთის ოპოზიციონურ წრეებში აცხადებენ, რომ პოგრომები მოაწყო მთავრობამ, რომელიც ეძებს ახალ საბაბს რეპრესიების გასაძლიერებლად ოპოზიციის წინააღმდეგ, განსაკუთრებით მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ.

რუმინეთის ოფიციალური დეპეშათა საგენტო აცხადებს, რომ ადგილი ჰქონდა „კომუნისტების პროვოკაციით გამოწვეულ უმნიშვნელო შეტაკებებს". (ადს).

მზადება საკავშირო სასკოლო აღწერისათვის

მოსკოვი, 7 დეკემბერი, საბჭოთა კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სახალხო განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ბოგდანოვმა გამოიკვლია მომავალ საყოველთაოდ საკავშირო სასკოლო აღწერისათვის მზადების საქმის მდგომარეობა ადგილებზე. ბოგდანოვმა, სხვათა შორის, მოიარა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები, თურქმენისტანი და უზბეკისტანი. ამ.-კავკასიაში თურქმენისტანში, უზბეკისტანში, ყაზახსტანში და ტაჯიკისტანში მომავალ სასკოლო აღწერისათვის მზადება, ამხ. ბოგდანოვის სიტყვით, გაცხოველებით სწარმოებს. ყველგან ჩატარდა ფართო მოსამზადებელი თათბირები, რომლებმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს აღნიშნულ ნაციონალურ რესპუბლიკებში კონვენსიონალურ სკოლების გამოკვლევის საკითხს, რომელთა რაოდენობა ზოგიერთ ადგილებში აღემატება საბჭოთა სკოლების რაოდენობას. ყველგან, გარდა ზამთრობით ძნელად მისაწვდომ რაიონებისა, როგორიცაა მაგალითად, მთიანი ყარაბახი, მთიანი ყაზახეთი, ყაზახსტანის ადაევის მაზრა და სხვ.; აღწერა დანიშნულ ვადაზე დამთავრდება. ამ [illegible] რაიონებში აღწერა ჩატარებულ იქნება 1928 წლის გაზაფხულზე. თურქმენისტანში ყარაკუმის რაიონში არსებობს თავისებური ტიპის სკოლები: ისინი მეცადინეობენ არა ზამთრობით, არამედ ზაფხულობით საზაფხულო ბანაკებში. რისთვისაც აღწერა ამ რაიონში მოხდება 1928 წლის ზაფხულში.

ამიერ-კავკასიაში პირველად იქნება გატარებული ენების გაცვლა-გამოცვლის პრინციპი: სომხური სკოლების აღწერა საქართველოში მოხდება სომხურ ენაზე, ქართული სკოლების სომხეთში — ქართულ ენაზე. ამ მიზნით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები უთმობენ ერთი-მეორეს დაბეჭდილ მასალის სათანადო რაოდენობას.

საფრანგეთის დელეგაციის დეკლარაცია

ერევანი, 8 დეკემბერი. ერევნიდან გამგზავრების წინ საფრანგეთის დელეგაციამ გამოაქვეყნა შემდეგი დეკლარაცია:

„საფრანგეთის დელეგაციის სახელით მხურვალე მადლობას გიძღვნით იმ თბილი მიღებისათვის და იმ ცნობებისათვის, რომელიც ჩვენ მივიღეთ თქვენგან.

ბევრ ჩვენგანს დიდი ხანია სმენია სომხეთის შესახებ და ჩვენ გულში ღვივოდა სიმპატიის გრძნობა სომხეთის ხალხისადმი. კარგათ გვახსოვს კრებები და მიტინგები ისეთი გულწრფელი რევოლიუციონერების მონაწილეობით როგორც ჟორესი, ანატოლი ფრანსი და ომის შემდეგ კომუნისტური პარტიის მონაწილეობით, სადაც გაისმოდა პროტესტები იმ ჟლეტის წინააღმდეგ, რომელიც ხდებოდა თქვენ ქვეყანაში.

თქვენმა მხნეობამ და სიმტკიცემ ააყვავა თქვენი ქვეყანა, შექმნა მრეწველობა, აღადგინა სასოფლო მეურნეობა. ეს ღვაწლი მით უფრო [illegible], რომ თქვენი ქვეყანა იყო დანგრეული. თქვენ ღარიბი იყავით და დაიწყეთ შენება. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩვენ უამბობთ იმას, რაც ვნახეთ თქვენს ქვეყანაში, რაც არის ნიშანი იმისა, თუ რა შეუძლია გააკეთოს ძლიერმა და მხნე მშრომელმა ხალხმა თქვენ შეგიძლიათ იმედი იქონიოთ საფრანგეთის დელეგაციის, რომელიც ყველაფერს იზამს, რომ თქვენ დაგეხმაროს.

გაუმარჯოს სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკას! გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას! (ადს).

ლოკაუტი გერმანიის რკინის მრეწველობაში

ბერლინი, 7 დეკემბერი. როგორც ესსენიდან იუწყებიან, მოლაპარაკება რკინის მძიმე მრეწველობის მწარმოებლებსა და პროფკავშირთა წარმომადგენლებს შორის, რომელიც სწარმოებდა რკინის მრეწველობაში გამოცხადებული ლოკაუტის გამო, უშედეგოდ დამთავრდა. კონფლიქტი გადაეცემა მთავრობის შემთანხმებელ კომისიას (ადს).

სტუდენტების ყრილობა რუმინეთში

ვენა, 8 დეკემბერი. რუმინეთის სტუდენტთა კავშირების ყრილობაზე, რომელიც ორადეაში სწარმოებს, ჩამოვიდა 5.000 მეტი სტუდენტი; სტუდენტების უმრავლესობა შეიარაღებულია. ყრილობა განიხილავს საკითხს იმის შესახებ, რომ რუმინეთის უმაღლეს სასწავლებლებში და გონებრივი შრომის ყოველ დარგში ებრაელებისათვის შემოღებულ იქნას საპროცენტო ნორმა. ყრილობა განიხილავს აგრეთვე კონფლიქტს უნგრეთთან (ადს).

კულიჯი „ისვენებს"

ვაშინგტონი, 7 დეკემბერი. რესპუბლიკანური პარტიის ეროვნული კომიტეტის სხდომაზე კულიჯმა განაცხადა, რომ მას არ სურს, მისი კანდიდატურა იქნას წამოყენებული პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში (ადს).

პოგრომების მსხვერპლი

ვენა, 8 დეკემბერი. უკანასკნელი ცნობებით, ორადეაში და არადეში პოგრომების დროს მოკლულია 8 კაცი

თ. სოლოგუბის დასაფლავება

ლენინგრადი, 8 დეკემბერი. 7 დეკემბერს ლენინგრადის საზოგადოება ასაფლავებდა პოეტ მწერალს სოლოგუბს. სოლოგუბის საფლავი [illegible] ბევრი გვირგვინებით. სოლოგუბი დამარხულია სმოლენსკის სასაფლაოზე, ალექსანდრე ბლოკის საფლავის ახლოს (ადს).

იტალიის მუშათა დელეგაციის ჩამოსვლა

ლენინგრადი, 8 დეკემბერი. ჩამოვიდა მუშათა დელეგაცია, არჩეული იტალიის რევოლიუციონური მუშების მიერ. დელეგაცია დიდი სიძნელეებით და საიდუმლოთ შემოვიდა საბჭოთ. კავშირში ოქტომბრის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად (ადს)

ღამის ცნობები

მუშათა დელეგაციის წევრების წერილი

ბერლინი, 8 დეკ. გერმანელ მუშათა მე-8 დელეგაციის 8 სოციალ-დემოკრატმა მონაწილემ მთლიანობის კომიტეტის ორგანო „ეინხაიტ"-ში გამოაქვეყნა ღია ბარათი. დელეგატები დაწვრილებით აწერენ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურ და ეკონომიურ მიღწევებს და მოუწოდებენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყველა წევრებს აღმოუჩინონ მათ დახმარება სიმართლის გავრცელებაში საბჭოთა კავშირის შესახებ. ისინი მოითხოვენ, რომ მათ მიეცეს საბჭოთა კავშირში მიღებულ შთაბეჭდილებების შესახებ მოხსენებების გაკეთების უფლება და მოუწოდებენ პარტიის ყველა წევრებს ხელი შეუწყონ საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის მოკლე ვადაში განხორციელებას ახალ ომებთან ბრძოლის მიზნით. (ადს).

ლიტვის უარი

რიგა, 8 დეკემბერი. ბალტიის ქვეყნების ეკონომიური კონფერენცია, რომელიც დანიშნული იყო 10 დეკემბრისათვის, გადადებულია, ვინაიდან ლიტვამ უარი განაცხადა მასში მონაწილეობის მიღებაზე. (ადს).

სოც.-დემოკრატები სდევნიან

ბერლინი, 8 დეკემბერი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გრეიტის (ტიურინგია) ორგანიზაციის წევრთა კრებამ გამორიცხა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან ემ. ფონი იმის გამო, რომ მან, მიუხედავად პარტიულ კომიტეტის აკრძალვისა, მონაწილეობა მიიღო იმ დელეგაციაში, რომელიც გაემგზავრა საბჭოთა კავშირში ოქტომბრის დღესასწაულებზე, და დაბრუნების შემდეგ გააკეთა მოხსენებები თავის შთაბეჭდილებების შესახებ. (ადს).

მოითხოვენ კომუნისტ-დეპუტატებისათვის შეუვალობის უფლების ჩამორთმევას

ბერლინი, 8 დეკემბერი. „როტე ფანე"-ს ცნობით, ცენტრის, ნაციონალისტების, სახალხო პარტიის და ბაკა-სახალხო პარტიის ფრაქციებმა შეიტანეს წინადადება, რომ რეიხსტაგის დეპუტატებს შტეკერს, კენენს, შერნლეს, შეკერტს რემელს და პფეიფერს წაერთვას შეუვალობის უფლება კომუნისტური პარტიის ცეკას 1928 წლის პროცესთან დაკავშირებით.

ამ ფრაქციების წარმომადგენლები მოითხოვენ, რომ ეს საკითხი და აგრეთვე საკითხი ამ დეპუტატების დაპატიმრების შესახებ განხილულ იქნეს პლენუმზე მიმდინარე სესიის დამთავრებამდე. (ადს).

ტევფიკ-ბეი ამხ. კარახანთან

მოსკოვი, 8 დეკემბერი. ამხ. კარახანმა მიიღო ოსმალეთის ახლად დანიშნული ელჩი ტევფიკ-ბეი და იქონია მასთან ხანგრძლივი საუბარი. (ადს).

მდგომარეობის ბატონ-პატრონი

პარიზი, 7 დეკემბერი. დეპუტატთა პალატის სანავთო და საბაჟო კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე მოსმენილ იქნა ვაჭრობის მინისტრ ბოკანოვსკის მოხსენება ნავთის შემოზიდვის მეწარმეების პროექტის შესახებ. ეს პროექტი უფლებას აძლევს ნავთის კამპანიებს მონოპოლიურად შემოზიდონ ნავთი უწინდელ რაოდენობით.

ამის გამო „იუმანიტე" სწერს:

„მთავრობის პროექტის მიღების შემდეგ, სტანდარტ-ოილი და აგრეთვე როიალ დეტჩი, რომლებიც კონტროლს უწევენ საფრანგეთში ნავთის შემოზიდვის 56 პროცენტზე მეტს, ალაპარაკდებიან; როგორც მდგომარეობის ბატონ-პატრონნი, დააწესებენ თავის ფასებს და იბატონებენ მთავრობაზე; რომელმაც თითონ ჩააბარა მათ ციხის გასაღები" (ადს).

მთავრობის პროექტის უარყოფის გამო

ჰელსინგფორსი, 7 დეკემბერი. გაზეთმა ჰელსინგის სანომატ"-მა მიმართა პრემიერ ტანერს, რათა მას მოეცა ახსნა-განმარტება იმის გამო; რომ სეიმის დიდმა კომისიამ, ბურჟუაზიულ პარტიების ხმების უმრავლესობით სოციალ-დემოკრატების და აგრეთვე მემარცხენეების წინააღმდეგ, უარყო მთავრობის პროექტი ქონებრივ საშემოსავლო გადასახადის გაორკეცების შესახებ და გაილაშქრა პურის ბაჟის გაუქმების წინააღმდეგ.

ტანერმა უპასუხა; რომ თუ სეიმმა მოიწონა კომისიის თვალსაზრისი; მთავრობა გადადგება (ადს).

ღელვა შავ ზღვაზე

ნოვოროსიისკი, 8 დეკემბერი. ღელვა განახლდა ნავთსად. გაჩერებულია დატვირთული იტალიის და საბერძნეთის გემები (ადს).

მიწისძვრა ყირიმში

სიმფეროპოლი, 8 დეკემბერი. იალტაში კვლავ იყო მიწის ქვეშა ბიძგი 2 ბალის ძალის. სამხრეთ ნაპირზე სუსხიანი დარებია უღელტეხილი დაფარულია თოვლით, რომელიც აფერხებს ავტომობილის მოძრაობას (ადს).

ა.-კ. ცაკში

ა.-კ. ცაკის მოხსენება ეროვნებათა საბჭოში

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ დაევალოს ა.-კ. ცაკის თავმჯდომარეებს ამხ. მიხა ცხაკაიას, აზერბეიჯანის ცაკის თავმჯდომარეს ამხ. აღამალი-ოღლის, საქართველოს ცაკის თავმჯდომარეს—ამხ. ფ. მახარაძეს, სომხეთის ცაკის თავმჯდომარეს ამხ. კარინიანს და ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანს ამხ. შაჰვერდოვს—საბჭოთა კავშირის ცაკის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმში ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის სახელით გააკეთონ მოხსენება ა.-კავკასიის ერების ნაციონალური ურთიერთობის შესახებ საბჭოთა ხელისუფლების დროს.

ცაკის თავმჯდომარე

ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარის ამხ. აღამალი-ოღლის თბილისში არ ყოფნის დროს მორიგი თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაევალა ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარეს ამხ. კასიანს.

საოლქო სასამართლოების გაუქმება

ა.-კ. ცაკმა მოიწონა საქართველოს ცაკის დადგენილება საქართველოში საოლქო სასამართლოების, საოლქო პროკურატურების და სამაზრო სასამართლოების და სამაზრო პროკურატურის დაწესებულებების გაუქმების შესახებ.

წითელი ჯვრის საშუალებების გასაძლიერებლად

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა მიმართა რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, რათა მათ მიიღონ ზომები წითელი ჯვრის და წითელი ნახევარ მთვარის მატერიალური რესურსების გასაძლიერებლად.

საქ. სახკომსაბჭოში

ფქვილისა და ფართლეულობის შემოტანის შესახებ

კოოპერატიულ სამმართველოსთან ა.-წ ნოემბრის 1-ს მომხდარ თათბირის დადგენილების თანახმად სახკომსაბჭოს [illegible] სხდომაზე საჭიროდ სცნო [illegible] მოეწყოს გეგმის გარეშე ჩრდილო კავკასიიდან საქართველოს მოუსავლიან რაიონებისათვის ყოველთვიურად 30 ვაგონი ფქვილი „გლეხური დასაფქვი".

[illegible] სახალხო კომისარიატის რწმუნებულს დაევალა საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის წინაშე აღძრას შუამდგომლობა, რათა გეგმით გათვალისწინებული კამვოლის და შალეულის ნაწარმოები შემოტანილ იქნეს საქართველოში მხოლოდ, როგორც შეუკერავი მასალა.

საქართველოში შემოზიდულ ფართლეულობის განაწილების სიიდან კერძო ვაჭართა კომიტეტები ამოშლილია, ხოლო ფართლეულობის სათანადო რაოდენობა უნდა გადაეცეს სამომხმარებლო კოოპერაციას.

ქუთაისის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა

ქუთაისის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობის თანახმად წინადადება მიეცა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გასცეს უფასოდ ქუთაისის სამაზრო აღმასკომის განკარგულებაში სვირის თემში წარმოებული აღმშენებლობისათვის 3649 კვ. ვერშოკი სამშენებლო ხე-ტყე ხეების ნაცვლად, „შემორაგული"-ს რაიონიდან.

კონკურსის გამოცხადება შენობების პროექტების შესადგენად

წინადადება მიეცა თბილისის აღმასკომს ყოველი კონკურსის პროგრამა შენობა-ნაგებობათა პროექტების შედგენის შესახებ შემდეგში დამტკიცებისათვის წარუდგინოს სამშენებლო-სატექნიკო კომიტეტთან არსებულ სამხატვრო საარქიტექტურო საბჭოს.

შრომის კომისარიატში

დროებით საცხოვრებელი ბინები

შრომის სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა დებულება დროებით სამრეწველო წარმოებებში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი ბინების შესახებ. დებულებით აკრძალულია ბინების მოწყობა მიწურებში, სარდაფებში და ნახევრად სარდაფებში. მალარიან რაიონებში სავალდებულოთ არის ცნობილი ფანჯრებზე ლითონის ბადეების გაკეთება კოღოებისგან დასაცავად.

დებულებით გათვალისწინებულია სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების დაცვა, როგორც თვით ბინებში, აგრეთვე სამზარეულოში, საპირფარეშოში და სხვ. აბანო იმ ზომის უნდა იქნეს გაკეთებული, რომ მუშა-მოსამსახურეებს და მათ ოჯახებს საშუალება მიეცეთ კვირაში ერთჯერ მაინც ისარგებლონ.

ბინების აგება, თანახმად დებულებისა, უნდა ხდებოდეს შრომის და ჯანმრთელობის სახკომებთან წინასწარ შეთანხმებული გეგმის მიხედვით.

შრ. ინსპექტორების თათბირი

მომავალი წლის იანვარში შრომის დაცვის განყოფილება იწვევს შრომის ინსპექტორების თათბირს, რომელზედაც სხვა საკითხებთან ერთად მოსმენილი იქნება მაზრების შრომის ინსპექტორების ანგარიში მუშაობის შესახებ.

გაძლიერებული სალიკვიდაციო დახმარება

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატმა დაუგზავნა რესპუბლიკებს განმარტება იმის შესახებ რომ მუშა-მოსამსახურეს რაციონალიზაციის გატარების გამო სამსახურიდან დათხოვნის დროს უნდა მიეცეს გაძლიერებული სალიკვიდაციო დახმარება. გარეშე იმისა მიცემული ჰქონდა თუ არა მას გაფრთხილება სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.

სამშენებლო მასალა

საკავშირო სატყეო სინდიკატთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად, მიმდინარე წლის განმავლობაში სატყეო ტრესტს უნდა შემოეზიდა საქართველოში 1.000.000 კ. ფუტამდე სამშენებლო ხის მასალა. ჯერ-ჯერობით შემოზიდულია 700.000 კ. ფუტი. წლის ბოლომდე ტრესტი შემოზიდავს კიდევ 200.000 კ. ფუტამდე. ამას გარდა წლის დამლევამდე შემოზიდავენ—„თბილისის ვაჭრობა"—110.000 კ. ფუტს და „საბინაო კავშირი"—80.000 კ. ფ. მასალას.

მომავალ წელს საშენებელ ხის მასალის მოთხოვნილება გაცილებით მეტი იქნება. მეხეთის და შავშეთის ქარხნების დამთავრების შემდეგ გაიზრდება ხე-ტყის ადგილობრივ დამზადება მომავალ წელში ადგილობრივ დამზადდება 3.600.000 კ. ფუტამდი მასალა.

მომავალ წელში შემოსაზიდ ხის მასალის რაოდენობა განსაზღვრულია 1.200.000 კ. ფუტით.

პრაქტიკანტ-სტაჟიორები

სადირექტივო ორგანოების დადგენილების თანახმად, წარმოება-დაწესებულებებ ვალდებული არიან დაუშვან სამუშაოთ განსაზღვრული რიცხვი პრაქტიკანტ—სტაჟიორებისა.

აღნიშნულ დირექტივის განსახორციელებლათ, განათლების სახალხო კომისარიატთან დაარსდა ცენტრალური ბიურო განსახკომის, ს. პ. კ. ს. კულტგანათლების, კომკავშირის, ცეკას აგიტპროპის, პროლეტკულტის, სახელმწიფო უნივერსიტეტის და ლენინის სახელობის პოლიტეხნიკუმის (უკანასკნელი სათათბირო ხმით) წარმომადგენელთა შემადგენლობით. გარდა ამისა დაარსებულია ფაკულტეტების კომისიები ფაკულტეტის მდივნის, პროფესორთა წარმომადგენლის და სტუდენტების წარმომადგენლის შემადგენლობით.

სტაჟიორის განაწილებას აწარმოებს ცენტრალური ბიურო. სწავლა დამთავრებულებთან ერთად პრაქტიკაზე გაიგზავნებიან და თანაბარი უფლებებით ისარგებლებენ სტუდენტები, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ ყველა გამოცდები.

სესხი სასოფ. მეურნეობას

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შესდგა სპეციალური თათბირი, რომელმაც განიხილა საქართველოში სასოფლო მეურნეობის გაძლიერების გეგმა.

ამ გეგმის მიხედვით, საქართველოში სასოფლო მეურნეობის საქმის გაძლიერებლად და გასაფართოებლად უახლოეს წლების განმავლობაში საჭირო იქნება 10.815.000 მანეთი. თათბირმა გადასწყვიტა ეს თანხა გამოთხოვილ და გაცემული იქნეს სასოფლო-სამეურნეო ბანკის საშუალებით.

ამ თანხის ნაწილი მოხმარდება ფილოქსერისაგან დაზიანებულ ვენახების აღდგენას. ძვირფასი ჯიშის და ტექნიკური მცენარეების მოშენების საქმეს, და სხ. ამ მიზნით მოეწყობა ამერიკული სანერგეები. გაფართოებული იქნება ჩაის, ლიმონის, ბამბის, კანაფის; ბამბუკის; ფორთოხლის და თხილის პლანტაციები.

სესხი მიეცემა ულარიბეს გლეხობას თავიანთი მეურნეობის გასაფართოებლად. [illegible] ურთიერთ-დახმარების საქმეს. ამ მიზნით მაზრებში [illegible] გაცემული იქნება კოლექტიურ მეურნეობათა გასაძლიერებლად. სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შესაძენად და სხ.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა [illegible] მოწყობა ახალი საცდელ-საჩვენებელი სადგურები და გადიდებული იქნება აგრონომების შტატი.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

რემედასის სამდღიური

საქ. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა საქ. რემედასის ცენტრალურ კომიტეტს ნება დართო ჩაატაროს სამდღიური შემოწირულებათა შესაგროვებლად. სამდღიური ჩატარებული იქნება იანვრის შუა რიცხვებში.

დამსახურებული მასწავლებლები

ცენტრ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა პენსიონერ დამსახურებულ მასწავლებელთა სია, წარმოდგენილი სოციალურ დაზღვევის მთავარ კომიტეტის მიერ.

საქართველოს საბჭოთა მე-6 ყრილობა

საბჭოთა არჩევნების ჩასატარებლად, ცაკის პრეზიდიუმმა დაარსა ცენტრალური საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით: მათიკაშვილი, ადეიაური, მაშკევიჩი, ჯაფარიძე ვარო, ხვედელიძე; თ. ელენტი, მამულია, სუხიშვილი, ჯანელიძე, ელიაშვილი, გოგიჩია; ჩამბა; სურმავა; ჯატიევი, ყამარაული, სტეპანოვი, დემეტრაშვილი, ბარბაქაძე; ჩერებისინა; ნაროზაული, გოგია და დიმიტრიევი.

საკავშირო ცაკის მანიფესტის განსახორციელებლად

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა საქ. სახალხო კომისართა საბჭოს დაავალა გამოიმუშაოს კონკრეტიული ღონისძიებათა პროექტი საკავშირო ცენტრ. აღმასკომის მიერ, ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის აღსანიშნავად გამოცემულ მანიფესტის ცხოვრებაში გასატარებლად.

კომისართა საბ. დაევალა განიხილოს და დაამუშაოს 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის საკითხი, იმ პირობით, რომ სამუშაო დღის შემცირებით არ შემცირდება სამუშაო ხელფასი მრეწველობის ამა თუ იმ დარგში. კომისართა საბჭოსვე დაეკისრა გამოიკვლიოს და შეადგინოს იმ სამრეწველო რაიონების სია, სადაც განსაკუთრებული სიმწვავით სდგას საბინაო საკითხი, და სადაც საჭიროა საბინაო მშენებლობას მიეცეს დამატებითი თანხები ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯების გარდა.

ულარიბეს გლეხობის ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სახკომსაბჭოს დაევალა სასტიკი თვალყური ადევნოს ღარიბ გლეხთა განთავისუფლებას მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან.

საფაბრიკო-საქარხნო ახალშენებათა და სოფლის კულტურულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადაწყდა გადიდებული იქნას დამატებითი თანხები.

ცაკის დადგენილებით. სისხლის სამართლის კანონთა კრებულიდან გამორიცხული იქნება სასჯელის უმაღლესი ზომა ყველა საქმეების გამო. გამონაკლის შეადგენს სახელმწიფოებრივ, სამხედრო და შეიარაღებული თავდასხმის საქმეში ჩადენილი ბოროტმოქმედებები.

ქალაქად დამტკიცებული ადგილები

საქართველოს ცაკმა ქალაქებათ დაამტკიცა შემდეგი დასახლებული ადგილები:

თბილისი, ქუთაისი, ბათომი, ფოთი, თელავი, ახალქალაქი; ახალციხე, გორი; ხაშური, ბორჯომი, სიღნაღი, ოზურგეთი, სენაკი, ჭიათურა; სოხუმი ხონი დუშეთი; ზუგდიდი; ცხინვალი, სამტრედია, [illegible] შულავერი; ონი; ოჩამჩირე და გუდაუთი.

უქმე დღეები

ამიერ-კავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა აკრძალული იქნეს მუშაობის წარმოება შემდეგ უქმე დღეებში:

1-ლ იანვარს—ახალი წელი; 22 იანვარს—1905 წლის 9 იანვარი და ვ. ი. ლენინის ხსოვნის დღე, 12 მარტს—თვითმპყრობელობის დამხობის დღე, 18 მარტს—პარიზის კომუნის დღე 1-ლ მაისს—ინტერნაციონალის დღე, 20 სექტემბერს—ბაქოს 26 კომუნარის ხსოვნის დღე და 7 და 8 ნოემბერს—პროლეტარული რევოლიუციის დღეები.

ამას გარდა, აკრძალულია მუშაობის წარმოება შემდეგ დღეებში აზერბეიჯანის ტერიტორიაზე 28 აპრილს აზერბეიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღე, სომხეთის ტერიტორიაზე—29 ნოემბერს—სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღე და საქართველოს ტერიტორიაზე—25 თებერვალს—საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღე.

ა.-კ. პროფკავშირთა კულტთათბირი

მეხუთე და მეექვსე სხდომა

გუშინ დილის სხდომაზე თათბირმა მოისმინა მოხსენება საზაფხულო კულტმუშაობის შედეგებისა და სამხატვრო მუშაობის შედეგების და პერსპექტივების შესახებ.

მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა საზაფხულო კულტმუშაობის თვითეულ დარგზე (საკლუბო მუშაობა, ბაღები, მასიური სეირნობა, საექსკურსიო მუშაობა და სხვ.), აღნიშნა მიღწეული შედეგები და ხაზი გაუსვა პერსპექტივებს. რომელთა აღსასრულებლადაც [illegible] უნდა იქნეს ზომები.

დასასრულ მომხსენებელი შეეხო საზამთრო მუშაობას და აღნიშნა თუ როგორ უნდა სწარმოებდეს იგი.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. საღამოს სხდომაზე მიღებული იქნა რეზოლიუციები მოსმენილი მოხსენების შესახებ.

პროფგანათლების შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში თათბირი საჭიროდ სთვლის გახსნილი იქნეს ამიერ-კავკასიაში [illegible] განათლების სკოლა და ავალებს პროფსაბჭოების კულტგანყოფილებებს შეისწავლოს ეს საკითხი.

რეზოლიუციების მიღების შემდეგ თათბირი დაიხურა.

ა.-კ. საგადასახადო მუშაკთა მესამე თათბირი

მეხუთე სხდომა

7 დეკემბერს დილის და საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. ამათუნის და კირილლოვის მოხსენებები საგადასახადო მუშაობის შესახებ დონის როსტოვში, დნეპროპეტროვსკში, მოსკოვში და ლენინგრადში.

ჯერ კიდევ 1927 წლის აგვისტოში ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის გაფართოებულმა კოლეგიამ საჭიროთ სცნო მივლინებული ყოფილიყვენ პასუხისმგებელი მუშაკები ა.-კ. ფინსახკომის საგადასახადო სამმართველოდან და ცალკე რესპუბლიკების საგადასახადო განყოფილებებიდან მოკავშირე რესპუბლიკების მსხვილ სავაჭრო სამრეწველო ცენტრებში იმ მიზნით, რომ იქ გაცნობოდნენ საგადასახადო მუშაობას და კერძო კაპიტალის ბრუნვის და შემოსავლის გამოანგარიშების იმ მეთოდებს, რომლებსაც იყენებენ იქაური საგადასახადო ორგანოები.

საგადასახადო მუშაობის გასაცნობად არჩეული იქნა შემდეგი ქალაქები: დონის როსტოვი, დნეპროპეტროვსკი (ყოფ. ეკატერინოსლავი), მოსკოვი და ლენინგრადი; აღნიშნულ ქალაქებში გაგზავნილი იქნა თითო პასუხისმგებელი მუშაკი, რომლებმაც იქ შეაგროვეს მდიდარი მასალა საგადასახადო საქმის მრავალ საკითხებზე იმ მიზნით, რომ გამოიყენონ იგი ამიერ-კავკასიის საგადასახადო ორგანოების პრაქტიკულ მუშაობაში.

ამხ. ამათუნის და კირილოვის მოხსენებები წარმოადგენდა ზემოაღნიშნულ ქალაქებში შეგროვებულ მასალების სისტემატიზაციას; მოხსენებები შეიცავდა აგრეთვე მთელ რიგ პრაქტიკულ წინადადებებს საკითხებზე. რომლებიც ეხება საგადასახადო ორგანოების სტრუქტურას და შტატებს, ფუნქციების განაწილებას ცალკე უბნების შორის, სასარეწაო და საშემოსავლო გადასახადების კამპანიის გატარებას, ბრუნვის და შემოსავლის გამოანგარიშების მეთოდებს და სხვა.

დეტალური განხილვის შემდეგ თათბირმა დაადგინა ზოგიერთი წინადადებები მიღებული იქნეს ამიერ-კავკასიის საგადასახადო ორგანოების პრაქტიკაში მიმდინარე წელში, ნაწილი წინადადებებისა დამატებით დასამუშავებლად გადაეცა ა.-კ. ფინსახკომის საგადასახადო სამმართველოს; მათი ცხოვრებაში გატარება შესაძლებელია მხოლოდ დაწვრილებითი დამუშავების შემდეგ.

მეექვსე სხდომა

პრაქტიკული წინადადებების განხილვას დილის სხდომის გარდა მოუნდა საღამოს სხდომის ნაწილიც; საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნა ქ. ბაქოს მეორე რაიონის პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორის კემპერლინსკის მოხსენება მის რაიონში ჩატარებულ საგადასახადო კამპანიის შესახებ.

მოხსენების გამო პრაქტიკული წინადადებების გამომუშავება თათბირმა გადასდო იმ დრომდე, სანამ მოსმენილი არ იქნება ასეთივე მოხსენებები სომხეთის და საქართველოს ქალაქების პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორების მუშაობის შესახებ.

ლითოგრაფიული ქვის ახალი ბუდობები

სამთო მრეწველობის ტრესტი შეუდგა ლითოგრაფიული ქვის ახალი ბუდობების დამუშავებას თიანეთის რაიონში.

ამჟამად უკვე გახსნილია ქვის დასამუშავებელი კარიერი და ამოღებულია 16 ცალი ქვა. აღნიშნული ქვები გადამუშავებული იქნება თბილისში და შემდეგ შეუდგებიან მათ გამოცდას სტამბებში. გარდა ამისა რამოდენიმე ქვა გაგზავნილი იქნება ლენინგრადში სხვადასხვა ტექნიკურ-სამეცნიერო დაწესებულებებისათვის.

ლენინგრადში უნდა ჩატარდეს თიანეთის ქვის შემოწმება და მისი შედარება ზოლინგოფენის ასეთსავე ქვასთან. ადგილობრივი სპეციალისტების დასკვნით, თიანეთის ქვის ნიმუშები წარმოადგენენ უმაღლესი ხარისხის ლითოგრაფიულ ქვას.

საწარმოო გაერთიანებათა გამოკვლევა

საკავშირო სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს დავალებით, საქართველოს სტატ. სამმართველომ დაასრულა საწარმოო გაერთიანებათა გამოკვლევა.

გამოკვლევის მიზანი იყო გაერთიანებათა სტრუქტურის, მათი სიმძლავრის, ფინანსიური მდგომარეობის და სამრეწველო მოღვაწეობის (ნედლი მასალის და პროდუქციის ბალანსი) შესწავლა.

ცალკე სდგას საკითხი გაერთიანებათა დასკვნითი ბალანსის შესახებ. გამოკვლევა შეეხება 1925-26 წელს.

სულ გამოკვლეული იქნა 19 გაერთიანება. მასალების დამუშავება უკვე დაწყებულია.

ბრძოლა ეპიდემიასთან

რამდენი გახდა ავათ

რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში 6 დეკემბერს მიიყვანეს ქუნთრუშით შეპყრობილი 5 ბავშვი. 7 დეკემბერს კი საავადმყოფომ მიიღო 5 ქუნთრუშიანი და 4 ხუნაგიანი ბავშვი.

ავადმყოფთა აცრა

ქუნთრუშისა და ხუნაგის ეპიდემიასთან შებრძოლ სამეულში მიღებულია ცნობები, რომ ქუნთრუშის საწინააღმდეგო აცრები თბილისის ყველა სკოლებში დიდის წარმატებით მიმდინარეობს.

სკოლებში აცრების ჩატარების შემდეგ დაარსებული იქნება რამოდენიმე აცრელი პუნქტი სკოლის გარეშე დარჩენილ მოზარდთა ასაცრელათ.

ხუნაგის ვაქცინაცია

ეპიდემიასთან მებრძოლმა სამეულმა დაადგინა ქუნთრუშის ეპიდემიისაგან აცრების დამთავრების შემდეგ შეუდგეს ხუნაგის აცრასაც. ხუნაგის საწინააღმდეგო მასიური აცრების დაწყებამდე ჩატარებული იქნება შესაფერი ცდები.

ხუნაგის აცრის სანიმუშო ცდების ჩატარებას უხელმძღვანელებს თბილისის აღმასკომის კლინიკო-დიაგნოსტიური ლაბორატორია.

გრანიტის ქარხანა

თბილისის აღმასკომმა დაამტკიცა გრანიტის ქარხნის აგების გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც აღმასკომის ადგილობრივმა მრეწველობის განყოფილებამ შეადგინა.

ქარხანა აგებული იქნება გელათის რაიონში—კურსებში. ქარხანა დაამუშავებს ქუჩების მოსაკირწყლავ კუბიკებს, შენობებისათვის საფასადე და ჩუქურთმების ამოსაჭრელად საჭირო ქვებს. ქვის ამოღება და დამუშავება იწარმოებს მექანიკურად.

ამ ქარხანას დიდი მნიშვნელობა ექნება არა მარტო საქართველოს ქალაქების კეთილ-მოწყობის საქმეში, არამედ ამიერკავკასიისათვისაც. ამიტომ ქარხანა აგებული იქნება იმ ანგარიშით, რომ დააკმაყოფილოს მთელი ამიერ-კავკასიის ქალაქების მოთხოვნილება და დამზადებული ქვების ნაწილი გატანილი იქნეს საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებშიაც.

ქარხნის აგებაში მონაწილეობას მიიღებს ქუთაისის სამაზრო აღმასკომი. ქარხნის აგება დამთავრდება ორი წლის განმავლობაში. პირველ წელიწადს მუშაობის დასაწყებად თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე გადასდო 150.000 მანეთი, ხოლო 80.000 მანეთი ქუთაისის აღმასკომმა. ქარხნისათვის საჭირო მანქანები შეძენილი იქნება საზღვარ-გარეთ და საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებში. ქარხანასთან მოეწყობა ბინები მუშებისათვის და რიონჰესის ამუშავებამდე—დროებითი ელსადგური.

სვანეთი

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები სვანეთში

სამი წელიწადია მხოლოდ, რაც სწარმოებს მუშაობა სვანეთის ეკონომიური და კულტურული აღორძინებისათვის. ამ ხნის განმავლობაში გაყვანილ იქნა 108 ვერსიანი გზატკეცილი, რომლითაც სვანეთი უკავშირდება სამეგრელოს და დანარჩენ კუთხეებს. გაყვანილია აგრეთვე ტელეგრაფ-ტელეფონის ქსელი, რომელიც სვანეთს საშუალებას აძლევს მუდმივი ურთიერთობა და კავშირი იქონიოს ცენტრთან. ასეთი დიდი მიღწევებია აგრეთვე სახალხო განათლების და ჯანმრთელობის დარგებში.

თუ მენშევიკების დროს სკოლების რიცხვი სვანეთში 8 არ აღემატებოდა, ამჟამად უკვე სვანეთის ყველა რაიონებში გახსნილია სკოლები. სულ სკოლების რიცხვი 23 აღწევს. აქედან ერთი სკოლა გლეხური ახალგაზრდობის სკოლაა. მოწაფეთა რიცხვი 1.300 უდრის. მოწაფეებს უფასოთ ეძლევა სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები. გარდა ამისა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში გაგზავნილია სასწავლებლად 200-მდე ახალგაზრდა. მესტიაში მუშაობს აგრეთვე კლუბი, კინო, თეატრი და 4 რადიო-სადგური. მიმდინარე წელს სახალხო განათლებისათვის გადადებულია 33 ათასი მანეთი. არა ნაკლები მიღწევაა ჯანმრთელობის დარგში. მეფის დროს აქ მუშაობდა მხოლოდ ერთი საავადმყოფო და საფერშლე პუნქტი. ეხლა კი, როგორც ზედა, ისე ქვედა სვანეთში გახსნილია საავადმყოფოები, 5 საექიმო პუნქტი ტერაპევტიული და ქირურგიული განყოფილებები, კბილის საექიმო კაბინეტი და ცენტრალური და საუბნო აფთიაქები.

50 კულტურულ დაწესებულებებს ამ ახლო ხანში ემატება კიდევ ორი კოოპერატივი, რომელიც მოსახლეობას შეღავათიან ფასებში აძლევს პირველი მოთხოვნილების საქონელს.

ოქტომბრის ერთი უდიდესი მიღწევათაგანი აღმოსავლეთში

(„ენი იოლ"-ის მეათასე ნომრის გამო)

ჯერ ისევ 5—6 წლის წინათ, არამც თუ მოლებსა და ინტელიგენტებს, არამედ ბევრ კომუნისტებსაც (მათ შორის ამ სტრიქონების დამწერსაც) არ სწამდათ, რომ ლათინური ანბანით არაბულ ანბანის შეცვლა მოხერხდებოდა. ჯერ კიდევ გუშინ, ბაქოში, პირველ საკავშირო თურქოლოგიურ ყრილობაზე, არა ერთი და ორი შეუპოვრად იბრძოდენ ახალი ანბანის წინააღმდეგ. მაგრამ ეს იყო მათი უკანასკნელი თავგანწირული თავგამოდება. ისინი უკვე ყველგან დამარცხებულნი არიან.

ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ყველგან საბჭოთა ყველა რესპუბლიკაში და ოლქში ან გადავიდნენ, ან გადადიან; ან და ემზადებიან გადასასვლელად ძველ არაბულ ანბანიდან ახალ ლათინურ ანბანზე. ლათინურმა ანბანმა უკვე დაიპყრო მტკიცე პოზიცია, საიდანაც მას ვერავითარი ძალა ვერ განდევნის. ლათინურ ანბანზე გადასასვლელად ოსმალეთშია ემზადებიან, მოძრაობა მის სასარგებლოდ თვით არაბთა შორისაც დაიწყო (ეგვიპტე, სირია და სხვ.).

საბჭოთა აზერბეიჯანი. ამ საქმეში ყოველი მხრით ყველაზე წინ მიდის: წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, სკოლებში მეცადინეობა, ლიტერატურისა და პერიოდული პრესის გამოცემა ახალი ანბანის შემწეობით ხდება. მედგარი ბრძოლის შემდეგ, ყველა სიძნელისა და დაბრკოლების გადალახვის შემდეგ ახალი ანბანის ათიათასობით მკითხველი ყოველდღიური თურქული გაზეთის „ენი იოლ"-ის მეათასე ნომრის გამოსვლის გამო დღესასწაულობს დიადი ოქტომბრის დიდ მონაპოვარს აღმოსავლეთში. ლათინური ანბანით დაბეჭდილი პირველი ათასი ნომერი აზერბეიჯანში! ეს არის დიადი ოქტომბრის ერთი უდიდესი მიღწევათაგანი.

[illegible] გაზ. „ენი იოლ"-ის" რედაქციის მეათასე ნომრის გამოსვლას და ვუსურვებთ მას წარმატებას და განმტკიცებას. სალამი მის ყველა თანამშრომლებს, მუშაკს და მკითხველს.

შარიფ მანატოვი.

ქრონიკა

7 საათის სამუშაო დღე

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა 7 საათის სამუშაო დღის შემოღების საკითხი და ცალკე კავშირებს დაავალა 7 საათის სამუშაო დღის შემოღება ამა თუ იმ წარმოებაში წინასწარ შეუთანხმონ პროფსაბჭოს.

ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება

გუშინ ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატში შესდგა რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების სატარიფო-საკონფლიქტო განყოფილებების გამგეთა თათბირი, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების შესახებ ამიერ-კავკასიის იმ დაწესებულებებში, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან.

პირველ სხდომაზე თათბირმა მსჯელობა იქონია ხელფასის მოწესრიგების გატარების წესებზე და სათანადო ინსტრუქციის გამომუშავების საჭიროებებზე.

წარმომადგენლობის გაუქმება

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა მიმართა საქართველოს ცაკს, რათა გააუქმოს საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლობა ამიერ-კავკასიის მთავრობის მუდმივ წარმომადგენლობასთან მოსკოვში.

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ყრილობა

17 დეკემბერს თბილისში გაიხსნება ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა მე-5 ყრილობა, რომელზედაც განხილულ იქნება შემდეგი საკითხები: ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობა და ამოცანები—მომხსენებელი ამხ. სუტირინი; ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ცენტრალური გამგეობის მუშაობა—მომხ. ამხ. ლაზარი; სახელმწიფო გამომცემლობის მუშაობა—მომხს. ამხ. ბიბინეიშვილი; ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს მუშაობა—მომხ. ამხ. გიკა; ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრ. ბიუროს ანგარიში—მომხ. ამხ. გოგლუმიანი. არჩევნები.

მიწა-ტყის მუშაკთა ყრილობა

12 დეკემბერს თბილისში გაიხსნება მიწა-ტყის მუშაკთა ყრილობა. ყრილობა განიხილავს შემდეგ საკითხებს: მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობის მუშაობის ანგარიში, მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ინჟინერ-ტექნიკოსთა სექციის ანგარიში, სპეციალისტ. ურთიერთ დამხმარე სალაროს მუშაობა, მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება და სხ.

ექიმთა ყრილობა

სრ. საქართველოს ექიმთა ყრილობა, რომელიც უნდა შემდგარიყო 14 დეკემბერს, შესდგება 27 დეკემბერს.

სააფთიაქო მუშაკთა ყრილობა

18 დეკემბერს თბილისში გაიხსნება სააფთიაქო მუშაკთა რესპუბლიკანური ყრილობა, რომელზედაც განხილული იქნება: მედსანშრომის მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობის საქმიანობა; ჯანსახკომის ფარმაცევტიულ განყოფილების მუშაობის ანგარიში; შემდეგ მოხდება აფთიაქის მუშაკთა სექციის ბიუროს არჩევა და დელეგატების არჩევნები. საკავშირო სააფთიაქო მუშაკთა ყრილობაზე.

ქარხნების მოწყობილობათა შეძენა

ს. მ. უ. ს. შუამდგომლობის თანახმად ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატთან არსებულმა საექსპორტო-საიმპორტო სამმართველომ გერმანულ ფირმა „მარტინს" შეუკვეთა ყველა საჭირო მოწყობილობები კაკლის სარჩევ ქარხნებისათვის.

კაკლის სარჩევ ქარხნებს აგებენ ზუგდიდში და ოზურგეთში. თანახმად შემუშავებული სამუშაო გეგმისა, ქარხნების შენობები სავსებით მზად იქნება გამოწერილი მანქანების მიღებისას.

საგზაო საორგანიზაციო თათბირი

გუშინ დამთავრდა ამიერ-კავკ. რკ. გზ. პროფკავშირების საგზაო კომიტეტთან მოწვეული საგზაო საორგანიზაციო თათბირი.

თათბირმა განიხილა შემდეგი საკითხები: საერთო და სადელეგატო კრებების მუშაობის ნაკლულოვანებების, თვითკონტროლის საქმის მოწყობის, საკავშირო ორგანოების, ყრილობების, თათბირების და კრებების დადგენილებათა შესრულების, უმუშევარ წევრთა აღრიცხვის და მათთვის სამსახურის გაწევის, მუშათა დაწინაურების, და ახალგაზრდების და ქალთა შორის მუშაობის შესახებ.

თათბირი ნედლეულის შესახებ

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, 15 დეკემბერს თბილისში შესდგება თათბირი ნედლეულის მასალის დამზადების შესახებ. თათბირზე მოწვეულნი არიან სახელმწიფო საგეგმო კომისიების, მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატების, ფინანსთა კომისარიატების, სასოფლო-სამეურნეო ბანკების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოების, თამბაქოს დამამზადებელ ორგანიზაციების, წყალთა მეურნეობის სამმართველოების, ხორცის დამამზადებელი საზოგადოებების, სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს, ვაჭრობის კომისარიატების და სხ. ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თათბირი განიხილავს ა.-კ. სოფლის მეურნეობის შესაძლებლობას ნედლი მასალის დამზადების დარგში და ჩვენი მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის მდგომარეობას და სოფლის ნაწარმოების დამზადების და გასაღების საკითხს. თათბირს იწვევს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისია.

საექიმო შემოწმება

სოციალურ დაზღვევის მთავარმა კომიტეტმა გადასწყვიტა გაამარტივოს საექიმო-საკონტროლო კომისიების მუშაობა და შემოიღოს ავადმყოფ დაზღვეულის შემოწმების ახალი წესი. დღემდე დაზღვეულ ავადმყოფს საექიმო-საკონტროლო კომისია პასუხს აძლევდა ერთი ან ორი დღის შემდეგ. ახალი წესის მიხედვით კი საკონტროლო კომისიაში გაგზავნილი ავადმყოფი პასუხს მიიღებს იმავე დღეს, შემოწმებიდან ერთი საათის შემდეგ.

ზოოტექნიკური სადგური

მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა ზოოტექნიკურ სადგურისათვის გერმანიაში შეიძინოს საუკეთესო ჯიშის შინაური ცხოველები. ჯიშიან საქონლის შესაძენად მიწსახკომმა გადასდო 33.220 მანეთი. უმთავრესად შეძენილი იქნება: ცხენები, ღორები, ძროხები და სხვ.

საქონლის შესაძენად მიწსახკომმა გადასწყვიტა გერმანიაში მივლინოს ზოოტექნიკურ სადგურის გამგე ნიჟარაძე. საქონლის ნაწილი დატოვებული იქნება ზოოტექნიკურ სადგურთან საქართველოში საქონლის ჯიშის გაუმჯობესების მიზნით სამეცნიერო ცდების საწარმოებლად, საქონლის ნაწილი კი განაწილებული იქნება სხვადასხვა მაზრებში არსებულ საცდელ-საჩვენებელ სადგურებს შორის.

არანორმალური მოვლენები მედიკამენტებით ვაჭრობაში

საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატის დავალებით თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიის ვაჭრობის ინსპექტორმა გამოიკვლია სახმედვაჭრობის მაღაზიები და აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ მაღაზიებში მოუწესრიგებელია საქონლის ფასები: ერთი და იგივე საქონელი სხვა და სხვა მაღაზიებში სხვადასხვა ფასში იყიდება. ზოგი საქონელი იყიდება უფრო მაღალ ფასებში ა.-წ. იანვრის ფასებთან შედარებით და ზოგიერთი კი ჯერაც გადაუფასებელია და იყიდება იანვრის ფასებში. გარდა ამისა სახმედვაჭრობა ზოგიერთ საქონელს იძენს ადგილობრივ ტრესტებისაგან, გადააქვს თავის საწყობში და აქედან უნაწილებს მაღაზიებს ტრესტის ფასზე 5—8 პროც. დარიცხვით. საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა მიიღო ზომები ამ არანორმალობის მოსასპობად.

ქსანის აგურის ქარხანა

შრომის დაცვის განყოფილების დავალებით 7 დეკემბერს ქსანში გაემგზავრა კომისია შრომის ინსპექტორ ვ. მახარაშვილის და ინჟინერ ნ. მედვედევის შემადგენლობით. კომისიას დავალებული აქვს გამოიკვლიოს ქსანის აგურის ქარხნის მდგომარეობა: მომუშავეთა შრომის და საბინაო პირობები.

სატყეო კულტურა

ქალაქ დუშეთის ახლოს გაშენებულია ორი სატყეო სანერგე სივრცით ნახევარი დესეტინა, რომელზედაც დათესილია ცაცხვი, ხაძვი, აკაცია და სხვა ჯიშები. ნათესები კარგ შედეგებს იძლევა.

ერთ რაიონში გამოყოფილია 8 დესეტინა ნაკვეთი, რომელზედაც დათესილია მუხა.

გაზრახულია კობი - ყაზბეგის რაიონში მოეწყოს საცდელი სატყეო სანერგე.

თბ. აღმასკომში

◆ **რძის პროდუქტების ქარხანა.** ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება შეუდგა წალკაში რძის პროდუქტების დამამზადებელ ქარხნის მოწყობას.

◆ **საბავშო სახლები.** ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა საბავშო სახლებთან მოაწყოს პატარა აბანოები.

ჯანსახკომში

◆ **ახალი საავადმყოფო.** ჯანსახკომის დახმარებით ოზურგეთში წელს შეუდგებიან ახალი სამაზრო საავადმყოფოს აგებას. საავადმყოფოს აგება დაჯდება 100.000 მანეთი.

◆ **აფთიაქი.** ზუბის თემში (ლეჩხ. მაზრ.) ჯანსახკომმა გახსნა აფთიაქი.

◆ **ქსენონი.** სოფ. აფენის ქსენონის შესაკეთებლად [illegible] აღმასკომის ჯანმრთ. განყოფილებას გადაეცა 3.184 მანეთი.

◆ **მედიკამენტები.** აფხაზეთის ჯანსახკომს გადაეგზავნა 6.5500 მ. მედიკამენტები.

მიწსახკომში

◆ **კოლექტიური მეურნეობა.** მიწსახკომი მ.-გ. ინსპექციასთან ერთად შეუდგა კოლექტიურ სას.-სამ. მეურნეობათა გამოკვლევას.

◆ **მიწის განოყიერება.** მიწსახკომმა გადასწყვიტა მაზრებში მოაწყოს საცდელ-საჩვენებელი მიწის ქიმიური განოყიერება.

◆ **საქონლის საკვები.** მიწსახკომმა მაზრებისათვის დაამზადა საქონლის საკვების ჯიშიანი ბალახეულობის თესლები, რომელიც ახლო ხანში დაეგზავნება ადგილებს.

სხვადასხვა

◆ **ცეკავშირის სესია.** 16 დეკემბერს თბილისში გაიხსნება ცეკავშირის სესია.

◆ **როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ტრესტთან სასადილოს მოსაწყობად თამბაქოს ტრესტმა გადასდო 10.000 მანეთი.**

◆ **სასოფლო - სამეურნეო ბანკების წარმომადგენელთა თათბირი გაიხსნება 13 დეკემბერს.**

◆ **სპირტის დამზადება.** სპირტის ტრესტი წელს გურიაში დაამზადებს 1.500.000 გრადუს სპირტს.

◆ **ხორბალი.** საზ-ბა „ხლებოპროდუქტმა" აჭარისტანისათვის მიიღო 14 300 ფუთი ხორბალი.

ჩაუბარებელი დეპეშები

ფოთიდან—ქავთარაძეს, ასტრახანიდან — ხუდოროზოვისას, ბაქოდან — კოსტინისას, ლენინაკანიდან — კარაპეტიანს, რიონიდან — კაპანაძეს, ცხინვალიდან — ბეთეევს, ზუგდიდიდან—გეწაძეს, ჩოხატაურიდან — კაჭიშვილს, ბელიოუვარიდან—ზაბელსკის.

კრებები და მოხსენებები

საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში. პარასკევს, დეკემბრის 9-ს საღ. 7 საათზე, საქ. მუზეუმის აუდიტორიუმში შესდგება საზ-ბის კრება, რომელზედაც წაკითხულ იქნება მოხსენებები: 1) ს. ყუბანეიშვილი: „საკითხი „მოქცევაი ქართლისაი"-სა და გრიგოლ დიაკონის თხზულების შესახებ", 2) ს. ჯანაშია: „თითი ბოლოსართის ეტიმოლოგიისათვის". კრება საჯაროა.

მასწავლებელთა კრება. პარასკევს, 9 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე. ქართული ენის პედაგოგიურ კაბინეტში (მე-14 შრ. სკოლა, ფ. მახარაძის ქუჩა, № 4) შესდგება ქართული შვიდწლედებისა და ცხრაწლედების ქართული ენის მასწავლებელთა კრება.

ქუთაისი

საკრედიტო ამხანაგობის საზოგადოების წევრთა კრება

3 დეკემბერს შესდგა ქუთაისის საკრედიტო ამხანაგობის საზოგადოების წლიური საზოგადო კრება. რომელმაც განიხილა და დაამტკიცა 1926—27 საოპერაციო წლის ანგარიში და გამგეობის საქმიანობა ამ ხნის განმავლობაში დამაკმაყოფილებლად სცნო. ამავე უცვლელად დაამტკიცა საბჭოს მიერ წარმოდგენილი 1927—28 წლის ხარჯთაღრიცხვა და მოახდინა თანამდებობის პირთა არჩევნები. გამგეობის წევრად ალ. [illegible] შვილის ნაცვლად, რომელიც „ქუთ[illegible]"-ში, იქნა მოწვეული გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ, კრებამ ერთხმად აირჩია ალ. ალავიძე, (სააქციო საზოგადოების „ტრანსპორტი"-ს ქუთაისის კანტორის [illegible]). გამგეობის წევრს ვლ. ტყემელაშვილს, რომელიც ორი წლის განმავლობაში უსასყიდლოდ ასრულებს ხსენებულ თანამდებობას, კრებამ მადლობა გამოუცხადა უანგარო შრომისათვის. საზოგადოების საბჭოსა და სარევიზიო კომისიის წევრებად ისევ ძველები იქნენ არჩეულნი.

დონ—ვალიანი.

შემთხვევები

უბედური შემთხვევა

გუშინ, საღამოს, ტყის შესახვევი № 16-ში, მოხდა შემდეგი უბედური შემთხვევა: მდგმური პეტრე ისაევი და მისი შვილი იოსები საკუჭნაოში აწყობდნენ შეშას. მუშაობის დროს უეცრად იატაკი ჩაინგრა და ქვეშ მოიტანა. მამა-შვილი, ორთავე მსუბუქად დაშავდენ.

თავის დაჭრა შემთხვევით

გუშინწინ, საღამოს, პირველ სამილიციო რაიონის უნცროს თანამშრომელს ინდიკო ჯიშკარიანს (მცხოვრები გრიბოედოვის ქ. № 5) ბინაზე წმენდის დროს გაუვარდა „ბრაუნინგის" რევოლვერი. მას ტყვია მოხვდა მარჯვენა ფეხში და მსუბუქად დაიჭრა.

ავტომობილის დაჯახება „ტაჩკაზე"

გუშინ, დღისით პლეხანოვის პროსპექტზე სახლი № 115 წინ, „საკტრანს" „ტაჩკას" დაეჯახა ავტომობილი № 292, რომელსაც მართავდა შოფერი გიორგი ზარდიაშვილი.

„ტაჩკა" დაიმსხვრა. მეტაჩკემ მოასწრო გადმოხტომა.

ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

ქურდების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ ქურდობისათვის დააპატიმრა ნიკოლოზ აქსენტისძე [illegible], შაქრო [illegible] გოგიტაშვილი, პეტრე სტეფანესძე კაპლოვი, დავით პანტელეისძე [illegible], [illegible] გერასიმე და ივანე [illegible].

სასამართლო

საძოვრისათვის

წალკის რაიონში არის ორი სოფელი ხადიკა და ნეო-ხარაბოვი, რომელთა მცხოვრებლებს ხშირად უკმაყოფილება მოსდით საძოვრების სარგებლობის ნიადაგზე.

არის შემთხვევა, როცა ერთი სოფლის მცხოვრებლები თავის ცხვრის ფარას მიუსევენ მეორე სოფლის მცხოვრებთა საძოვრებს. გაჩნდება ჩხუბი, ცხვირ-პირის მტვრევა და ხელისუფლება თუ არ მოასწრო საქმეში ჩარევა, ჩხუბი სისხლის-ღვრამდე მიდის.

ერთ ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ა. წ. ივლისში. სოფელ ხადიკის მცხოვრებთ სპირიდონ პოპოვს და სპირიდონ კოკოზოვს თავიანთი ცხვარი გაურეკიათ საძოვრათ ნეო-ხარაბოველთა საძოვრებზე. ეს ამბავი გაიგეს ნეო-ხარაბოველებმა. იწყინეს და შემოესიენ მათ ქვებით და კეტებით. ხარაბოველებმა მოინდომეს მათთვის ცხვრის ფარის წართმევა. კოკოზოვს კიდეც წაართვეს და როცა პოპოვის ცხვრის გარეკვა დაიწყეს, ხადიკელებმა (პოპოვმა და კოკოზოვმა) ასტეხეს სროლა. ესენი ისვრიან ტყვიებს, ხარაბაველები ქვებსა და ჯოხებს.

ბრძოლის დროს დაჭრილი დაეცა მეველე ფოტოვი და შემთხვევით იქ მყოფი გლეხი კოზმოვი. უკანასკნელი ჭრილობებისაგან მოკვდა. ხოლო ფოტოვი გადარჩა სიკვდილს.

პოპოვი და კოკოზოვი დააპატიმრეს.

საქმე გაარჩია თბილისის სამაზრო სასამართლოს გამსვლელმა სესიამ ამხ. ლაშხის თავმჯდომარეობით. პოპოვს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, კოკოზოვს—3 წლით. ამნისტიის ძალით მსჯავრდადებულთ სასჯელი გაუნახევრდათ.

გარდა ამისა მსჯავრდადებულებმა უნდა გადაიხადონ 500 მანეთი ერთდროულად მოკლულის ოჯახის სასარგებლოდ. ხოლო ყოველთვიურად უნდა იხადონ მოკლულის შვილებს აღსაზრდელად ოც-ოცი მანეთი.

„ხარჯების შემცირება“

მოქალაქე ონუფრიადი ყოველთვის ხარჯების შემცირების მომხრეა, როგორც კერძო მეწარმოებელი. ხარჯების შემცირებაზე, რაც რომ დაიბადა, მას შემდეგ თავს იმტვრევს მოქ. ონუფრიადი. პირველად, რასაკვირველია, ხარჯების შემცირებას მოსამსახურეების შემცირებით იწყებდა ის.

ამასთანავე ის დიდი გაბედული კაციც არის როგორც სჩანს მას არაფრად მიაჩნია არც კოლექტიური ხელშეკრულება, არც კავშირი, არც ადგილკომი.

რომ ეს ასეა, ეხლავე დაინახავთ: ონუფრიადს კაფე-რესტორანი აქვს თბილისში პლეხანოვის პროსპექტზე. მასთან მსახურობდა მოქ. ელიზბარ ოდიშარია. უკანასკნელი იყო სახალხო კვების კავშ. წევრი, ადგილკომის წევრი, ითვლებოდა კავშირის რწმუნებულად და სხვ.

ონუფრიადმა დაადგინა „ხარჯების შემცირება“ და „შეამცირა“ მოქ. ოდიშარია.

სამაგიეროდ შრომის სასამართლომ ჭკუაზე მოიყვანა ონუფრიადი. სასამართლომ დაადგინა მოქ. ოდიშარია დაუყონებლივ აღდგენილ იქნეს სამსახურში და გადახდეს ონუფრიადს ოდიშარიას სასარგებლოდ გაცდენილი დროის ხელფასი.

ორი სილა—6 თვის ციხე

ეს ამბავი მოხდა ტრამვაიში.

მოგეხსენებათ, რომ ტრამვაის დირექციის უკანასკნელი განკარგულებით, შეიძლება ნორმაზე მეტი ხალხი მოთავსდეს ტრამვაიში, რადგან განსაზღვრულ საათებში დასაშვებია მგზავრების არანორმალური რაოდენობის გადაყვანა სადგურიდან სადგურამდე.

მაგრამ ტრამვაიზე მგზავრების რაოდენობის არანორმალობა, როდი ნიშნავს არანორმალობას საერთოდ.

სწორედ ეს ვერ გაიგო მოქ. შაქრო ალიბეგაშვილმა. უკანასკნელი ადის ტრამვაიზე და დგება შუა გასავალში. ტრამვაი ხალხით გაჭედილია.

— გაგვატარეთ... დინჯად ეუბნება კონდუქტორი ალიბეგაშვილს.

— წადი ერთი, ნუ გააჭირვე საქმე, რას დაჰყვირი ყოველ წუთში,—ხმა ამაღლებით შეუტევს ალიბეგაშვილი.

— მოქალაქევ, თქვენ ნუ დაგავიწყდებათ რომ კონდუქტორმა ბილეთები უნდა გაყიდოს. ჯერ უფასო მოგზაურობა არ დაუწესებიათ.

— მომშორდი აქედან, შენი... და ალიბეგაშვილმა ორი სილა აწნა კონდუქტორს.

ალიბეგაშვილი გადმოსვეს ტრამვაიდან [illegible] და ჩააბარეს მილიციელს. მილიციელმა ის ჩააბარა კომისარიატს, კომისარიატმა ჩააბარა სასამართლოს, ხოლო სასამართლომ კი 6 თვის ვადით [illegible] ჩააბარა ალიბეგაშვილი გამასწორებელ სახლს.

გერ.

ხელოვნება

ვლადიმერ მაიაკოვსკი

(მისი თბილისში ჩამოსვლის გამო)



ვლადიმერ მაიაკოვსკი თვალსაჩინო ფიგურაა თანამედროვე რუსულ ლიტერატურაში. მისი შემოქმედებითი მუშაობა იწყება 1912 წლიდან, როცა გამოდის რუსული ფუტურიზმის პირველი ორგანო „სილა საზოგადოებრივ გემოვნებას“. სევერიანინის „ბულვარშჩინის“ წინააღმდეგ ამხედრებული პოეტი ამავე ხანებში სწერს ცნობილ პოემას „ღრუბელი შარვლით“, რომელსაც აქვეყნებს 1914 წელს.

მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში, როცა რუსეთის ძველი ლიტერატურული სკოლების პოეტები უმღეროდენ მონარქიზმს და დიდი რუსეთის თვითმპყრობელობას, ვლ. მაიაკოვსკი სწერს ომის წინააღმდეგ საპროტესტო პოემას „ომი და ზავი“. ამ პოემით იგი „წინასწარმეტყველობს“ მსოფლიო რევოლიუციის მოახლოვებას და კაპიტალისტური ქვეყნების მოსალოდნელ დაღუპვას.

1917 წელში ვლ. მაიაკოვსკი სწერს ლექსების მთელ სერიას თებერვლის რევოლიუციაზე. ამ დროიდან მის შემოქმედებით მუშაობაში იწყება ახალი ხანა პირველყოფილი ანარქიული ფუტურიზმის სარბიელიდან სოციალურ თემებზე გადასვლით. თებერვლის რევოლიუციას მან მიუძღვნა რამდენიმე ოდა, დასწერა „პოეტო-ქრონიკა“ რევოლიუციის პირველ დღეებზე და მთელი სხვა ლექსები.

დაბერა ოქტომბრის ქარმაც. პეტერბურგის კაზარმებს ვლ. მაიაკოვსკიმ უმღერა „მარცხენა მარშით“ და მთელი რიგი აგიტაციური ხასიათის ლექსებით. ამავე ხანებში იგი აარსებს პერიოდულ გაზეთს „კომუნის ხელოვნება“-ს, დადის ფაბრიკა-ქარხნებში, კითხულობს „აგიტკებს“, ხატავს პლაკატებს, სწერს ლოზუნგებს და დიდ საგიტაციო მუშაობას ეწევა რუსეთის დეპეშათა სააგენტოში.

1918 წელს მთავრობის ცენტრალურ ორგანოებთან ერთად პეტერბურგიდან გადადის მოსკოვში. აქ იგი სწერს „მისტერია ბუფ“-ს (ეს პიესა რამდენიმეჯერ დადგა ვს. მეიერხოლდმა კომისარჟევსკაიას ყოფ. თეატრში).

სამოქალაქო ომის პერიოდში ვლ. მაიაკოვსკის მთელი შემოქმედებითი მუშაობა მიმართულია „აგიტკისაკენ“. ამ ხანებში სწერს დიდ პოემას „150.000.000“, რომელშიაც გამოსცემს ასორმოცდაათ მილიონიან საბჭოთა რუსეთის გამოსვლას მსოფლიო იმპერიალიზმისა და კაპიტალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. სამხედრო კომუნიზმის ხანის გავლის შემდეგ, სწერს მთელ რიგ სატირიულ პოემებს და ლექსებს სახელმწიფო ორგანოების ბიუროკრატიზმზე და ყოფა-ცხოვრების უარყოფით მხარეებზე.

1922 წელს ვლ. მაიაკოვსკი მიემგზავრება პარიზში. საბჭოთა კავშირში დაბრუნებისას აარსებს ხელოვნების მემარცხენე ფრონტის ორგანოს—„ლეფ“-ს. ამ ჟურნალის გარშემო თავს იყრიან მემარცხენე პოეტები: (ხლებნიკოვი, ასეევი, პასტერნაკი, კამენსკი); კრიტიკოსები (არვატოვი, ჩუჟაკი, ბრიკი, შკლოვსკი); მხატვრები: (როდჩენკო, ლავინსკი) და რეჟისორები: ეიზენშტეინი და ძიგა ვერტოვი). ხსენებული ორგანო დღესაც განაგრძობს გამოსვლას. ის პროპაგანდას ეწევა თანამედროვეობის მოთხოვნილებასთან შეფარდებულ ხელოვნების შესაქმნელად. „ლეფ“-ში მოთავსებულ ვლ. მაიაკოვსკის ნაწარმოებიდან აღსანიშნავია მისი „Про это“ და „საიუბილეო“. პირველში პოეტი გადმოსცემს თანამედროვე ქალაქის ყოფას და ახალი ადამიანის მოქმედებას. მეორეში—პუშკინთან გაბაასებას პოეტის მოქალაქეობრივი მოვალეობისა და დროსთან მისი ურთიერთობის შესახებ. ორივე ნაწარმოებმა მიიქცია, როგორც კრიტიკის, ისე მკითხველი საზოგადოების ყურადღება.

1926 წელს ვლ. მაიაკოვსკი ისევ მიემგზავრება ევროპაში და ამერიკაში. საბჭოთა კავშირში დაბრუნებისას მოკავშირე რესპუბლიკების ყველა დიდ ქალაქებში და სამრეწველო რაიონებში იგი მთელ რიგ მოხსენებებს აკეთებს თავის მოგზაურობის შესახებ. კითხულობს აგრეთვე ახალი ლექსების მთელ ციკლს—ატლანტიის ოკეანეზე, ამერიკაზე და სხვა. სახელმწიფო გამომცემლობით ცალკე წიგნათ სცემს აგრეთვე თავის შთაბეჭდილებას „ამერიკის ჩემ მიერ აღმოჩენა“.

მიმდინარე წელს ისევ გაემგზავრა დასავლეთ ევროპაში. დაბრუნების შემდეგ დასწერა ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის აღსანიშნავი პოემა „17 წელი—25 ოქტომბერი“ („კარგია“—„хорошо“). პოემას კითხულობს მოკავშირე რესპუბლიკების ყველა ქალაქებში და ფაბრიკა-ქარხნებში.

მისი ნაწარმოებიდან ევროპიულ ენებზე თარგმნილია „ღრუბელი შარვლით“, „ომი და ზავი“, „Про это“, „საიუბილეო“ და მრავალი სხვა ლექსები. ზოგიერთი ლექსები და პოემები თარგმნილია აგრეთვე ქართულადაც.

უკანასკნელ ხანებში მუშაობს რომანზე. ამჟამად იმყოფება თბილისში.

ვ. ჟ—ი.

სიმფონიური კონცერტი საოპერო თეატრში

სიმფონიური კონცერტი ეგონ პეტრის მონაწილეობით მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს თბილისის მუსიკალურ ქრონიკაში. კონცერტის პროგრამა—ბეთჰოვენის, ჩაიკოვსკის და ლისტის საფორტეპიანო კონცერტები განსაკუთრებული შინაარსისაა, და მისი შესრულება ერთ კონცერტში მისაწვდომია მხოლოდ ისეთი დიდი მსახიობისათვის, როგორიც არის ეგონ პეტრი. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ნიჭიერმა პიანისტმა საუცხოვოდ შეასრულა. ჩვენ შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ ამა თუ იმ ნაწარმოების ინდივიდუალურ გაგებაზე. ბეთჰოვენის კონცერტი—კლასიკური სკოლის საფორტეპიანო ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები, უაღრესი სისრულით, აკადემიურობით და მხატვრულად იქნა შესრულებული. ჩაიკოვსკის კონცერტიც, რომელიც თანამედროვე საფორტეპიანო შემოქმედების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს, მხატვრულად იქნა შესრულებული ლისტის მეტად ეფექტიური კონცერტი. უდიდესი დამსახურება მხატვრულობის მიღწევაში ეკუთვნის ახალგაზრდა დირიჟორს ა. მელიქ-ფაშაევს, რომელიც დიდ ესტრადაზე პირველად გამოვიდა ხელმძღვანელად. აქ არის არა მარტო ფოლადის რიტმი, არა მარტო პარტიტურის მშვენიერი ცოდნა, არამედ აგრეთვე განსაკუთრებული მხატვრული დინამიკა და ფრაზიროვკა. აქ ახალგაზრდა დირიჟორმა გვიჩვენა, თუ როგორი ანსამბლამდე შეიძლება მიაღწიოს შესრულებაში სრული კონტაქტი სოლისტთან, გარკვეული ნიუანსიროვკა, ხმის თანაბრობა აკომპანიმენტებში, მუსიკალობა ორკესტრის შესრულებაში და უმთავრესად მუსიკალური სიღრმე,—აი, რა იტაცებდა ეგონ პეტრისაც, ორკესტრსაც და მთელ აუდიტორიასაც. საერთოდ ეს კონცერტი ერთ-ერთი მხატვრული ფურცელია თბილისის მიმდინარე სეზონის მუსიკალურ ქრონიკაში.

ვ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

— მაიაკოვსკის საღამო. რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში დღეს გაიმართება მაიაკოვსკის საღამო.

— მუშათა ახალ კლუბში დღეს სომხური დრამწრის მიერ წარმოდგენილი იქნება „როსკიპი“.

— მუშათა თეატრში. რუსული დრამა დღეს დგამს „ლიუბოვ იაროვაია“-ს.

ჭადრაკი

მასიური ტურნირი

ხვალ, 10 დეკემბერს ცენტრალურ მუშათა კლუბში გაიხსნება გემო-კვების მუშაკთა კავშირის მასიური ტურნირი. ტურნირზე ჩაწერა მიმდინარეობს ყველა ფაბრიკებისა და ქარხნების ადგილკომებთან. თამაში წარმოებს ოლიმპიური სისტემით; ყოველი მოთამაშე ორ წაგების შემდეგ გამოირიცხება ტურნირიდან. მასიურ ტურნირზე ამოირჩევა გემოკვების კავშირის მუდმივი მოჭადრაკეთა სექცია. ტურნირზე გამარჯვებულნი შეადგენენ კავშირის ჩემპიონატს. ეს ტურნირი პირველი მასიური დაწყებაა გემოკვების კავშირში.

მატჩი

ქარხანა „პროლეტარმა“ მატჩში გამოიწვია ცენტრალურ მუშათა კლუბთან არსებული მოჭადრაკეთა წრე. თამაში დაიწყო დღეს ც. მ. კლუბში და მიმდინარეობს ათ წყებათ. ქარხნიდან თამაშობს 10 მუშა.

ა.-კ. მოჭადრაკეთა ჩემპიონატი

ამიერ-კავკასიის მოჭადრაკეთა ჩემპიონატი რომელიც უნდა შემდგარიყო ა. წ. 15 დეკემბერს, აზერბეიჯანისა და სომხეთის პროფსაბჭოების კულტ-განყოფილებებთან არსებულ საჭადრაკო ბიუროების თხოვნით, გადადებულია 25 დეკემბრისათვის.

ტურნირი პირველობაზე

თბილისის მოჭადრაკეთა ცენტრ. კლუბში შესდგა ტურნირის მეექვსე ტური. რომელშიც ეცკოვიჩმა მოუგო გუბელს, დანილოვის პარტია ვეიმანთან უშედეგოთ დამთავრდა, ხოლო მირზაევის და კასპარიანის პარტია გადადებულია.

მეექვსე ტურის შემდეგ, წინ მიდის კასპარიანი+4 ნახ. ხუთიდან, მირზაევი+3 ოთხიდან დანილოვი+4 ექვსიდან.

განათლების მუშაკთა სახლში

პარასკევს, 9 დეკემბერს, საღ. 6 საათზე შედგება ჭადრაკის ასოციაციის საორგანიზაციო კრება ამხ. აგამალიანის ხელმძღვანელობით.

ფიზკულტურა

სამტრედიაში

დასავლეთ საქართველოს სხვა მაზრებთან შედარებით, სამტრედიაში ფიზკულტურის წრეების მუშაობა კარგად არის დაყენებული. ადგილობრივი პროფბიურო ამჟამად აერთიანებს ფიზკულტურის 19 წრეს. მათ შორის ტანვარჯიშის—5, მძლეოსნობის—4, კალათბურთის—5, ფეხბურთის—3, ძალოსნობის—1 და ჭადრაკის 1. მოვარჯიშეთა რაოდენობა აღწევს 350-ზე. ფიზკულტურის წრეებს შორის განსაკუთრებით კარგად მუშაობს რკ. გზელთა ტანვარჯიშის წრე და ფეხბურთელთა გუნდი. აღსანიშნავია აგრეთვე მშენებელთა კავშირის ფეხბურთელთა გუნდი. რაც შეეხება დანარჩენ წრეებს, ყურადღებას იპყრობს აბრეშუმის ფაბრიკაში არსებული ტანვარჯიშის წრე, რომელშიც მოვარჯიშეთა უმრავლესობა ქალებისაგან შესდგება.

სამტრედიის ფიზკულტურის წრეების შორის ხშირად იმართება მეგობრული შეჯიბრებები. პროფბიურო დიდ დახმარებას უწევს მათ. ხშირად ეწყობა აგრეთვე საჩვენებელი გამოსვლები. საერთოდ ფიზკულტურის წრეების მუშაობა უფრო გაუმჯობესებულია შარშანდელთან შედარებით.

რადიო-გადაცემა

დღეს, 9 დეკემბერს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

კომკავშირის გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“—ქართულ ენაზე.

ქალების ჩაბმა კოოპერატიულ მუშაობაში—ქართულ ენაზე.

7 საათის სამუშაო დღის მნიშვნელობა —თურქულ ენაზე.

საუბარი ბიოლოგიაზე — რუსულ ენაზე.

7 საათის სამუშაო დღის მნიშვნელობა — ქართულ ენაზე.

ობსერვატორიის ცნობა.

მუსიკის ახსნა - განმარტება.

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

ტექნიკური კონსულტაცია.

ა-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე.

რადიო-გადაცემა დაიწყება საღამოს 6 საათზე

მთვარის დაბნელება 8 დეკემბერს

(საუბარი საქ. გეოფიზიკურ ობსერვატორიის სეისმიურ განყოფილების გამგე—ბიუსთან)

რამოდენიმე წუთით ადრე, ვიდრე მთვარე პირველად შეეხებოდა დედამიწის ჩრდილს (საღამოს 6 საათზე, და 52 წუთზე) მთვარის დისკოზე გამოჩნდა ნახ. ჩრდილის მონაცრისფრო ზოლი, შემდეგ ზოლი თანდათან დიდდებოდა და უფრო და უფრო ფარავდა მთვარის დისკოს. 7 საათზე და 54 წუთზე მთვარე მოჰყვა სრულ ჩრდილში, მაგრამ სავსებით არ გამქრალა: იგი ხილული იყო მთელი სრული ფაზის განმავლობაში ე. ი. 9 საათსა და 10 წუთამდე. ამავე დროს დაბნელებული მთვარის ფერი იყო ღია მიხაკისფერ მოწითალო, რომელსაც გადაჰკრავდა ვარდისფერი ნაჩრდილი, მხოლოდ უფრო მოშავო ადგილები (მაგალითად ზღვისა), შეღებილი იყო უფრო მუქათ. უნდა აღინიშნოს, რომ გუშინდელი დაბნელების დროს მთვარის საერთო შეფერვა უფრო აშკარა და ნათელი იყო ვიდრე ეს ჩვეულებრივ შემჩნეულია წინანდელ დაბნელებათა დაკვირვებათა დროს. ეს მოვლენა ამართლებს და ეთანხმება ფრანგ მეცნიერ დანჟონის ჰიპოტეზას, რომლის მიხედვით არსებობს ერთგვარი კავშირი მზის აქტივობასა და მიწის ატმოსფერის მაღალ ფენებს გამჭვირვალობის შორის. დანჟონის თეორიის მიხედვით მზის ლაქების მაქსიმუმის ეპოქაში (ამჟამად ჩვენ ამ ეპოქაში ვიმყოფებით) დაბნელებული მთვარე იღებება უფრო გარკვევით, მზის ლაქების მინიმუმის დროს კი უფრო მუქათ და შავათ.

იმისდამიხედვით, თუ როგორ ბნელდებოდა მთვარის დისკო, ცის ტატნობზე ჩნდებოდენ მეტი და მეტი ვარსკვლავები, რომელნიც წინად —მთვარის სინათლეში არ სჩანდნენ.

ეს დაბნელება კიდევ საინტერესოა იმ მხრივ. რომ მთვარე დაბნელების მომენტში იმყოფებოდა ცის თაღის იმ ნაწილში, რომელიც შედარებით უხვია ვარსკვლავებით. ამ დაბნელების დროს მოხდა რამოდენიმე ვარსკვლავის დაფარვა, რომლის დაკვირვებასაც დიდი თეორეტიული მნიშვნელობა აქვს მთვარის სწორი ორბიტის გამოსარკვევად რასაკვირველია ვარსკვლავების დაფარვას აკვირდებოდენ ყველა ასტრონომიული ობსერვატორიები, რომელნიც აღჭურვილნი არიან სათანადო ტელესკოპებით.

დაბნელება გრძელდებოდა დაახლოვებით სამ საათსა და 30 წუთს.

მეცნიერება და ტეხნიკა

ახალი ორთქლმავალი

ინგლისის ერთმა ორთქლმავლების საამშენებლო ქარხანამ გამოუშვა ახალი უზარმაზარი ორთქლმავალი, რომელიც ორთქლმავლების აღმშენებლობის ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს. ახალი ორთქლმავალი განცვიფრებას იწვევს თავისი სიდიდით: მისი სიგრძე უდრის 30 მეტრს, ბორბლების დიმეტრი—სამ მეტრს. გარეგნულად ორთქლმავალი არ წააგავს თანამედროვე ორთქლმავლებს. მას არა აქვს საკვამლე მილი და საერთოდ მოკლებულია თანამედროვე ორთქლმავალის ყველა გარეთა ნაწილებს. ამის გამო იგი წააგავს ყოველი მხრიდან დახურულ ყუთს. ინგლისელები ამ ორთქლმავალს უწოდებენ „ბორბლებიან ტანკს“.

სოკოების ზრდის დაჩქარება

პენსილვანიის (ამერიკა) სოკოების თირმებში, სადაც თავმოყრილია ამერიკის სოკოების მრეწველობა, სოკოების ზრდას აჩქარებენ ხელოვნური ქარიშხალის მოწყობით. ჰაერის გაჟღენთა ელექტრონით და ოზონის გამოყოფა ხელოვნური ქარიშხალის დროს იმდენათ დადებითი გავლენას ახდენს სოკოების ზრდაზე. რომ ფერმების პატრონები ზოგჯერ ორ მოსავალს აგროვებენ.

სინათლე და რადიო გადაცემა

ნიუ-იორკის უდიდესი რადიო-სადგურის ინჟენერებმა ამ რამოდენიმე ხნის წინათ აღმოაჩინეს, რომ რადიო-სადგურის ანტენის განათება საგრძნობლად ასუსტებს რადიო-ტალღებს. ეს მოვლენა სრულიად შემთხვევით აღმოაჩინეს. სადგურის მუშაობის დროს შენიშნეს. რომ რამოდენიმე წამის განმავლობაში დეპეშების მიღება შეფერხდა. როგორც გამოირკვა ამ დროს ანტენა შორიდან გაენათებიათ მძლავრი პროჟექტორით.

ამერიკელ ინჟენერების აღმოჩენა ნათელს ჰფენს იმ ფაქტს, რომ რადიო-გადაცემა უფრო უკეთ ისმის საღამოთი და ღამით.

ნარევი

დამპალი კბილები და შეშლილობა

ინგლისელმა ნევრო-პატალოგმა და ფსიქიატრმა ხენტერმა აღმოაჩინა, რომ დამპალი კბილის ძირები ხშირად წარმოადგენენ ფსიქიურ აშლილობის მიზეზს. დამპალი ძირი წარმოადგენს კერას ბაცილებისას, რომლებიც წამლავენ მთელ ნერვიულ სისტემას და იწვევენ სერიოზულ ნერვიულ და ფსიქიურ დაავადებას გაფუჭებულ კბილების ამოთხრით პროფ. ხენტერმა მიაღწია იმას, რომ მისი პაციენტების უმრავლესობა ან სრულიად განიკურნა ან მნიშვნელოვნად გამოჯანმრთელდა.

კინო მატარებელში

ინგლისში ამ რამოდენიმე ხნის წინათ მოახდინეს მიმავალ მატარებელში სურათების ჩვენების ცდები. მატარებელი მიჰქროდა 90 კილომეტრის სისწრაფით საათში. სურათს უჩვენებდენ უკანა ვაგონში, რომელიც 40 კაცს იტევდა მატარებლის ნჯღრევა თითქმის არავითარ გავლენას არ ახდენდა სურათის ჩვენებაზე. ამრიგად. მატარებელში კინო - სურათების ჩვენების პრობლემა შეიძლება გადაჭრილათ ჩაითვალოს.

„მოლტკე“-ს ამოღება

ამ რამოდენიმე ხნის წინათ სკაპა ფლოუათან (ინგლისის ჩრდილოეთ სანაპიროებთან) დასრულდა მუშაობა მსოფლიო ომის დროს დაძირულ გერმანულ კრეისერის „მოლტკე“-ს ამოსაღებად. კრეისერი დაძირული იყო 22 მეტრის სიღრმეზე. დაძირული გემის ამოსაღებად მისგან ამოქაჩეს წყალი და შემდეგ ჰაერი ჩაღვენეს. როგორც კი გემის კორპუსი ჰაერით გაივსო, იგი იმ წამსვე ამოტივტივდა ზევით.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საკონფლიქტო კომისია წინადადებას აძლევს ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ ხსენებულ საკონფლიქტო კომისიაში დღეს, 9 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათამდე ამხ. მაღალაშვილთან: ბორის კნიაზევი, არკ. სლამიშვილი, ილია რამიშვილი, ივანე მოროზოვი, ნინა ჩხარტიშვილი (პედაგოგიურ ინსტიტ.), სიმონ ივანესძე მაჭავარიანი, ელენე ღოღობერიძე, და ქიქოძე (პირველი „ახალშენი“-ს გამგე).

— საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ამხ. საჯაიას (პოლიტ-სამმართველოს უჯრ.) ორი დღის ვადაში გამოცხადდეს თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში.

— სახ. უნივერსიტეტის სოც. ეკონომიური ფაკულტ. არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედის მორიგი საერთო კრება შესდგება დღეს, პარასკევს, საღამოს სრულ 6 საათზე კლუბში. დღის წესრიგში შემდეგი საკითხებია: 1) ბიუროს ანგარიში, 2) ანკეტების განხილვა, 3) მიმდინარე საკითხები. ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

— საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. ბიქტორ ბესარიონისძე კალანდაძეს გამოცხადდეს დღეს, 9 დეკემბერს, დილის 9 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ., 24, მესამე სართული, ოთახი № 3).

— სახ. უნივერს. სამკურნალო ფაკულტეტთან არსებული პარტ. კოლექტივის ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 9 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია ფაკულტეტის კომპარტიის და კომკავშირის უჯრედთა გაერთიანებული კრება. წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

— სახ. უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტთან არსებული კომპარტიის და კომკავშირის უჯრედთა ბიუროები იტყობინება, რომ დღეს პარტიის ბიურო-კოლექტივში უნდა გამოცხადდენ აგრონომიულ ფაკულტეტის 1 და 2 კურსის პარტიის და კომკავშირის წევრები და კანდიდატები (სრულ 9 ნახ. საათზე, მე-3-ე და მე-4 კურსის კი სრულ 12 საათზე). დღეს, აგრონომიულ ფაკულტეტის 1 და 2 კურსის უნდა გამოცხადდენ პარტიი[illegible]

შრომის ბირჟაში

თბილისის შრომის ბირჟის შავ-მუშათა მესამე სექცია აღრიცხვაზე აყვანილ უმუშევართა საყურადღებოდ აცხადებს, რომ დღეს 9 დეკემბერს ნაშუადღევის სამ საათზე ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში დანიშნულია ფიზიკურ შრომის უმუშევართა საერთო კრება. დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

სექცია სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევართ: ვლადიმერ იაშვილს, შალვა შალამბერიძეს, გიორგი კასრაძეს, ალექსი ხუციშვილს, დავით მუსერიძეს, კონსტანტინე კოროშინაძეს, ბორის კვაჭანტირაძეს, ვასილ გაგლოევს, პეტრე კაზაროვს, იოსებ მარტიროსოვს, გრიგოლ წერეთელს, ვლადიმერ ჯოხაძეს, თევდორე კოლოსოვსკის, ვალერიანე ფარცხალაძეს. გიორგი ვაბიტაშვილს, გაბრიელ ადამიშვილს, აკაკი სახვაძეს, ანდრო ვაგაროვს, შაქრო გოძიაშვილს, ალექსანდრე რაზმაძეს, მოსე დათიკაშვილს, გიორგი ტატუაშვილს, გოჰარეტ ქართველიშვილს, იულო მაღულარიას, ბესარიონ ნაჭყებიას, [illegible], შალვა ტყავაძეს, კონსტანტინე გოგიძეს, დავით გურგენიძეს, [illegible], ზაქარია ელბაქიძეს, [illegible], ივანე ჯიოევს, არტაშ მირუაშვილს, გრიგოლ ლორიას, დავით ბერუაშვილს, ალექსანდრე ბასილიას, კონსტანტინე ნაზარბეგოვს, არტავაზ კარაპეტიანს, მუშეგ გევორქიანცს, სოლომონ გოგიშვილს, ვასილ ბერიტაშვილს, ლევან ჩაჩანიძეს, დიმიტრი ჯეირანაშვილს, ბიქტორ სტრიჟენკოვს, ვახტანგ გვეტწითელს, ვასილ ყუფარაძეს, ფილიპე მელქაძეს, ალექსი ბაილაკოვს, ივანე წერეთლიშვილს, აშოტ კალაშიანს, სუმბატ აზატიანს, მიხეილ დვარაშვილს, ნიკოლა ხიზამბორელს, სუმბატ ხალათიანცს, ლევან მკრტიჩიანცს, ვარდენ ჟუჟუნაშვილს, გრიგოლ კუჭაიძეს და ვლადიმერ ფირალიშვილს. აღნიშნული უმუშევრები უნდა გამოცხადდენ მიმდინარე თვის 15-მდე აღმშენებელ მუშაკთა მე-5 სექციაში.

მწუხარებაში იყოფნი: მეუღლე კატო, შვილებით: პეტრე, ვალიკო და სერიოჟა, ქალიშვილები: ოლღა ქაცარავასა, დომნა გიორგაძისა, იოვანე ქოიავასი, შუშანიკა ჯობაძისა და ქეთო დუნდუა,—რძლები: ნინა და ვერა; სიძეები: სოლომონ ქაცარავა ნიკო გიორგაძე, ლუკა ქოიავა და ანტონა ჯობაძე; შვილისშვილები: მარგარიტა, ძიტუშა, ხიკუშა და ახიკო ქაცარავები; კოლია და მირიან დუნდუები; აკაკი, თამარა და ტატიანა ქოიავები; რუსუდანი, ლაცა, ვახტანგი და ოთარი გიორგაძეები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენთვის დაუვიწყარი

ნიკოლა პეტრესძე დუნდუა

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 11 დეკემბერს, ქ. სამტრედიაში, მე-3-მე ილორის სასაფლაოზე. (ე)

---

7 დეკემბერს, ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ეკატერინე (კატო) კოხტას ასული ბაქრაძისა

რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობებს ღრმად დამწუხრებული შვილები: ილარიონ (ილიკო) პეტრესძე ბაქრაძე და ვერა პეტრეს ასული მოდებაძისა, რძალი სოფიო (სონია) მიხეილის ასული ბაქრაძისა, სიძე ნილო მოდებაძე და შვილიშვილები, კაკული და გივი მოდებაძეები. დაკრძალვა მოხდება ა | წ. 11 დეკემბერს, კვირას, ქ. ქუთაისში. გამოსვენება საკუთარ ბინიდან - აკ. წერეთლის ქ. № 18 ნაშუადღევის 3 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. 713 2-1

ზუგდიდის პირველი საბჭოთა აფთიაქის თანამშრომელნი მწუხარებით აუწყებენ ყველა ნათესავთ და ამხანაგ-მეგობრებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამავე აფთიაქის თანამშრომელი

ნოკო ზურაბის ასული ხარებავა

დაკრძალვა მოხდება შაბათს, 10 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე ქ. ზუგდიდში. (ე)

გულდათუთქულნი მეუღლე პაშა ივანეს ასული, შვილები პლატონი თავისი მეუღლით—ნიათი, ოლღა, ლიდია, ქსენია, ლიუბა, იუსტინე თავისი მეუღლით—სიმონით და თავისი შვილებით, ძმა მათე გოგისძე დანელია თავისი მეუღლით—იაშიკოთი და ძმისშვილი ალექსი იოსესძე დანელია ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ა | წ. 8 დეკემბერს დილის 5 საათზე გარდაიცვალა მათი საყვარელი და მუდამ დაუვიწყარი

გიგო გოგის ძე დანელია

გამოსვენება მოხდება დღეს, 9 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე საკუთარი ბინიდან, ყორღანოვის ქ. № 10 (პირველი სამილიციო უბანი) რკინის გზის სადგურზე სოფ. ლეხაინდრავოში წასასვენებლად. დაკრძალვა მოხდება სოფ. ლეხაინდრავოში 13-ს დეკემბერს. 715

სახელმწიფო ოპერა

დღეს, პარასკევს, 9 დეკემბერს ფაუსტი ვალპურგიის ღამით
მონაწ. დანიელიანი, ხუმაროვა, კრუზო, ვენაძე, შარაშიძე.
დირიჟორობს ა. შ მელიქ-ფაშაევი.

9 დეკემბრისათვის დანიშნული პრემიერა ხევილიელი დალაძი გადატანილია 13 დეკემბრისათვის. 9 დეკემბრისთვის აღებული ბილეთები გამოდგება 13 დეკემბერს.

შაბათს, 10-ს უჩიის ქალი. კვირას 11-ს სამსონ და დალილა.

ნ. 3'9 1—1

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი

სეზონის საუკეთესო სურათი „ჰამბურგი“
რეჟისორი ვ. ბ. ბალიუზეკ. მხატვარი—ბაიზენგერც,
მხატვრული ფილმი აღმოსავლეთის ცხოვრებიდან „სიკვდილის მინარეთი“
მხატვრული სურათი „მოხეტიალე ვარსკვლავები“
ორიგინალური სიუჟეტი. მშვენიერი თამაში.
უკანასკნელი 3 და 4 სერია „ბუკ-რაველ“
ანონსი: მალე მსოფლიო შედევრი „ვარიეტე“ 0—7

ცირკი „კოლოს“
ტელ. 16—67

სამშაბათს, 6-ს, ოთხშაბათს 7-ს, ხუთშაბათს, 8-ს და პარასკევს 9 დეკემბერს გრანდიოზული სანახაობანი 3 განყოფ. 14 №№. დამსხ. მსახიობთა ძმ. ტანტების მონაწილეობით. გრძელდება საქვეყნოდ ცნობილ გიპნოტიზიორის ტორ-რამას (თავისი მხლებლებით) გასტროლი. ყველამ უნდა ნახოს ტორ-რამა. დასაწყისი 8½ საათზე. სალარო 12-დან 2 საათ. და 5 საათიდან.

ნ 306 4—1
დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი. რწმუნებ. კ. გროდზინსკი. ადმინისტრატ. მ. ტადე.

იყიდება 10 ძალიანი ლოკომობილი
მისამართი: კამოს ქუჩა № 10 ხირაძე. 2—1 716

ექიმი ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—1.

ექიმი
ზ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 6 საათიდან 12 საათამდე, საღამოთი 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა. № 3. 25-

ს. მ. უ. ს. ტრესტების აჭარისტანის სავაჭრო კანტორის

აქტივი. დასკვნითი ბალანსი 1926 წ. 1 ოქტომბრისათვის. პასივი.

აქტივი.

მუხლების დასახელება	ჯამი კერძო	ჯამი საერთო
იარაღი:		
ინვენტარი		1.588—68
მასალა:		
საქონელი საწყობებში და მაღაზიებში	38.474—59	
საკომისიოთ გადაცემული	549—08	39.023—67
ფულადი სახსარი:		
კასა	132—52	
მიმდინარე ანგარიშები	14.091—22	
უცხოეთის ვალიუტა	235—62	14.459—36
ფასიანი და %% ქაღალდები		99—26
აქციები და პაიები		100—
სამისაღებო თამასუქები:		
პორტფელში	26.135—75	
გადაგზავნილი (ინკასო)	1.510—12	
პროტესტირებული თამასუქები	5.061—78	32 707—65
ანგარიშ-სავალდებულო თანხები		70—42
დებიტორები:		
მუშა მოსამსახურენი	1.212—18	
მომწოდებლები და მონარდენი	7.453—64	
მყიდველები	14 855-95	
სხვადასხვა დებიტორები	12.442—05	
საეჭვო დებიტორები	295—64	36.259—46
სხვადასხვა ხარჯები		1.276—30
ბალანსი		125.583—80

პასივი.

მუხლების დასახელება	ჯამი კერძო	ჯამი საერთო
კაპიტალები:		
საწესდებო (საპაიო)	50 000—	
საამორტიზაციო	1.149—87	51 149—87
რეზერვები:		
საეჭვო ვალების		295—64
სესხები და კრედიტები:		
გაცემული თამასუქები		20.600—
კრედიტორები:		
მომწოდებლები და მონარდენი	1.503—20	
მყიდველები	84—66	
სხვადასხვა კრედიტორები	39.618-61	41.206—47
შედეგები:		
მოგება საანგარიშო წლისა		12.331—82
ბალანსი		125.583—80

ბალანსის იქითა მუხლები:

საკომისიოთ მიღებული საქონელი მან. 53.882—39

კომიტენტები: 53.882—39

მოგების განაწილება:

მოგება მან. 12.331—82. საშემოსავლო გადასახადის 10 % მან. 1233—18 გამოკლებით განაწილებულია შემდეგნაირად:

1. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობის ფონდში	10 %	1.109-86
2. სარეზერვო ფონდში	20%	2.209—72
3. საწარმოთა ხელმძღვანელო პერსონალის წამახალისებელ ჯილდოს ფონდში	0,25%	27—75
4. ხაზინის სასარგებლოთ	69,75 %	—7.741—31

ეს ბალანსი დამტკიცებულია ბალანსების გამხილველ საუწყებათაშორისო კომისიის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლათ (ოქმი № 2, 1927 წ. 5 ივლისის თარიღით).

აჭ. ს. მ. უ. ს. მთ. ბუღალტერი ჯანელიძე.

მოგება-ზარალის ანგარიში

სავაჭრო ხარჯები	მან. 36.593—22	მოგება საქონლის რეალიზაციიდან	მან. 49.987—45
დანაკლისი საქონლების	„ 1.737—66	მოგება საკომისიო საქონლის რეალიზაციიდან	მან. 8.213—62
უიმედო ვალების ჩამოწერა	„ 4 345—28	სხვადასხვა შემოსავალი	„ 1.307—87
სხვადასხვა ხარჯები	„ 4.500—96		
ჯამი	„ 47.177—12		
წმინდა მოგება	12.331—82		
ბალანსი	მან. 59.508—94	ბალანსი	მან. 59 5.8—94

კანტორის მმართველი მ. მხეიძე.

ბუღალტერი ქ. გოგოლაძე. 708

თბილისის ქალაქის ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ს.ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წლის 28 დეკემბრის თარიღით გამოცემულ დეკრეტის № 16-ის მე-10 მუხლის თანახმად 1926 წლის 1-ლ ივნისის და 1-ლ დეკემბრის

სავალო გადასახადთა შემოუტანლობის

გამო, ბანკის დარბაზში, პუშკინის ქუჩაზე № 3,

— დანიშნულია —

საჯარო ვაჭრობის წესით

ამა 1927 წლის 27 დეკემბერს გასაყიდათ ყოფილ თბილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებულ ქალ. თბილისში მდებარე მამულნი.

ამ პირველ საჯარო ვაჭრობის დროს გაუყიდავათ დარჩენილი მამულნი გაყიდულ იქნებიან მეორე და საბოლოო საჯარო ვაჭრობით ა. წ. 13 იანვარს იმავე ბანკის ბინაზე.

საჯარო ვაჭრობაში შესვლის მსურველმა, გარდა სავალო გადასახადთა, უნდა შეიტანოს ბანკის სალაროში ყველა ქალაქისა, სახელმწიფო და სხვა გადასახადნი, ხოლო თავნი ვალი და ვადაგადადებული გადასახადნი შესაძლებელია მყიდველმა თავის სახელზე გადიტანოს.

გასაყიდათ დანიშნულ მამულთა სია, დაწვრილებით ცნობებით, გამოკრული იქნება, როგორც თვით ბანკის დარბაზში, აგრეთვე სხვა თვალსაჩინო ადგილებში. ნ. 320

ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობის
ინსტიტუტში
ორჯონიკიძის ქუჩა (ყოფ. ანდრეევის) № 30. ტელეფონი 10—90
მიიღება ფასიანი ავადმყოფები
წყლით, ელექტრონით, სინათლით, რადიუმით, რენტგენით, ფინზენით და სხ. სამკურნალო კაბინეტებში. ავადმყოფების გასინჯვა სპეციალისტების მიერ, განსაკუთრებულ საათებში დღის 1-დან 3-მდე.
ყველა ცნობები მიიღება ინსტიტუტის რეგისტრატურაში
ინსტიტუტის დირექტორი მ. ზანდუკელი
25—1 ქვ. 288

კორის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი
გ. ი. ტლაშაძე

ამით აცხადებს, რომ ის 20 დეკემბერს 1927 წ. დღის 12 საათზე ადგილობრივ სოფ. ალაიანში, საჯარო ვაჭრობით გაყიდის ასანგოზა ოლღის ერთ შავ ულაყ ცხენს. შეფასებული 120 მან. ქარუმა და სხვ. ხუბულურის ვალის დასაფარ. და 22 დეკემბერს 1927 წ. დღის 12 საათზე ადგილობრივ სოფ. ბწავისში საჯარო ვაჭრობით გაყიდის გიორგი ა. ვალიშვილის ქონებას; ერთ თეთრს შალს, ერთ ხარს, ორ ბურვაკს და სხვ. სულ შეფასებული 91 მან. ხუბულურის, ჯაყელის და სხ. ვალის დასაკმაყოფილებლად. ნ. 311

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი.
სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7 ვერის ხიდთან. ტელ. № 15-02

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8. საათ. პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთნიდან ნარიყალის ქ. № 1)

ექიმი ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სისივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები
ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნ.ნ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღ. 7—8 საათამდე

სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტომატოლოგიურ
(კბილის სნეულებათა)
კლინიკაში
ავადმყოფების მიღება 1 ოქტომბრიდან წარმოებს
დილით 8—12 საათამდე
საღამ. 4—6 საათამდე
[illegible] რჩევა-დარიგება უფასო მკურნალობა დაკლებულ ფასებში
კლინიკასთან არსებობს რენტგენის კაბინეტი. მისამართი: პლეხანოვის გამზირი 126, ტელეფ. 25—34.

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ელექტრო-სინათლით მკურნალობის კაბინეტი.
ი. ბ. კანტოროვიჩი
იღებს 11-დან 3-დე და 6-დან 8-დე.
კოსმეტიური მასაჟი და პირის სახის მკურნალობა უცხოეთის უახლეს მეთოდებით.
საბა-სულხანის ქ. № 1 (ყ. ფრეილინისა) 25—1

ექიმი მებრაბიანცი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
ფილტვების, [illegible] და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ 2—5

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 1—25

დაკარგა მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 13846 მ. ჟღენტის სახელზე, ჩ. ჩ. 712

ექიმი
ი. დ. თოფურიძე
მოსკოვის ქუჩა № 7
იღებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს, აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადებით მკურნალობა გამოწვეული მწვავე და ქრონიკული გონორეით
მიღება საღამოს 5—8 საათამდის
ნ. 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.
25—1

ს. ა. დიშელი
დაამთავრა
სილამაზის ინსტიტუტი
პარიზსა და ბერლინში. ელექტრო-ვიბრო მასაჟი - სინათლით, ორთქლით, კომედიური, ვაპორიზაცია,—სპობს სახის ყოველგვარ დეფექტებს: ნაოჭებს, მეჭეჭებს, სიწითლეს, ჭორფლს, საოფლეების გადიდებას და სხ. საპიორის ქ. № 22. 25—1

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით ღებულობენ ექიმები:
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8 9 საათ. საღამოთი 6—7ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ტელეფონი № 5—90. 1—25

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლ. 13 მარტის დადგენილებისა № 12.

ადმინისტრატიული განყოფილების მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. სიმონ ხარიტონ ს-ძე სეროვ ანიკოვმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის სეროვია გვარზე გამოცვლის შესახებ.

საერთო საადმ. ქ | გამგ.
უფროსი ჯავახიშვილი.
მმაჩის ბიუროს გამგე
710 შარაშენიძე.

დაკარგა მუშკოოპის წიგნაკი № 8366—შალვა იაშვილის სახელზე, ჩ. გ. 714

დაკარგა განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 23479—ლიდა ხვიადაძის სახელზე, ჩ. გ. 711

დაკარგა ლომბარდის ქვითარი № 7160 ხავა ისაკის ასული ოხარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 689

[illegible] მე 5 სტამბა [illegible] ქ. № 68